

1239  
2010



13  
საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
აღმსრებელი  
ბიუროს  
გამომცემი

170

# საქართველოს ივლიანობა

ISSN 1512-0880  
№4 (41) 2010



# საქართველოს

# ბიბლიოთეკა




რედაქციის მისამართი:  
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ფედ.: 36-09-51

ჟურნალის რედაქცია:  
ადექსანდრე ღორია  
- მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვილი  
- მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
გუდნარა სჭურუა  
- სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექტორული მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



ISSN 1512-0880



## საქართველოს ბიბლიოთეკა

01. 2000



ასეთი იყო ჩვენი ჟურნალის პირველი  
ნომერი ათი წლის წინათ

ინტერნეტო „ალი“  
დამფუძნებლები: საქართველოს  
პარლამენტის ილია ქავჭავაძის  
სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
საბიბლიოთეკო ასოციაცია.

საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (41) - 10  
შინაარსი

საბიბლიოთეკო საქმის გააქტიურება .....	4
<b>ბიბლიოთეკის ისტორია</b>	
იური სიხარულიძე – ხიდისთავის სადაბო სამკითხველო .....	6
დარეჯან კოტეტიშვილი – ლიტერატურული მუზეუმის სათავესთან .....	7
<b>ფილოლოგიური ძიებანი</b>	
გიორგი სარაჯიშვილი – ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღისათვის .....	9
<b>კორესპონდენციები</b>	
ნაზი ბერუაშვილი – შეხვედრა დევიდ ბავშვებთან .....	17
ცილა თხელიძე – აკაკი წერეთლის იუბილე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში .....	17
მზია აბრამიშვილი – „იაკობობა“ ბიბლიოთეკაში .....	19
მზია აბუაშვილი – ტრადიციულად, აპრილის ბოლოს .....	20
მანანა ყაბანაშვილი – „სამშობლოს სამსახურისათვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა“ .....	21
საინტერესო ინიციატივა .....	22
ცისანა ქორჩიაშვილი – გულწრფელი აღიარება .....	23
<b>ღირსეულთა დაფასება</b>	
მზია ტოგონიძე, ზემფირა ტყაბლაძე – ღვანლმოსილი ბიბლიოგრაფი .....	24
ინგა ფილაური – დარგის გამორჩეული პროფესიონალი .....	26
<b>ბიბლიოთეკის იუბილე</b>	
ლია გოდელაშვილი – გურჯაანელთა სულიერი საგანძური .....	27
ნაირა აღხაზიშვილი – ასი წლის იუბილარი ბიბლიოთეკა .....	29
<b>წიგნები და ავტორები</b>	
ლაურა ასლამაზიშვილი – იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარის„ პირველი გამოცემა .....	32
თეა იოსავა – შემოქმედის უკვდავება .....	34
<b>მეთოდური სამსახური</b>	
გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოთეკის დახურვასაც ცოდნა უნდა .....	36
გენადი მახარაძე – სასარგებლო შეხვედრა .....	38
<b>ინფორმაცია</b>	
ციცო ჯინჯიხაძე – პირველი სამეცნიერო კრებული .....	40
სასკოლო ბიბლიოთეკების დასახმარებლად .....	41
შემონახული ფიქრები .....	42
ქართული არქეოლოგიის მიღწევების შესახებ .....	42
მინიატურული მოზაიკა .....	43
ქრისტეს თვალების სევედიანი შემოხედვა .....	44
<b>გვესაუბრება მკითხველი</b>	
გურამ ბუკია – წერილი რედაქციას .....	44
<b>პირველი პროფესიული</b>	
გურამ თაყნიაშვილი – ათი წლის გადასახედიდან .....	45
მილოცვა ჟურნალს .....	47
2011 წლის საიუბილეო თარიღების კალენდარი .....	48
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა .....	51
<b>ნაპროლოგი</b>	
ცაში გაფრენილი სული (ლია გურეშიძე) .....	52

# БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №4 (41) -2010


## Содержание

Активизация библиотечного дела.....	4
<b>ИСТОРИЯ БИБЛИОТЕК</b>	
Юрий Сихарулидзе — Изба-читальня в Хидистави .....	6
Дареджан Котетишвили — У истоков литературного музея.....	7
<b>ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ</b>	
Георги Сараджишвили — К дате рождения царицы Кетеванан .....	9
<b>КОРРЕСПОНДЕНЦИЯ</b>	
Нази Бераушвили — Встреча с детьми-беженцами.....	17
Циала Тхелидзе — Юбилей Акакия Церетели в Центральной библиотеке.....	17
Мзия Абрамишвили — «Якобоба» в библиотеке.....	19
Мзия Абуашвили — Традиционно в конце апреля.....	20
Манана Кабанашвили — «Пусть будет благословенна лира на службе родине».....	21
Интересная инициатива.....	22
Цисана Кочечашвили - Искреннее признание .....	23
<b>ЦЕНИТЬ ДОСТОЙНЫХ</b>	
Мзия Тогонидзе, Земфира Ткабладзе — Заслуженный библиограф.....	24
Инга Пилаури — Избранный профессионал в отрасли.....	26
<b>ЮБИЛЕЙ БИБЛИОТЕКИ</b>	
Лия Гodelашвили — Духовная сокровищница гурджаанцев.....	27
Наира Алхазышвили — Библиотеке – юбилею 100 лет.....	29
<b>КНИГИ И АВТОРЫ</b>	
Лаура Асламашишвили — Первые издания «Бунебис кари».....	32
Теа Иосава — Бессмертие творчества.....	34
<b>МЕТОДИЧЕСКАЯ СЛУЖБА</b>	
Гурам Такнишвили — Знание нужно и для закрытия библиотек.....	36
Генади Махарадзе — Полезная встреча.....	38
<b>ИНФОРМАЦИЯ</b>	
Цицо Джинджихадзе — Первый научный сборник.....	40
В помощь школьным библиотекам.....	41
Сохранённые мысли.....	42
О достижениях грузинской археологии.....	42
Миниатюрная мозаика.....	43
Печальный взгляд Христа.....	44
<b>БЕСЕДУ ВЕДЁТ ЧИТАТЕЛЬ</b>	
Гурам Букиа — Письмо в редакцию.....	44
<b>ПЕРВЫЙ ПРОФЕССИОНАЛЬНЫЙ</b>	
Гурам Такнишвили — Через десять лет.....	45
Главная библиотека Тбилиси.....	47
Календарь юбилейных дат 2011 года.....	48
<b>ХРОНИКА</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии.....	51
<b>НЕКРОЛОГ</b>	
Душа, вознесшаяся на небо.....	52

# GEORGIAN LIBRARY, 4 (41) - 2010

## Table of content

Activization of library science .....	4
<b>Libraries History</b>	
Iuri Kotetishvili – Khidistavi small-town reading-room .....	6
Darejan kotetishvili – at the beginning of literary museum .....	7
<b>Philological explorations</b>	
Giorgi sarajishvili – on the date of queen Ketevan’s birth .....	9
<b>Correspondence</b>	
Nazi beruashvili – meeting with refugee children .....	17
Ciala tkhelidze – Akaki Tsereteli jubilee in central library .....	17
Mzai abramishvili – “Takoboba” in library .....	19
Mzia abuashvili – traditionally at the end of April .....	20
Manana kabanashvili –“ Let God bless your poetry for the devotion to the Motherland” .....	21
Interesting initiative .....	22
Tsisana Kochechashvili .....	23
<b>Praiseworthy Ancestors</b>	
Mzia Togonodze – the aaminant bibliographer .....	24
Inga Philauri – The professional of the branch .....	26
<b>Jubilee of the Library</b>	
Lia godelashvili – Spiritual treasury of Gurjaani people .....	27
Naira Alkhazishvili – Centennial of the library .....	29
<b>Books and authors</b>	
laura aslamazishvili – first editions of Jakob Gogebashvili’s “Bunebis Kari” .....	32
Tea Iosava – Immortality of creator .....	34
<b>Methodological consultations</b>	
Guram Takniashvili – One should know how to close the library .....	36
Genadi makharadze – Useful meeting .....	38
<b>Information</b>	
Tsitso Jinjikhadze – First scientific collection .....	40
Helping school libraries .....	41
Haunting Ideas .....	42
Georgian archaeology achievements .....	42
Tiny mosaic .....	43
Sad gaze of Jesus eyes .....	44
<b>Conversation with the reader</b>	
Guram Bukia - a letter to edition .....	44
<b>First professional</b>	
Guram takniashvili – After ten years .....	45
Tbilisi central library - Congratulations to the journal .....	47
Calendar of 2010 year anniversaries .....	48
<b>Chronicle</b>	
Chronicles of Georgian Library life .....	51
<b>Obituary</b>	
Soul departed to the sky (Lia Gureshidze) .....	52



# საბიბლიოთეკო საქმის გააქტიურება



მეორე ათეული წელი გადის, რაც საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემა დაირღვა და დარგი დაქვეითების გზას დაადგა, რასაც გამოსწორების პირი არა და არ უჩანს.

საბიბლიოთეკო საქმის დამახასიათებელი თავისებურება არის ის რომ იგი ყველა დარგში პოვებს თავისებურ გამოვლენას – იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, განათლებისა თუ კულტურის სფერო; ის ყველგან თავისებურ, სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს და, ამდენად, მისი მართვა, ხელმძღვანელობა, მეთოდოლოგიური პროცესები საკმაოდ გართულებულია, მით უფრო გაძნელებულია ამ დარგის შემდგომი განვითარება, რამდენადაც ამჟამად არ არსებობს სპეციალისტთა მომზადების, ახალგაზრდა კადრების დაოსტატების, მათი გადამზადების რაიმე მწყობრი სისტემა; ამას აფერხებს ისიც, რომ ხელთ არ გვაქვს რაიმე პროგრამა, რომელიც საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას ისახავს მიზნად; ხელისუფლების მიერ ის თითქმის ყურადღების გარეშეა დარჩენილი და თვითდინებასაა მიმდობილი.

არ არსებობს დარგის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა, არ ხორციელდება რეფორმები, მხედველობაში თუ არ მივიღებთ თვითნებურ გარდაქმნებს, რომლებიც ამ სფეროში ხდება და რომლებსაც, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად უარყოფითი შედეგები მოაქვს, ვიდრე დადებითი. ხელისუფლება არ აკონტროლებს, ზედამხედველობას არ ახორციელებს იმ გარდაქმნებზე, რაც ამ დარგში მიმდინარეობს.

კანონის ძალით, საბიბლიოთეკო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და დარგზე ზრუნვა, ამ საქმეში კოორდინაციის მოგვარება დაგალებული აქვს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მაგრამ ეს უწყება სავსებით განუდგა ამ საქმეს და აღარავითარ ზეგავლენას არ ახდენს მასზე კანონით დაკისრებულ საქმეზე. თვით კანონის უგულვებელყოფაც კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საბიბლიოთეკო საქმეში და

მრავალ შემთხვევაში მისი ბევრი დებულება შეუსრულებელი რჩება.

როგორც ცნობილია, საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობას ადგილებზე ახორციელებენ ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები. აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ... ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძირითადად შეინარჩუნა ბიბლიოთეკების ქსელი, აღადგინა ადრე დახურული ბიბლიოთეკები, ასეთი დამოკიდებულება ბიბლიოთეკისადმი მისაბაძია. გამგეობის მიერ გადამწყვეტილებები პასუხობს მოსახლეობის ინტერესს.

ბევრი რამ მოითხოვს ხელისუფლების მიერ მოიჯნავე დოკუმენტების შექმნასაც, როგორცაა, მაგალითად, სავალდებულო ცალების კანონი. სრული გაუგებრობა სუფევს ფონდების ჩამოწერასთან დაკავშირებითაც და ა.შ. ყოველგვარი გარდაქმნა არ ნიშნავს რეფორმას. რეფორმა წინასწარ დაგეგმილი, წინასწარ განჭვრეტილი, საყოველთაოდ აღიარებული, სავსებით ჩამოყალიბებული მოქმედებაა, რომელიც საქმის შესწავლით მიღებულ შედეგებს ეფუძნება, ითვალისწინებს მეცნიერულად დასაბუთებულ და მეთოდიკურად ჩამოყალიბებულ დასკვნებზე გააჩნია მისი ჩატარებისათვის საჭირო რესურსები და ითვალისწინებს ცხოვრებისეულ აუცილებლობას. ის სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

ის, რომ აქა-იქ რაღაც ღონისძიებებს ატარებენ, უმეტესად ბიბლიოთეკების გაუქმებით, სასოფლო ბიბლიოთეკების სკოლებში გადატანით, ბიბლიოთეკართა შემცირებით და სხვა, არც რეფორმად არც ოპტიმიზაციად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. არც ის შეიძლება რეფორმად მივიჩნიოთ, ბიბლიოთეკებში კომპიუტერული მომსახურება რომ ინერგება. ეს სავსებით თავისთავადი პროცესია, ისევე, როგორც ფონდის გადახალისება, ახალი დოკუმენტების შემოტანა, ავეჯის გამოცვლა, მოწყობილობათა განახლება, რემონტი და ა.შ.

არ შეიძლება ბიბლიოთეკის გაგება მხოლოდ კომპიუტერულ მომსახურებამდე დავიყვანოთ,

რის ტენდენციაც ამჟამად მკვიდრდება. იქმნება მცდარი შეხედულება: თუ კომპიუტერსა და ინტელისურს ფლობ, უკვე ბიბლიოთეკარი ხარ.

თანამედროვე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, პირიქით უნდა იყოს – ბიბლიოთეკარი თუ ხარ, საბიბლიოთეკო საქმესთან ერთად, კომპიუტერიც უნდა იცოდე და უცხო ენაც სხვათა შორის, ცხოვრებისეულ ამ მოთხოვნილებას თავის დროს დროულად გამოეხმაურა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა, რომელმაც პირველმა შემოიღო ბიბლიოთეკათმცოდნეთა მომზადება უცხო ენის სპეციალიზაციითა და გაძლიერებული კომპიუტერული სწავლებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კომპიუტერულ სანარმოო პრაქტიკასა და კომპიუტერულ ევრისტიკას. ამ პროგრამით იქნა გამოშვებული რამდენიმე ჯგუფი, რომელთა კურსდამთავრებულებმა ღირსეულად დაიჭირეს ადგილები არა მარტო სხვადასხვა ბიბლიოთეკებში, არამედ ბევრ ოფისში. მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირე იყო არსებულ მოთხოვნასთან შედარებით. სამწუხაროდ, ამ პროგრამითაც კი შეწყდა საბიბლიოთეკო კადრების მომზადება და ახლა უკვე დარგი სპეციალისტთა მომზადების გარეშე დარჩა. ამან ბიბლიოთეკებში გზა გაუხსნა კომპიუტერის მცოდნე პირებს, რომლებსაც უჭირთ შეათავსონ საბიბლიოთეკო საქმე და ახალი ტექნოლოგიები.

თუ გვსურს მდგომარეობის გამოსწორება, როგორმე უნდა მივალნიოთ იმას, რომ საბიბლიოთეკო საქმე კვლავ გააქტიურდეს, უფრო აქტიურად ამოქმედდეს საბიბლიოთეკო პროცესები, ფორმები და მეთოდები. დღეს ბიბლიოთეკა არ არის ის, რაც წლების წინათ იყო, როცა ის გაიგებოდა როგორც წიგნების მიმწოდებელი. არც ისე უნდა გავიგოთ, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელია. თანამედროვე ბიბლიოთეკისათვის, ცხადია, ინფორმაციით მომხმარებელთა უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, მაგრამ არ შეიძლება ტრადიციული ფორმებისა და ამოცანების უარყოფა. წიგნი ბიბლიოთეკის უმთავრესი კომპონენტია დღესაც და ასე იქნება მომავალშიც, რა ფორმა და სახეც არ უნდა მიიღოს და როგორადაც არ უნდა განვითარდეს, საერთოდ, კითხვა.

თუ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მივალნიოთ ინფორმაციული და დემოკრატიული საზოგადოების შექმნას, ამ საქმეში ავანგარდული როლის შესრულება სწორედ ბიბლიოთეკას შეუძლია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძალაში რჩება საბიბლიოთეკო შრომითი ციკლები – ფონდების ორგანიზაცია, სისტემატიზაცია, საძიებო სისტემების მართვა, მომხმარებელთა მომსახურება, ინფორ-

მაციულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი. ყოველ ციკლში ურთულესი პროცესებია გაერთიანებული – ბიბლიოგრაფიული აღწერილობები, კლასიფიკაცია, წიგნების, პერიოდიკის და ელექტრონული მასალის განთავსება და განლაგება, წყაროების ძიება, მომხმარებელთა მოთხოვნილებათა შესწავლა, მათი დაკმაყოფილება, გეგმების შედგენა, შრომითი პროცესებისა და ოპერაციების აღრიცხვა, ანგარიშების წარმოება, დოკუმენტების ბრუნვის რეგისტრირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება (პრეზენტაციები, გარჩევა-განხილვები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, დისკუტები, დოკუმენტების პოპულარიზაცია (წერილობითი, თვალსაჩინოებითი თუ ზეპირი), ლიტერატურული და საიუბილეო საღამოები და მრავალი სხვა). ყოველივე ამას ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება. ამისთვის კი საჭიროა სწავლება, მეთოდიკური და მეცნიერული დამუშავება, გამოცდილების გაზიარება, რაც ამჟამად, როცა საბიბლიოთეკო პროცესებსა და პროფესიონალიზმზეა ხოლმე ლაპარაკი, სრულიად არაა მიღებული მხედველობაში. პრაქტიკულადაც ეს საქმე თითქმის მთლიანად მოდუნებულია, თუ არ გააქტიურდა ის, სულ მცირე ხანში ჩვენ ბიბლიოთეკის ნაცვლად ხელში ფუნქციონირებელი სუროგატი შეგვრჩება, უკეთეს შემთხვევაში – კომპიუტერული მომსახურების დაწესებულება.

უპირველეს ყოვლისა, საბიბლიოთეკო საქმის გააქტიურებაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, ხელისუფლების ნების გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, საბიბლიოთეკო საზოგადოება გულხელდაკრეფილი იჯდეს და უცდიდეს, როდის რას გადაწყვეტს ხელისუფლება. აქტიურობა თავად სპეციალისტებსაც მართებს – იბრძოლონ საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის, ბიბლიოთეკების საქმიანობის გამოცოცხლებისათვის, მათი ღირსების დაცვისათვის, შრომითი პროცესების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური ცოდნის დაუფლებისათვის.

უნდა მოვთხოვოთ საბიბლიოთეკო საქმის მესვეურთ, ყოველი ღონე იხმარონ რათა მიაღწიონ სახელისუფლებო ორგანოებისაგან, შემუშავდეს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ერთიანი პოლიტიკა.



## ბიბლიოთეკების ისტორია

იური სიხარულიძე

## ხიდისთავის სადაბო სამკითხველო

XIX საუკუნის ბოლო მესამედში ხიდისთავი დაბად იქცა. დაბა და ეს ახალი გეოგარფიული სახელიც თითქმის ერთდროულად წარმოიშვა გუბაზეულის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც მანამდე ოცხანად იწოდებოდა.

ოცხანა! საუკუნეების განმავლობაში ზემო გურიის სოფელთა შორის არც ისე ბევრს ამშვენებდა ასეთი მშვენიერი სახელი, მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ასე ნაქები «ოცხანა» რალაც უსახურ «ხიდისთავად» გარდაიქმნა.

«ოცხანის» ასე სწრაფად გაქრობამ ბევრ იქაურს დანყვიტა გული და ზოგიერთმა ეს იმით გამოხატა, რომ თავის ფსევდონიმად «ოცხანელი» შეირქვა.

დაერქვა თუ არა «ხიდისთავი», ისეთი სისწრაფით გაიზარდა სოფელი, რომ მან ნაგომარსაც კი გაუსწრო, არა თუ ჩოხატაურს. ხიდისთავს მცირე ქალაქად ქცევამდე ბევრი არაფერი უკლდა.

რა არ ჰქონდა მას: აფთიაქი, პურის საცხობი, სამჭედლო, აბა, დუქნებს ვინ ჩამოთვლის.

ცხოვრების დუღილი სრული არ იქნებოდა, თუ ხიდისთავს კარგი სამკვიხთელო არ ექნებოდა, და ამასაც მალე მოება თავი.

ხიდისთავში სამკითხველოს დიდი შენობა არ აუგიათ, მაგრამ ის ერთი მოზრდილი ოთახიც, რომელიც მას ეკავა, მაშინ კარგ სამსახურს უწევდა დაბას და მის ახლომახლო სოფლის მოსახლეობასაც.

დაბის ეს კულტურისა და განათლების კერა მდ. ლუგუშას (გუბაზეულის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა სანაპიროზე იდგა და კარგა ხანსაც ამშვენებდა ხიდისთავს.

«იმ დროს გურიაში წიგნისადმი მიდრეკილება განსაკვიფრებელი იყო და სამკითხველოში ადგილები იშვიათადაც თუ იყო თავისუფალი» (პავლე ლომთათიძე (1879–1960)).

ეს ქოხსამკითხველო საგანგებოდ დღემდე არავის უკვლევია, ამიტომ ჯერ არც მისი დაარსების დროა დადგენილი და არც სხვა საკითხები.

თუ იმ ზეპირსიტყვიერ ცნობას ვერწმუნებით, რომ როდესაც იქ ჭოლა ლომთათიძემ დაიწყო მუშაობა – 13–14 წლის ასაკში (ი. მეგრელიძე, ჭოლა ლომთათიძე, – ბათუმი, 1977, გვ. 13), მაშინ ეს სამკითხველო XIX საუკუნის 90–იანი წლების პირველ ნახევარში უნდა გახსნილიყო\*

სამკითხველოში მუშაობის მსურველები იმ

დროს არც ისე მცირედ ყოფილან და ჭოლაზე უფრო მოზრდილებიც, მაგრამ ყველასთვის მაინც ჭოლას უჯობნია.

და ეს არცაა გასაკვირი.

ჭოლასთანა ნიჭიერი და განათლებული ყმანვილი მაშინ არა თუ ხიდისთავში, საქართველოშიც სანთლით საძებარი გახლდათ. პროფ. ი. მეგრელიძე ორ ისეთ პიროვნებას ასახელებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჭოლას კანდიდატურას. ესენი არიან ცნობილი მოღვაწეები: იასონ მეგრელიძეს და ვარლამ კალანდაძეს (ი. მეგრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13).

იმათ გარდა, სხვებიც იყვნენ, რომლებიც მათ აზრს ეთანხმებოდნენ (პ. ლომთათიძე, ჭოლა ლომთათიძე, (მოგონება ჩანერა ი. სიხარულიძემ 1956 წლის 15 ივლისს, სოფ. მენიეთში).

ამგვარად ზურგამაგრებული ახალგაზრდა იმედიანად შეუდგა მუშაობას და სულ მალე «საყოველთაო პატივისცემა» დაიმსახურა (სიდონია ლომთათიძე—დადიანიც ჩემი ძმა ჭოლა (მოგონება ჩანერა ი. სიხარულიძემ 1956 წლის 8 აგვისტოს, სოფ. სამებაში, ქობულეთის რაიონი).

ბიბლიოთეკის ენერგიული გამგე დღენიადაგ ზრუნავდა სამკითხველოს წიგნადი ფონდის გაზრდაზე, ჭოლას მეგობრებიც ხალისით სწირავდნენ ახალ წიგნსაცავს—სამკითხველოს თავიანთ პირად წიგნებსაც.

ასეთ პირთა შორის იყვნენ: ალექსი სიხარულიძე (წიგნაგვარადან), მიხეილ მამალაძე (ხევიდან), ქიშვარდი დუმბაძე (ზენობნიდან), სილიბისტრო ლომთათიძე (ზემო სურებიდან) და სხვები.

რამდენიმე საინტერესო წიგნი ბაქოელ ქართველებსაც შეუწირავთ ხიდისთავის სამკითხველოსათვის. ესენი იყვნენ ლუკა სიხარულიძე და მარინე სიხარულიძე.

არც ბათომელებს გამოუჩენიათ გულგრილობა და ათობით წიგნი გაუგზავნიათ ხიდისთავში. ამის მთავარი ინიციატორები ექვთიმე ბერძენიშვილი, ლავრენტი ბერძენიშვილი («ჩოხატაურელი») და ნესტორ სიხარულიძე იყვნენ.

ჩოხატაურელ ბიზნესმენებსაც უსახელებიათ თავი და წიგნებიც საკმაო რაოდენობით წიგნები შეუწირავთ ხიდისთავის სამკითხველოსთვის. ამ ქველმოქმედთა შორის იყვნენ: სატირიკოსი ირაკლი გოგოლაძე («ნაველა»), გერასიმე მეგრე-



ლიშვილი (პოეტ გრიგოლ მეგრელიშვილის მამა), ხარლამპი ყაჭიეშვილი და სხვები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მწერალ სილიბისტრო თავართქილაძის («რემონიძე») გულთბილი ურთიერთობა ჭოლა ლომთათიძესთან და ბევრი კარგი წიგნის გამომეცემა ხიდისთავის სამკითხველოსათვის.

ამგვარ შეწირულებათა შედეგად ეს სამკითხველო თანდათან გურიის ერთ-ერთ უმდიდრეს წიგნსაცავად იქცა, რაშიც ლომის წილი ჭოლას ედო.

გარდა წიგნადი ფონდის შევსებაზე ზრუნვისა, ჭოლა სალიტერატურო საღამოებსაც ხშირად მართავდა ერთ-ერთი ასეთი საღამო ეგნატე წინოშვილის რომანის «ჯანყი გურიაში» განხილვისათვისაც მიუძღვნიათ.

«რადგან საღამოზე დასწრების მსურველი ბევრი აღმოჩნდა, საღამო სამკითხველოს ეზოში გაიმართა. რამდენიმე გრძელი სკამი ჭოლამ ხიდისთაველ ოსტატს დაუკვეთა, ხოლო დანარჩენი ახლო-მახლო მცხოვრებისაგან ითხოვა.»

მომხსენებელი თვით ჭოლა გახლდათ. მან დიდი სიყვარულით ილაპარაკა ეგნატეზე და საინტერესოდაც გააანალიზა შესანიშნავი თხზულება.

სიტყვებით გამოვიდნენ: თედორე კალანდაძე, პავლე ლომთათიძე და სხვები.

ჭოლას არც ისე დიდხანს უმუშავია ხიდისთავის სამკითხველოში, მაგრამ იმ მოკლე დროშიც წარუშლელი კვალი დატოვა სახალხო განათლების ამ დიდებული კერის ისტორიაში.

ხიდისთავის სამკითხველოში მუშაობისას ჭოლამ ისე აიმაღლა თავისი განათლება, რომ «კვალის» თანამშრომელთა ელიტაშიც კი მოექცა, მაგრამ მას მაინც არ აკმაყოფილებდა ეს და

ცოდნის უფრო გაღრმავებას ესწრაფოდა.

ჭოლას იმ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისეთი სასკოლო განათლება, რომ რომელიმე უნივერსიტეტში შესულიყო. ამიტომ ამჯერად მან ქუთაისის სამეურნეო სკოლა აირჩია და იქ განაგრძო სწავლა.

ამის გამო ის იძულებული გახდა თავი დაენებებინა თავისი ასე ნაამაგარი სამკითხველოსათვის და 1896 წელს ქუთაისს გადასულიყო საცხოვრებლად.

რედაქტორის შენიშვნა:

ავტორის მიერ იმის თქმა, რომ ხიდისთავის წიგნსაცავი დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევიაო, სწორია; სწორია აგრეთვე მისი ვარაუდიც, რომ ბიბლიოთეკა XIX საუკ. 90 წლების პირველ ნახევარშია დაარსებული, მაგრამ არ უნდა შეგვექმნეს შთაბეჭდილება, რომ ამ ბიბლიოთეკის შესახებ თითქოს არ იყოს მასალები. XIX საუკ. 90-იან წლებში და მე-20 საუკ. დასაწყისში ამ ბიბლიოთეკით ქართული პერიოდიკის დაინტერესება უდავოა, ყოველ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ 1896 წელს ეს ბიბლიოთეკა უკვე არსებობს. ამ ბიბლიოთეკის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: ცნობის ფურცელი, 1897, № 391; 1901, № 1411; 1902, № 1710; ივერია, 1897, № 181; 1898, № 65; კვალი, 1896 № 28, გვ. 493-494; 1897, № 16, გვ. 234.

აღნიშნული წყაროებიდან ნათლად ირკვევა, რომ ხიდისთავის სამკითხველო იმ პერიოდისათვის ნამდვილად წარმოადგენდა კითხვის, ინფორმაციისა და კულტურული დასკვნების მძლავრ კერას, რომლის პირველი აგური სწორედ რომ ჭოლას დაუდგია.

## დარეჯან კოტიშვილი

# ლიტერატურული მუზეუმის სათავეებთან

(გ. ლეონიძის დაბადებიდან 110 წლისთავისათვის)

გიორგი ლეონიძეს, როგორც პოეტს, მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში პირველი ლიტერატურული მუზეუმის დაარსების საქმეში. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში მომნიშვნელო აზრი მომავალი თაობებისათვის შემოენახათ ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, ფოტომასალები, ალბომები, ავტოგრაფიანი წიგნები და სხვა სახის მასალები, რომელთა შესწავლა

შემდგომ პერიოდში გარკვეულ წვლილს შეიტანდა ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადადგა სწორედ გიორგი ლეონიძემ. მას შემდეგ, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და დაუახლოვდა «ცისფერყანწილებს», თანდათანობით შეუდგა ასეთი მასალების შეგროვებასა და დაუნჯებას: თავდაპირველად გ. ლეონიძე და ტ. ტაბიძე ცდილობდნენ დაეარსებინათ ქართველ მწერალთა მუზეუმი. სწორედ მათი ძალისხმევით 1930 წელს დაარ-

სდა «მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი», ამ სახელწოდებით იგი ფუნქციონირებდა 1935 წლამდე. 1936–1937 წლებში ეწოდებოდა «საქართველოს მწერალთა მუზეუმი». 1937–1967 წლებში «საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი», 1976 წლიდან ეწოდება «საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი». ამ მუზეუმის მესაძირკვლე და დამაარსებელი გ. ლეონიძე მუზეუმს ხელმძღვანელობდა 1931–1956 წლებში. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მუზეუმი, როგორც დიდი სიძველეთსაცავი, თვითონ გ. ლეონიძე უშურველად, დღენიადაგ ავსებდა მუზეუმის ფონდებს. აგროვებდა ხელნაწერებს, მემორიალურ ნივთებს, ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს. ამ მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობდა



იმდროინდელი ქართველი მწერლები. სხვადასხვა დროს მუზეუმის დირექტორებად მუშაობდნენ ვანო კაკაბაძე, გიორგი ნატროშვილი, იზა ორჯონიკიძე. ამჟამად მუზეუმის დირექტორია ლაშა ბაქრაძე, ლიტერატურის მუზეუმში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები: სოლომონ ცაიშვილი, გიორგი აბზიანიძე, ივანე ლოლაშვილი, ფარნაოზ კოტეტიშვილი, გივი მიქაძე და სხვები. მათ დიდი წვლილი შეიტანეს არა მარტო მუზეუმის ფონდების შევსებასა და მეცნიერულ დამუშავებაში, არამედ ქართველი მწერლების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის ბევრი უცნობი მასალების გამოვლენასა და შესწავლაში.

დაარსების დღიდან მუზეუმი ეწევა ფართო შემოქმედებით, კვლევით და საგამომცემლო საქმიანობას. არსებობის რვა ათეული წლის მანძილზე მუზეუმმა თავი მოუყარა და სისტემაში მოიყვანა ქართული კულტურის, მწერლობის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის იშვიათ ნიმუშებს: ხელნაწერებს, ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, სკულპტურას, ფოტომასალებს, მემორიალურ ნივთებს, ფოტოალბომებს, ძველ ქართულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. მუზეუმში ამჟამად დაცულია 150 ათასამდე სამუზეუმო ერთეული, აქედან 100 ათასზე მეტი ხელნაწერი, 12 ათასამდე უნიკალური წიგნი და ჟურ-

ნა-გაზეთი. 1946 წელს მუზეუმში დაარსდა ბიბლიოთეკა. მისი პირველი გამგე იყო ფაცია ჩხეიძე. ბიბლიოთეკაში ცალკეა გამოყოფილი იშვიათი და რარიტეტული გამოცემები. ამ ფონდებში წარმოდგენილია XVIII–XIX საუკუნეების ქართველ მწერალთა პირადი არქივებიდან შემოსული წიგნები საინტერესო კომენტარებით და ავტორისეული მინაწერებით. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაობას პროფესიული თვალსაზრისით დიდი ამაგი დასდეს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტების

კურსდამთავრებულებმა. ბიბლიოთეკას ამჟამად ხელმძღვანელობს ელენე გუსევა, ხოლო ბიბლიოთეკათმცოდნე მარინე ყიფიანი მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის კურატორია. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა გ. ტაბიძის 25 ტომეული და აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემების ორტომეული. მუზეუმის

გამოცემებიდან ყურადღებას იპყრობს ქართველი მწერლების პ. იაშვილის, შ. ამირეჯიბის, ი. ჭავჭავაძის, გ. ლეონიძის, ლ. ასათიანის, მ. გელოვანის, ბ. პასტერნაკის, ო. პაჭკორიას და სხვა მწერალთა საარქივო გამოცემების ტომეულები. მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების მიხედვით გამოიცა ქართველ მწერალთა 15 დასახელების უბის წიგნაკები.

სამუზეუმო კოლექციების მეცნიერული შესწავლისა და საცნობარო აპარატის დღენიადაგ სრულყოფის შედეგია მუზეუმის მიერ გამოცემული «ლიტერატურული მატთანის» 12 ტომი. ტომეულებში წარმოდგენილი მასალები, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველწყაროები, დამუშავებულია მუზეუმში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევართა მიერ.

ზ. ლეონიძის, როგორც პოეტისა და მკვლევარის შემოქმედებას სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებმა: გ. კალანდაძემ, პ. მარგველაშვილმა, ტ. ხერხეულიძემ და სხვებმა.

გ. ლეონიძის თხზულებების ბოლოდროინდელი გამოცემებიდან შეიძლება დავასახელოთ: ასი ლექსი – თბ., 2009; «ნატვრის ხე», თბ., 2008; «ოლე» – თბ., 2000; «ნამცვრევი» – თბ., 2000.

გ. ლეონიძის ინიციატივით დაარსებული ლიტერატურის მუზეუმი ამჟამად წარმატებით აგრძელებს იმ მისიას, რომელიც მას იმთავითვე დაუსახეს ქართველმა მწერლებმა.

## ფილოლოგიური კიეხანი

გიორგი სარაჯიშვილი

# ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღისათვის

ედგენება ჩემს დედას – ქსენია ჭელიძე-სარაჯიშვილისას,  
დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო.

*სადიდებელ-სავედრებელი, ქეთევან დედოფლისა. დიდებულებაი სა-  
წუთროისა მიძულე, დედოფალსა ცათა და ქვეყანისასა ეზიარე, დედო-  
ფალო ქეთევან, ხორცინი მოიწვენ სიძისა შენისა ქრისტესათვის, მას  
ვედრე, ჩვენ მონათა შენტა, ქართველთათვის (ლოცვანი. ახალციხე.  
1995. გვ. 252).*

„ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი“.

/ანტონ I. ნიგნი მარტირიკა. თბ. 1980, გვ. 12/.

„ქვეყნად იდიდა ღვანლითა, ზეცად აღვიდა ქებითა“ (გვ. 90),

„ცა განაკვირნა, ქვეყანა განაკრთო მისმან თმენამან“ (გვ. 90),

„შენ ხარ მადიდებელი ყოველთა შენ განმადიდებთა“ (გვ. 89).

/დ. ბაგრატიონი. დიმიტრიანი. წამება ქეთევან დედოფლისა. თბ. 1978, გვ. 79-92/.

ქეთევან დედოფლის ბიოგრაფიაში (ქ.ს.ე. ტ. 10, 1986, გვ. 498) დაბადების თარიღი გამოტოვე-  
ბულია, რადგან საისტორიო თუ ლიტერატურულ-  
ლი წყაროების მიხედვით დადგენილი არ იყო.

ლევან მეფის ძემ, კახეთის მეფემ (1574-1605) ალექსანდრე II-მ (1527-1605), „ბაგრატიონთა მე-  
ფედ შთამომავალთა თავადის აშოთან მუხრან  
ბატონის ასული, სოფ. მუხრანში დაბადებული  
1587 წელს“ (ალ. სავანელი. ცხოვრება ქეთევან  
დედოფლისა. უ. ცისკარი. 1857, №12, გვ. 36), 14  
წლის ქეთევანი შეაუღლა უფროსს შვილს (ქ.ს.ე.  
ტ. 10, 1976, გვ. 498) დავით I-ს (გ. 21.X.1602) კა-  
ხეთის მეფეს (1601-02) (ქ.ს.ე. ტ. 3, 1978, გვ. 332),  
დავითის „ძალით მიტაცებულმა მეფობამ დაჰ-  
ყო არა დიდხანს, მეფობდა იგი ექვსი თვე“. ორი  
წლის შემდეგ 1589 (გ.ს.) შეძენილი შვილი კახე-  
თის მეფე (1606-48), ქართლ-კახეთის მეფე (1625-

32) თეიმურაზ I-ლი (1589-1663) შაჰ-აბასთან იზ-  
რდებოდა, როცა მისმა ბიძამ, მეფე ალექსანდრე  
II-ის გამაჰმადიანებულმა შვილმა კოსტანტინე  
I-მა (დაახლ. 1566-X.1605), რომელიც ასევე ბავ-  
შვობიდან იზრდებოდა ირანში, შაჰ-აბასის დავა-  
ლებით და სპარსელების დახმარებით მოკლა:  
მამა – ალექსანდრე II, ძმა გიორგი, რამდენიმე  
კახელი დარბაისელი, „არხიებისკოპოზი რუს-  
თველი, რომელიც ექადოდა მას საუკუნო შეჩ-  
ვენებითა მამის სიკვდილისა და სხვა ბოროტ  
მოქმედებისათვის მისისა“ (ალ. სავანელი გვ.  
36) და თავი მეფედ გამოაცხადა. „ხალხმა იგი  
მეფედ არ მიიღო, კახელები აჯანყდნენ და 1605  
წელს თავი მოკვეთეს (ქ.ს.ე. ტ. 5, 1980, გვ. 612),  
აჯანყების სათავეში კახელებმა ქეთევან დე-  
დოფალი ჩაიყენეს, მაშინ დედოფალი „31 წლის  
იყო, როცა მიიღო კახეთის მფლობელობა“ (ალ.

სავანელი). „ესრეთმა ქცევამ ქეთევანისამან, რომლითაც მიიღო მფლობელობა კახეთისა“, „შაჰმა სასწრაფოდ გამოუგზავნა ქვრივ დედას – ქეთევანს თეიმურაზი გასამეფებლად“ (დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1977, გვ. 74). თეიმურაზი გამეფდა 16 წლის ასაკში (1606) (ქს.ე. ტ. 4, 1979, გვ. 64) და გახდა გვირგვინოსანი მეფე ბოდბის ეკლესიაში.

თვრამეტი წლის ასაკში 1607(8) წელს თეიმურაზი დააქორწინეს მამია გურიელის ასულ ანაზე. შეეძინათ შვილები: ლევანი და ალექსანდრე. დედოფალი ანა გარდაიცვალა 1610 წელს. 1612 წელს თეიმურაზ მეფეს მეორედ შერთეს ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის უფროსი და თამარი (ხორეშანი, ვარდისფერა), უმცროსი და თინათინი კი ჰყავდა ცოლად შაჰ-აბას. თეიმურაზ მეფე და ირანის შაჰი ქვისლები გახდნენ. „სანამ თამარს დედოფლად მოიყვანდა თეიმურაზი, შაჰ-აბასმა წინასწარ გააფრთხილა, მეორე და არ შეერთო, რადგან თამარიც მე მეკუთვნისო, მაგრამ ქართლის მესვეურებმა შაჰ-აბასის სანაღმდეგოდ ურჩიეს ქვრივ თეიმურაზს თამარის შერთვა. შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა ლუარსაბის დაღუპვით ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამხდარიყო, როცა ლუარსაბის მეორე დასაც მოიყვანდა ცოლად. თეიმურაზ მეფე ადრევე მიუხვდა ირანის მბრძანებელს ვერაგულ ზრახვებს. თავის კახელ მეომრებზე დაიმედებულმა, შაჰის მუქარას სათანადო ანგარიში არ გაუწია. მაგრამ სწორედ კახელებმა არ ინდომეს შაჰ-აბასთან შებმა და თეიმურაზიც ცოლშვილიანად იძულებული გახდა თავი გაერიდებინა სიძესთან იმერეთში... ა. ლამბერტი, ჯუდიჩე, პიეტრო დელა ვალე, დე კასტელი და სხვა ავტორები თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ შაჰ-აბასის განრისხების მიზეზად ერთხმად ასახელებენ თამარს, რომლის სილამაზეს შაჰ-აბასი სიყვარულით გაეხელება. თამა-

რი გამხდარა ქართლ-კახეთის დაქცევა-განადგურების მიზეზი“. ზემოთ აღნიშნული უცხო ავტორები „თამარს მეორე ელენედ გვისახავენ“ (დე კასტელი გვ. 74).

ისტორიული წყაროები კი საგარეო პოლიტიკაში, თეიმურაზ მეფეს რუსეთის ორიენტაციის მომხრეთ ასახელებს და მის შაჰ-აბასთან დაპირისპირებას ამით ხსნიან. მოსკოვში დახმარების სათხოვნელად თეიმურაზის მიერ არაერთხელ გაგზავნილმა ელჩობამ (1615, 1616, 1624, 1635 და 1649) შედეგი ვერ გამოიღო. 1626 წელს თეიმურაზ მეფემ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად გაგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). თეიმურაზი დახმარებას სთხოვდა ოსმალეთსაც, მაგრამ უშედეგოდ. 1658 წელს კი თვითონ გაემგზავრა რუსეთში სამხედრო დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიანია. სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი მეფე-პოეტი ზედმინეწით ფლობდა სპარსულ ენას (ქს.ე. ტ. 4, 1979, გვ. 641-42). იგი ნახევარი საუკუნე ებრძოდა ირანელების ბატონობას საქართველოში, რითაც კახეთს დამოუკიდებელი არსებობა შეუნარჩუნა. ერის ინტერესები პირად ბედნიერებაზე მაღლა დააყენა. 74 წელს მიღწეულმა სიცოცხლე ასტრბადის ციხეში, პატიმრობაში დაამთავრა.

აღმოსავლეთში, სისასტიკით ცნობილი, ცბიერი შაჰ მუჰამად ხუდაბანდას ძე შაჰ-აბას დიდად წოდებული, შაჰ-აბას I-ლი დაიბადა 1571 წლის 27 იანვარს, 58 წლის ასაკში მოკლეს 1629 წლის 19 იანვარს. 16 წლის ასაკში, ტახტზე ავიდა 1587 წელს, იმეფა 42 წელი. იგი სამჯერ შემოესია საქართველოს: 1614, 1616, 1617 წლებში, კახეთის ქრისტიანული სამეფოების ყიზილბაშურ-მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევის მიზნით. 1612 წელს შეუდგა ლაშქრობის სამზადისს, რადგან ქართლ-კახეთის ვასალობა აღარ აკმაყოფილებდა. 1613 წლის 16 ოქტომბერს ირანის დიდი

ლაშქარი ისპანიდან საქართველოსკენ დაიძრა. შაჰმა ოსმალეთის სულთანს აცნობა, რომ ქართლ-კახეთის დასჯა ჰქონდა განზრახული. იგი კახეთზე ორი მხრიდან წამოვიდა 1614 წელს, მარტის თვეში. ისწრაფოდა ხელთ ეგდო კახეთის სამეფო (ქ.ს.ე. ტ. 1, 1975, გვ. 14).

შაჰმა თეიმურაზს ერთგულების ნიშნად მიწვევები მოსთხოვა. თეიმურაზმა მიწვევებად 1613-14 წლებში, გაუგზავნა დედა ქეთევან დედოფალი და მცირეწლოვანი ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე. შაჰმა თეიმურაზიც იხმო. თეიმურაზი არ ეახლა (აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში (ქ.ს.ე. ტ. 1, თბ. 1975 გვ. 16). შაჰ აბას I-ლი ქეთევან დედოფალზე 2 წლით უფროსი იყო, ხოლო თეიმურაზ I-ზე კი – 18 წლით.

ქეთევან დედოფალმა 10 წელი დაჰყო სპარსეთში. შირაზში გაიგზავნა საპყრობილეში. შაჰმა „მიუწერა ბეგლარ-ბეგსა, რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტიესი, მოჰკლას ტანჯვითა“ (ვახუშტი. ქართლის ცხოვრება. გვ. 401), ხოლო „მოიყვანა ძენი თეიმურაზისანი ისპანს და გამოასაჭურისნა ეს ჩქკ (1620) ქრტ. ალექსანდრე მოკუდა მით ხოლო ლევან იქმნა ხელ (ვ:ველ) და ვიდოდა უპატიოდ, შემდგომად მოკუდა იგიცა“ (ვახუშტი. გვ. 401) აღსავანელის მიხედვით: „ძეთათვის მეფისა ბრძანა დასაჭურისება 1620 წელს. ერთი მათგანი აღსრულდა მაშინვე, ხოლო მეორე შემდეგ სამისა წლისა“.

ქეთევან დედოფლის გარეგნობის შესახებ ცნობას იძლევა წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერი, დედოფლის თვითმხილველი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, ვინც დანერა: „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მონამეობრივი სიკვდილის შესახებ სპარსეთის სამეფოს დედაქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს“: „ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახ-

ლდათ, დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა, ხელთ მლოცველის კვერთხი ეპყრა. შავად მოსილი, თავ-კისერსაც მოშავო პირბადით იფარავდა. პირმშვენიერი და დარბაისელი, არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყო. უმნიჭლო და სასიამოვნო პიროვნება განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა მხილველთ. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ ყოველივეს, რაც მის სულში ხდებოდა, ვინაიდან ღვთის მსახურთა სულში დაბუდებული ღვთიური მადლი სახეზედაც გამოაშუქებს ხოლმე“.

ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლი, სადაც დედოფლის დაბადების თარიღი არის მოყვანილი, ერთადერთია ქართული სალიტერატურო ჟურნალი – „ცისკარი“, რომლის 1857 წლის დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია ალექსანდრე სავანელის – „ცხოვრება ქეთევან დედოფლისა“, სადაც დაბადების თარიღად აღნიშნულია – 1573 წელი.

დედოფლის გარეგნული შეფასების დროს ანჟუშის მიერ წლოვანებაზე ნათქვამი: „დაახლოებით 40 წლის იქნებოდა“-ო, იმის მანიშნებელია, რომ წამების დროს, „ტანდაბალი ქალბატონი“ 11 წლით ახალგაზრდათ გამოიყურებოდა.

40 წლიანი წლოვანება დღემდე შემორჩა და დამკვიდრდა ლიტერატურაში, დედოფლის ულმობელი წამების თარიღმა დაჩრდილა დაბადების თარიღი. ამიტომ ყურადღებიდან გამორჩათ დაბადების თარიღის აღნიშვნა.

1914 წლის 27 აგვისტოს, გაზეთ „სახალხო ფურცლის“, 73 ნომრის მესამე გვერდზე, ცნობაში – „ქალაქი ნამიური“, ტაძრის სურათთან ერთად წერია: „გერმანელებმა აიღეს ბელგიელთა ციხე-სიმაგრე ნამიური. აქ ადგილობრივ კათოლიკეთა ტაძარში საუცხოვო აკლდამაში ასვენია წმ. ნაწილები ქეთევან წამებულისა. როგორც ვიცით ქეთევან წამებული სპარსეთში აწამეს და აჰკუნეს. ამ დროს თურმე აქ იყვნენ იეზუ-

იტები – მქადაგებელნი. მათ გამოსთხოვეს წმ. ნაწილები სპარსელებს და წაასვენეს ბელგიაში, სადაც დაასვენეს ნამიურში და *საუცხოვო მავ-ზოლეთი* აუგეს შიგ ტაძარში“.

2001 წლის გაზეთ „მრევლის“, ნომერ 8-ში, ავ-ჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვრის გიორგი რაზმაძის პუბლიკაციაში: „ამიტომ მოგვეფარა თვალს ეს უდიდესი სინ-მინდე“, მოყოლილია მამა გიორგის და ბატონ დავით ქორიძის სპეციალური ვიზიტის შესახებ, ბელგიის ქალაქ ნამიურში წმ. ქეთევან წამებუ-ლის წმ. ნაწილების მოსანახულებლად და ახალი მასალების მოპოვების მიზნით. მათ ბრუსელში, ბოლანდისტების მთავარი ცენტრის არქივში მიაკვლიეს ორ საარქივო მასალას. ერთ-ერთი მასალის ქსეროასლის გაზეთში გამოქვეყნებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, სადაც წმ. ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღია აღნიშნული: „Mart\* 1573“, წამების თარიღთან ერთად. და-ბადების თარიღი იგივეა, რაც ალ. სავანელის პუბლიკაციაშია მოცემული – 1573 წელი, იმ გან-სხვავებით, რომ აქ დაბადების თვეა მინიშნებუ-ლი, ხოლო თვის რიცხვი ვარსკვლავითაა აღნიშ-ნული, ანუ გამოტოვებულია.

გამოქვეყნებული წერილის გამო, ვესტუმრეთ მამა გიორგის ავჭალის წმ. ქეთევან დედოფლის ეკლესიაში. საუბრისას უთხარით მამა გიორგის, რომ მათ მიერ მოძიებული მასალა შეიცავდა ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღის აღ-მოჩენას.

2004 წლის 12 ოქტომბრის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ნომერ 32-ში, წმინდა დიდმო-წამე დედოფლის ქეთევანის ხსენების დღისად-მი მიძღვნილი პუბლიკაცია გამოვაქვეყნეთ სა-თაურით: „ჭეშმარიტი მაგალითი შთამომავალ-თათვის“ ქეთევან დედოფლის ახლად შექმნილი წმ. ხატით, სადაც სათაურის ქვეშ ეწერა: „2003

*შენიშვნა.* „თელავიდან გვაცნობებენ, რომ იქაურს სობოროში აღმოჩენილია ქეთევან დედოფლის სურათი იმდროინდელი, როდესაც ის განამზადეს სპარსეთში

წელს შესრულდა წმინდა ქეთევან დედოფლის დაბადებიდან 430 წელი, ხოლო წელს მისი წა-მებიდან 380 წელი“. წერილში რამდენიმე მანამ-დე უცნობი მასალაც გამოქვეყნდა. მოყვანილი თარიღები გამოანგარიშებული იქნა ჩვენს მიერ დადგენილი დედოფლის დაბადების თარიღის მიხედვით.

თეიმურაზის პოემა – „წამება ქეთევან დე-დოფლისა“ დაინერა 1628 წელს, სადაც პოეტი წერს: „ჭეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯუ-ლი გაათასე“, ხოლო 76-ე სტროფში ამბობს: „მათ აწამეს წმინდა ესე სეკდემბერსა ათორ-მეტსა, შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა, საქართველო აღებულა წელს ნა-ჭამი ათერთმეტსა, მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი ნათლის სვეტსა“. სტროფის პირვე-ლი სტრიქონი ეხება დედოფლის წამების დღის რიცხვს. სხვაობა ერთი დღეა, ანუ „13“-ის ნაც-ვლად წერია „12“-ტი. ზოგიერთ წყაროში სექ-ტემბრის სხვა დღეებიც არის მოყვანილი. მაგ. ბელგიურ წყაროში წერია: „6; 12. 1624“, სხვა წყაროებში კი – „13 სექტემბერი, ძვ. სტილით; მეორე სტროფი ეხება დროს, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები: თავი, მარჯვენა ხელი და რაოდენ-იმე შედედებული სისხლი, 1628 წლის 1 ივნისს კათოლიკურმა მისიონერებმა საქართველოში მოაბრძანეს. ივნისი არის მეშვიდე თვე. შვიდი თვის შემდეგ პოემა უნდა დაწერილიყო (1628). ივნისის თვეში სამშობლო მინამ ჩაიკრა წმ. დე-დოფალი თავის გაუმადლარ გულში.

მესამე სტროფი მეოთხესთან მჭიდრო კავ-შირშია. რიცხვი „11“-ტი შეიძლება დედოფლის

წასაყვანად სატანჯველად. ამბობენ, რომ ეს სურათი ერეკლე მეფეს შეუწირავს თელავის სობოროსათვის“ (გაზ. დროება. 1879 წ. №209, 10 ღვინობისთვე, გვ. 3).

\*რაფიელ ისარლიშვილი აქვეყნებს ალ. ხახანაშვილის ნაშრომს „საქართველოს ისტორიას“, ფრანგულ ენაზე, სადაც მოთავსებულია წმ. ქეთევან წამებულის სურათი (უ. „მოგზაური“, 1901 წ. №6-7).

დაბადების დღეს აღნიშნავდეს, ან მიქელად აყვანის დღეს ეხებოდეს, ვინაიდან მარტის თვე, სხვადასხვა წლებში, დედოფლის დაბადების თვეა (1573 წლის მარტი) და მიქელად აყვანის თვეც (1614 წლის მარტი).

თეიმურაზის მხრიდან, სტროფებში, განსაკუთრებული აქცენტი ეთმობა დედოფლის ქრისტიანობასთან კავშირს. ქალიშვილობაში მარიამად მონათლულ დედოფალს სპარსეთში წასვლის წინ ულოცია გურჯაანის ყველაწმიდის ტაძარში. ბიოგრაფიის მიხედვით:

„მთელი კახეთი ლოცავს და აკურთხევს სახელსა მისსა... მტკიცედ და შეურყევლად დაცვისათვის ქრისტეს სარწმუნოებისა“.

მეფე-პოეტის მიერ ქრისტიანი დედის ქრისტიანულ კონტექსტში, მხატვრულად მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ რიცხვი „ათერთმეტი“, დედოფლის დაბადების თარიღს უნდა აღნიშნავდეს და არა ტყვედ წაყვანის თარიღს.

ქეთევან დედოფლის ბიოგრაფიის მიხედვით: „შაჰ-აბას მიძინვარებდა, სახიერი ქრისტე დასტკებოდა: ტანჯვანი ძნიადობდეს, მოსაგებელი ძვირფასობდა... მან მისცა სული თუსა უფალსა ჩქედ-სა წელსა, სეკდემბრის ივ-სა. ზეცისა ძალთა განიხარეს, ოდეს წარსდგა წმიდა დედოფალი წინაშე მეფუფისა საყდრისა ამა ახლითა გვირგვინითა, ვიდრე დაბინდებამდე წმიდა

გვამი ქეთევან მოწამისა, სისხლით შესვრილი, ედვა შუა მოედანზედ და ვერავინ ჰბედავდა მიახლოებასა, მტანჯველთა შიშისა გამო, თუმცა გარემოს წმიდისა მრავალნი ჰსტიროდნენ.



გარნმა უფალმან ადიდა გვამი მისთვის ვნებულის დედოფლისა: მწუხრიდგან განთიადამე ადგა მას ბრწყინვალე ნათელი, რომელმაც განანათლა გულნიცა მრავალთა ურწმუნოთა. ამათ ახალთა მორწმუნეთა უშიშრად იცხეს დედოფლის სისხლი ქრისტესთვის დათხეული, და დაფლეს გვამი მისი მცირესა ეკლესიასა შინა, სადაც ემარხენ ორნი მხევალნი წმიდისანი, ტყვეობაში გარდაცვლილნი. დედოფლის მოწამეობამ განაკვირვეს თვთ უცხოს სარწმუნოების კაცნიცა. ლათინთა მღუდელთა, რომელნიც

ამჟამად ჰსცხოვრებდნენ შირაზში, წარმართთა მოსაქცევად. დაფარვით გამოიტანეს ეკლესიიდან გვამი მოწამისა და დიდის პატივით დაასვენეს თავიანთ სასახლის ეკლესიის ტრაპეზსა ზედა. ამიერიდგან მორწმუნენი მიიღებდნენ მრავალთა კურნებათა ნაწილთა მისთაგან და თვთ ადგილისაგანაცა, სადაც აწამეს ქრისტეს მოწამე. ავგუსტინელმა პატრებმა დახატეს დედოფლის ხატი და მათ ჰქონდათ თავიანთ ტაძარში“ (გაზ. თბილისის უნივერსიტეტი. 2004. 12 ოქტომბერი, №32).

ქათევან დედოფლის ცხოვრების ღარიბი. მონიშნული წერილები შვეიცარიის  
ისტორიულ და ლიტერატურულ კვლევებში აღნიშნულ თარიღებს

დაიბადა	გათხოვდა	დაიბადა თეიმურაზი	თეიმურაზი I ტახტზე ავიდა	ლევანი, ალექსანდრე ქეთევან დედოფალი ტყვედ წაიყვანეს	ანამეს
14 წ.	2 წ.	16 წ.	9 წ.	10 წ.	
				6 წ.	3 წ.
					1 წ.
1573 წ.	1587 წ.	1589 წ.	1605 წ.	1614 წ.	1620 წ.
მარტი				მარტი	
					1623 წ.
					1624 წ.

უფროსი ლევანი, უმცროსი ალექსანდრე  
დაასაჭურისეს (1620), ლევანი მაშინვე  
გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე 2  
წლის (1623) შემდეგ.

ე.ი. 14 წ. + 2 წ. + 16 წ. + 9 წ. + 10 წ. = 51 წ.  
ამრიგად, ქეთევან დედოფალი მიიცვალა  
51 წლის ასაკში.



და ბოლოს, ქეთევან დედოფალი: დაიბადა 1573 წლის 11 მარტს; 14 წლისა გათხოვდა 1587 წელს; 2 წლის შემდეგ, 1589 წელს შეეძინა ვაჟიშვილი თეიმურაზი. 16 წლის თეიმურაზ I ტახტზე ავიდა 1605 წელს; თეიმურაზის ტახტზე ასვლიდან, 9 წლის შემდეგ, 1614 წლის მარტის თვეში ტყვედ წაიყვანეს, შვილიშვილებთან: ლევანთან (უფროსი) და ალექსანდრესთან (უმცროსი) ერთად ქეთევან დედოფალი; 6 წლის შემდეგ, 1620 წელს ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისეს. ლევანი მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე 3 წლის შემდეგ, 1623 წელს; ქეთევან დედოფალი ტყვეობაში წაყვანიდან 10 წლის შემდეგ, 1624 წლის 13 სექტემბერს (ძვ.ს.) აწამეს. აღნიშნული წლების შეკრებით: 14წ. + 2 წ. + 16 წ. + 9 წ. + 10წ. = 51 წ. მიიღება, რომ ქეთევან დედოფალი მიიცვალა 51 წლის ასაკში და არა 40 წლის ასაკში, როგორც მამა ამბროზიო დუმ ანჟუშს უწერია.

მოყვანილი თარიღების მიხედვით ქეთევან დედოფალი დაბადებულია 1573 წლის 11 მარტს. მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულისათვის, 51 წლის ასაკში, წამებით აღესრულა 1624 წლის 13 სექტემბერს (ძვ.ს.).

კითხვას ვინ უწოდა ქეთევან დედოფალს – წამებული? დე კასტელი პასუხობს: „თუმცა თეოლოგიის თვალსაზრისით სქიზმატიკოსების ხსნა ძნელია, მაგრამ, როცა გარდაიცვალა ეს ბატონიშვილი ქალი, რომელიც იცავდა სარწმუნოებას, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მან თავისი სული ისხნა. პაპმა ურბანო VIII-მ თეიმურაზს, ქეთევანის შვილს მოსწერა წერილი, რომელშიც ქალბატონს უწოდა – წამებული (დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1977, გვ. 189).

წმიდის მონამის ქეთევან დედოფლისაგან ანბანთ ქება.

„ნაბრძანები ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას პირველმან შირაზს პყრობილად წარგზავნა; მუნ პყრობაში მწუხარემან სთქვა:

ან ამას ვსტირი, ბან ბნელსა მჯდომი,  
გან გულთა მდულრად დონ დადაგული.  
ენ ესრედ ვება ვინ ვის მოება

ზენ ზედი-ზედა ცვე დართული!

თან თვალნი ჩემნი ინ ისრევირწყვის,  
კან კმარის მისგან ლას ლამებული.

მან მილად მოდის ნარ ნაკადულად,  
ონ ოდეს ნახონ პარ პკურებული.

ჟან ჟამნი ჩემნი გამოვიწვლილე,  
რან როდისმე სან სული მეყოს?

ტარ ტყება ვინყე უნ უთვალავნი,  
ფარ ფლობა მიჯობს ესრეთ რომ მეყოს.

ქან ქცევა სოფელს, ერთს წამს საყოფელს,  
ლან ღიმილიცა გარდაიმეყოს;

ყარ ყველას ღმერთი თვით განმიმარტებს,  
შინ შიშითა მისთა ხელი მიმეყოს.

ჩინ ჩამომება სვე უბედური,

ცან ცრემლის დენა ძილ ძნელად შრება;

ნილ ნყარო თვალთა ჭარ ჭმუნვით მყოფთა  
ხან ხარბად დენით გარდმოჩქერება.

კარ კორცნი ღანვთა ჯარ ჯავრმან დაწვნა,  
წარხდეს ელვათა შევნიერება.

ჰაჲ ჰაჲ მომშორდა ღმერთი და შვება,  
ჰაჲ ჰაჲ წამიხდა სახიერება!

„ეს ლექსი გადმოწერილია დავით რექტორის წამიდან, რომელიც თეიმურაზ პირველის ლექსს „ქეთევანის წამებას“ უკეთებს ამ შენიშვნას: წამება ქეთევან დედოფლისა სპარსეთის ხელმწიფის შახ-აბას უღმრთოსაგან ქალაქსა შირაზს, თვესა სექტემბერსა ცამეტსა, წელსა 1624 ქრონიკოსა ქართულსა ზედა 312. ესე ქეთევან იყო დედოფალი კახეთისა, მეუღლე კახეთის მეფის დავითისა, ასული აშოთან მუხრან-ბატონის და დედა კახთა მეფის თეიმურაზ პირველისა. ამან, თეიმურაზ, ძემან მისმან წამება და ღვანლი დედისა თვისისა დალექსა“.

(გაბ. დროება. 1882, I დეკემბერი, №251, გვ. 1).

ქეთევან დედოფლის წამებაზე საბა ორბელიანის თქმული:

დედოფალი ვით შეამკეს მათ უღმრთოთა სჯულის მტერთა;

სტანთა! ნაცვლად დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტერთა;

სამ კუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდნენ ვითა ორხუვა, ვითა ტერთა?

<sup>1</sup>სნატი — რბილი ტყავი;

<sup>2</sup>ეტერი — ქვეშ საფენი;

ხან სცემდეს და ხან შეჰკვირდენ, ვითა ხელსა და ტეტერთა<sup>1</sup>.  
 მოჰკაზმადენ შვენიერად შეუქმოდენ ფისსა ზილფად<sup>2</sup>,  
 ცხელს შამურსა ქინძისთავად, საოლავად<sup>3</sup> გინდა სკიფად<sup>4</sup>  
 ტანჯვას სარკედ, ცემას მარგედ, ნაცარს სურმად, გაზსა ჩქიფად,  
 აგურს საპნად უხვემდიან, განსანმედლად კოხსა ლიფად.  
 ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად, საყურებად ნაკვერცხალსა,  
 ყამჩად ბარსა, საყბურად მხურვალესა ნაღს ახალსა,  
 საჯს<sup>5</sup> ამბარჩად<sup>6</sup> ყელსაბამად მწარეს თოქსა ვითა მხალსა,  
 ქამრად ჯაჭვსა მოუჭერდენ, შანთს დასმიდენ ვითა ხალსა!

(ვაზ. დროება. 1882, 1 დეკემბერი, №251, გვ. 1).

### ქეთევან დედოფალს

ეთეროვნისა სპერასა განსმენილი,  
 მზის – ქვეშე მნათი, მეორე მზე ქართველი,  
 ყოველთ მაარსიისა, დედისა თვისებითა,  
 ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი,  
 მწველთა სიავთა, გერგენად საჯთ ინავლებს.  
 ზედ – სადგარს ცხელთა, იფარლულ-მანიაკებს,  
 შიშვლივ შამფურთა, მხურვალეთა იკონლებს,  
 ბარებს ამ ბარჩად, ცხელთა ჯაჭვითა ისარტყლებს,  
 მუსმართ ილებებს, გორვებით ისაბანებს,  
 დიდი ეთევან, მტვერს ჰყრის, ეტრფის სიძესა.  
 ქალაქ შირაზში, სადაც წამებული იქნა და აღსრულებული ტანჯვითა და მაღალის სათნოების  
 კრძალულებით და სიყვარულით ქრისტეს სარწმუნოებისადმი 1624 წ. 13 სექტემბერს. მის ხსენე-  
 ბას... მისი სურათი მოიპოვება სიონის ტაძრის კედელზე. მისი ცხოვრებიდან დრამა დაწერა ალ.  
 ყაზბეგმა და დაბეჭდილია 1882 წლის „ივერიაში“ (ჟ. მწყემსი. 1885. №24 გვ. 7-9).

<sup>1</sup> ტეტერი — ტუტუცი;

<sup>2</sup> ზილფი — კავები;

<sup>3</sup> საოლავი — ხურმა;

<sup>4</sup> სკიფი — კბილის სანმენდი იარაღი;

<sup>5</sup> საჯი — ტაფა;

<sup>6</sup> ამბარჩა — ყელზე ჩამოსაკიდებელი სამკაული.

**„ჩემის ჰაზრით, ღირსება ღიზარატურისა  
 აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა  
 წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა“**

**პლ. იოსელიანი**

პორტრეტული

ნაზი გერუაშვილი

# შეხვედრა დევნილ ბავშვებთან

28 სექტემბერს ქ. გორის № 4 საბიბლიოთეკო განყოფილებაში უჩვეულო ფუსფუსი იყო. ბიბლიოთეკის კოლექტივმა (გამგე: ნ. ნერეთელი) გადაწყვიტა, სამაჩაბლოდან დევნილი ბავშვებისათვის, რომლებიც ამავე დროს ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან, ერთი ლამაზი დღე ეჩუქებინათ. სამკითხველო დარბაზში აჩაბეთელი და ქურთელი ნორჩი მხატვრების – ქ. ჭულუხაძის და ხ. ყაულაშვილის ნახატების გამოფენა მოეწყო, ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის მკითხველი, სამაჩაბლოდან დევნილი ქალბატონი ნ. ბერუაშვილი.



ქართველი პოეტების ლექსების თქმაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნორჩი მკითხველები. პატარა დევნილებს და მათ მშობლებს, მონვეულ სტუმრებს უმშვენიერესი ქართული ხალხური თუ საესტრადო სიმღერებით მიესალმნენ გორის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელები (ხელმძღვანელები: მ. ახალ-

კაცი, ქ. ქუმსიაშვილი, გ. ახალკაცი), ნორჩმა მკითხველებმა: ს. ყაულაშვილმა, ვ. გუნდიშვილმა, ნ. ტაბატაძემ მსახიობის ნიჭიც გამოამჟღავნეს და ბიბლიოთეკის გამგის ხელმძღვანელობით, დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს ჯანი როდარის ზღაპრის «ტრაბახა თაგვის»

მიხედვით დადგმული თოჯინური სპექტაკლი. შემდეგ დევნილმა ბავშვებმა დარბაზში დადგმული სიმბოლური სურვილების ხეზე ჩამოკიდეს ფერად კონვერტებში ჩადებული სურვილების ბარათები.

სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ღვანლმოსილი რეჟისორი ა. გვაძაბია, მან სუფილი გამოთქვა შექმნას თეატრი დევნილი ბავშვებისათვის.

ღონისძიების დასასრულს ბავშვები ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საკუთარი ხელით დამზადებული ნივთებით დაასაჩუქრეს.

## ციალა თხელიძე

ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის სპეციალისტი

# აკაკი წერეთლის იუბილე სანტრალურ ბიბლიოთეკაში

საზეიმო განწყობა სუფევდა 13 ოქტომბერს ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. აქ შეიკრიბნენ ბიბლიოთეკის მკითხველები და რაიონის ინტელიგენცია, რომ კიდევ ერთხელ პატივი მიეგოთ აკ. წერეთლის ნათელი ხსოვნისადმი, მოესმინათ და გაეხსენებიათ ჩვენი სასიქადულო პოეტის, მსოფლიოში აღიარებული სიმღერის „სულიკოს“

ავტორის მოღვაწეობა, რომლის შესახებაც ისაუბრეს ჩვენი რაიონის საჯარო სკოლის პედაგოგებმა. შეკრების მსვლელობის დროს დარბაზში ისმოდა „აკაკის ხმა“, შემდეგ სიმღერა „სულიკოს“, საამო ჰანგების ფონზე ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა – ლელა ფერაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ორი მნიშვნელოვანი



ფაქტი: პირველი ის, რომ, მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება აკ. წერეთლის დაბადების 170-წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე და ჩვენც ვუერთდებით ამ მნიშვნელოვან თარიღს; მეორე – მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი რაიონის ხელმძღვანელების დახმარებით სამკითხველო დარბაზში დაიდგა კომპიუტერები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მკითხველისათვის, ვინც ბიბლიოთეკის ისარგებლებს. ჯერჯერობით მკითხველთა სამსახურშია ორი კომპიუტერი, პერსპექტივაშია მათი რაოდენობის თანდათან ზრდა.

აკ. წერეთლის ბიოგრაფიული ცხოვრების შესახებ მასალა ვრცლად წარმოადგინა მე-6 საჯარო სკოლის მასწავლებელმა ხათუნა დუგლაძემ, ხოლო სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულზე და მისი პატრიოტული ლექსების მნიშვნელობაზე ისაუბრა მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა კახიძემ. „აკაკი და თანამედროვეობა,“ – ასეთი იყო თემა, რომელიც შთამბეჭდავად გადმოსცა რკინიგზის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნანა ჩიტორელიძემ, რაც შეეხება თემაზე „ქართველი მწერლების

და საზოგადო მოღვაწეების მოგონებები აკ. წერეთელზე, ილაპარაკა მე-5 საჯარო სკოლის მასწავლებელმა ასმათ მუმლაძემ.

ბოლოს აკ. წერეთელზე მოგონებები გაიხსენა პოეტმა მალხაზ მაჭავარიანმა და წაიკითხა აკ. წერეთლის ლექსი „პოეტი“. ლონისძიება მხატვრული განყოფილებით გააღამაზეს: №1 სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა ლელა მინაშვილმა და მარო ამილახვარმა, ხოლო სიმღერა „განთიადი“, არაჩვეულებრივად შეასრულა – მე-2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე – სალომე მოდებაძემ.

აკ. წერეთლის ლექსები: „თქვენი ჭირიმიე“, „აღმართ-აღმართ“, „წინობა“, „აღსდექე“, „ჩემი სიმღერა,“ – წაიკითხეს მოსწავლეებმა: ნიკა და რევაზ თუთარაშვილებმა, სოფო გაფრინდაშვილმა და მურმან ალავიძემ.

დასასრულს კულტურის სამსახურის უფროსმა დავით ლაბაძემ შეაფასა ჩატარებული ღონისძიება, დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის კოლექტივს ლიტერატურული საღამოს მოწყობისათვის და აღუთქვა მათ დახმარება, კერძოდ კომპიუტერების და წიგნების შეძენის საქმეში.

ღონისძიება დასრულდა დები იშხნელების მიერ შესრულებული სიმღერა „ციცინათელას“, ჰანგების ფონზე.



მზია აბრამიშვილი

# „იაკობოზა“ ბიბლიოთეკაში



ბელი მდივანი, გალაკტიონის პრემიის ლაურეატი დავით ტაკიძე (შემოქმედელი).

სალამო გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ მზია აბრამიშვილმა, რომელიც ზოგადად შეეხო ბიბლიოთეკის ისტორიას, მომუშავე თანამშრომლების ღვაწლს, რომლებიც დიდი სიყვარულით სარგებლობენ მკითხველთა შორის.

ვილმა.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ 103-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები: მარიამ ჭილაძე, საბა თუთარაშვილი, ნანუკა და მარიამ ბეშიძეები, დაჩი სულაძე, თათული ლებანიძე, ლელა ანდლულაძე, მარიამ და მაია კენჩხაძეები, თემურ ბარბაქაძე და მარიამ ნაცვლიშვილი.

მიმდინარე წელს მთელმა საქართველომ აღნიშნა ღირსეული წინაპრის, სახელოვანი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, განმანათლებლის, ქველმოქმედის და უკვდავი „დედა ენის“ შემქმნელის იაკობ გოგებაშვილის 170-ე წლისთავი.

ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის № 30-ე ფილიალში, რომელიც მდებარეობს მეტრომშენის დასახლებაში, ჩატარდა ლონისძიება სათაურით: „იაკობი რომ არ გვყოლოდა“...

ლონისძიებას უამრავი სტუმარი დაესწრო, როგორც მთავარი ბიბლიოთეკიდან, ისე მოწვეული სტუმრები: გურამ თაყნიაშვილი, პოეტი, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი



იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე ისაუბრა ნამყვანმა ბიბლიოთეკარმა შორენა ხარაზიმ-

ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები და მოგონებები, მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილისადმი, წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია იაკობის წარმოებებზე.

სალამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხა პოეტმა დავით ტაკიძემ, მან შეაქო ბავშვები და დასძინა, რომ 30-ე ბიბლიოთეკა „ოაზისია“ მეტრომშენის დასახლებაში ყურადღება გაამახვილა ამ ბიბლიოთეკის როლზე ახალი თაობის აღზრდის და განათლების ჩამოყალიბებაში.

სალამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.



## მაია ახუაშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მეთოდისტი

# ტრადიციულად-აკრილის გოლოს...

კვირეულის პროგრამით კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ, როგორც წინა წლებში, წელსაც ორგანიზებული და საინტერესო ღონისძიებები ჩაატარა. მოეწყო ლიტერატურის გამოფენა „წიგნი და ბიბლიოთეკა“, განახლდა სპეციალური კედლის გაზეთი „ბიბლიოთეკის ხმა“.

კვირეული ოფიციალურად გაიხსნა, რასაც ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი, სპეციალისტები, მკითხველები, ადგილობრივი გაზეთის წარმომადგენლები, საბიბლიოთეკო საბჭოს წევრები. გახსნის ცერემონიალს უძღვებოდა კასპის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი ეთერ ჩადუნელი. მან შესავალი სიტყვაში ილაპარაკა წიგნისა და ბიბლიოთეკების დანიშნულებაზე.

კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ვენერა ბესტავაშვილი, რომელმაც მიულოცა ყველას წიგნის საერთაშორისო და ბიბლიოთეკარის დღე.

კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა სამი თაობის მკითხველებთან დევიზით: „წლების სახსოვარი... კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მატთანზე ისაუბრა ბიბლიოთეკის დირექტორმა ე. ჩადუნელმა. ბიბლიოთეკების დამოკიდებულებაზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში ისაუბრა ბიბლიოთეკის დარბაზის გამგემ ე. დალაქიშვილმა. წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ გამონათქვამები წაიკითხა ბიბლიოგრაფმა მ. გზირიშვილმა.

წინასწარ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ბიბლიოთეკის ვეტერანი მკითხველი, წლის საუკეთესო მეგობარი და ქომაგი და წლის საუკეთესო ახალგაზრდა მკითხველები, რომლებსაც საპატიო სიგელები გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა ვენერა ბესტავაშვილმა და მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა.

კვირეულის დღეებში პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში ჩაება ყველა სასოფლო ბიბლიოთეკა და საინტერესო ღონისძიებები გაიმართა.

სამთავისის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ბიბლიოთეკის გამგის თამრიკო ბეროზაშვილის შემოქმედებითი საღამო. ღონისძიებაზე

მინვეულნი იყვნენ გაერთიანების დირექტორი, სპეციალისტები, მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები. მოწონება დაიმსახურა მისმა ნამუშევრებმა: ნახატებმა, ნაქსოვებმა, შემდეგ მან ისაუბრა თავის შემოქმედებაზე და ლექსები წაიკითხა.

რენეს სასოფლო ბიბლიოთეკამ ჩაატარა ლიტერატურული საღამო „ენა, მამული, სარწმუნოება...“ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კოდისწყაროს, ჩობალაურის სასოფლო ბიბლიოთეკების მკითხველებმა. მათ წაიკითხეს ქართული ენისადმი, სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები.

საინტერესო, შინაარსიანი ღონისძიებები გაიმართა ქვემო ჭალის სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკებში. ჩატარდა თემატური საღამო „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი“.

მეტეხისა და ბარნაბიანთკარის სასოფლო ბიბლიოთეკებმა ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს, რომელიც მიეძღვნა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებას. ღონისძიებაზე მინვეულნი იყვნენ ადგილობრივი მმართველობის თანამშრომლები, საჯარო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მკითხველები.

ზემო ხანდაკისა და ზემო ჩოჩეთის სასოფლო ბიბლიოთეკებმაც ერთობლივად ჩაატარეს ღონისძიება. მხატვრულ კითხვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნორჩი მკითხველები, წარმოადგინეს ცეკვები, სიმღერები, ისაუბრეს წიგნის დანიშნულებაზე.

ალაიანის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა „პოეზიის საღამო...“ პედაგოგებმა, მოსწავლეებმა წაიკითხეს ცნობილი პოეტების ლექსები, გაიხსენეს საინტერესო ეპიზოდები მათი ცხოვრებიდან. ღონისძიებას ამშვენებდა ბავშვთა ფოლკლორული ვოკალური ანსამბლი „თხოთი“, თამაზ დურგლიშვილის ხელმძღვანელობით.

საინტერესო ღონისძიებები გაიმართა იდლეთის, თელადგორის, წინარეხის, გუდალეთის, კავთისხევის, ეზატის, ქვემო ხანდაკის სასოფლო ბიბლიოთეკებში.

ემოციით დატვირთული იყო ქვემო გომის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარებული თემატური საღამო „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ბოლოს კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო კვირეულის დახურვა. ბიბლიოთეკები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

## მანანა ყაზანაშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო საბჭოს თავჯდომარე

# „სამუბლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა“

ვაჟას ამ სიტყვებით გადაიშალა კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთხელ ისტორიის გვერდი, კიდევ ერთხელ გადაიფურცლა 1840 წლის ივლისის ცხელი დღეების ფურცელი, გადაიშალა წარსულის გასახსენებლად, წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად და, რაც მთავარია, შესანიშნავი ღონისძიების მოსაწყობად თემაზე: „აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

1840 წლიდან – 1915 წლამდე ცხოვრების დიდი გზა და ამ გზაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ეთერ ჩადუნელმა. მსმენელთათვის ნათელი გახდა აკაკის ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები: 1852, 59, 62, 70 და ა. შ.

დამსწრე საზოგადოებამ გაიხსენა: სად სწავლობდა აკაკი, რომელი სასწავლებელი დაამთავრა, ვინ ჰყავდა ცოლად, როგორ ჩაუყარა საფუძველი ქართული მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოებასა და ა. შ.



აკაკი წერეთელს სახელმწიფო სამსახურში არასოდეს უმუშავია. ამ ფაქტს პოეტი ასე ხსნიდა: „რალაი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვქენი სამსახურში შესვლა“.

აკაკის ცხოვრებისეული გზა დიდი შემოქმედის, ღვანლმოსილი პოეტის გზაა; ამიტომ დარბაზში ისმოდა მისი ლექსები, გამოცანები, ნაკვესები, ციტატები პროზაული ნაწარმოებებიდან, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ეპიზოდები და სხვა.

აკაკი თითქოს ცოცხლად ჩნდებოდა დარბაზში როგორც რაინდი, პატრიოტი, მსახიობი, მრეწველი, მიჯნური, მთარგმნელი.

აკაკი დააბიჯებდა თორნიკე ერისთავთან, ჰაჯი უსუბთან, პატარა კახთან, ნათელასთან,

გლახუნა ბაქრაძესთან და მსმენელი მაღლდებოდა, ამას ერქვა სულიერი ზეობა, „ხან მიწისა ხარ, ხან ცისა“, თანაზიარობა, „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტოვანი“, მიწის სიყვარულია...

აკაკი დაინვა სამუბლოს სამსხვერპლოზე მომავლის გზის გასანათებლად, აკი თვითონაც ბრძანა: „რაც არ იწვის არ ანათებსო“.

„გარემოების საყვირად“, მოველინა აღმოსავლეთ – დასავლეთს, აფხიზლებდა ერს, აღვიძებდა გარემოს, „სარკედ ქცეული გულით“, მხოლოდ სინამდვილესა და სიმართლეს ემსახურებოდა.

ქვეყანამ დაურწია მას აკვანი, სიცოცხლეშივე დაუდგეს უკვდავების ძეგლი. ერთმანეთს ცვლიდნენ სიტყვებში გამომსვლელები: ხ. ბახუაშვილი, მ. შაველაშვილი, ზ. ბარნივი, დ. მარქაშაშვილი, მ. აბუაშვილი, მ. გზირიშვილი, თ. გაბოძე, ე. კიტრიაშვილი, ლ. ნიბარიშვილი.

კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ ასეთი პროექტებით მკითხველთა, მომხმარებელთა მადლობა დაიმსახურა. დაიმსახურა იმითაც, რომ გაიზარდა მკითხველთა ურთიერთთანამშრომლობა, აქტიურობა, ჩართულობა. ყოველი ღონისძიება სახალხო, საინტერესო და ეფექტური გახდა.

მთავარმა ბიბლიოთეკამ და მისმა თანამშრომლებმა გადამწყვიტეს წლის განმავლობაში ჩაატარონ აქტუალურ თემებზე – დისკუსიები, მრგვალი მაგიდა, ლექციები – აკაკის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

„პართიველი ერი ზნაოვის ბაროვაზრია“

აკაკი

# საუკეთესო ინიციატივა

ბათუმის საზოგადოებას შესანიშნავი ღონისძიება შესთავაზა აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ: მიმდინარე წლის ოქტომბერში გამართა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო „ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, მსოფლიოს ენებზე“.

საღამო მიჰყავდა ბიბლიოთეკის წამყვან ბიბლიოთეკარს მანანა სულაბერიძეს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე. შემდეგ ტრიბუნა დაეთმო სხვადასხვა ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების კითხვას, რომლისთვისაც ბიბლიოთეკის მიერ მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ენების მცოდნე სპეციალისტები, სტუდენტები, მოსწავლეები და ვეფხისტყაოსნის, „ღრმად მცოდნე პირები: მ. რუხაძე, ქ. დათუნაშვილი, ე. ალიბეგაშვილი, ნ. თვალაბეიშვილი, ს. ღლონტი, მ. შედანიას, მ. მიქაძე, თ. თორია, ლ. აბაშიძე, რ. ბარამიძე, ნ. მეტრეველი, თ. ხალვაში, ნ. აბულაძე, თ. ისპირიანი, ჟ. გრიგორიანი, მ. ხაჩატურიანი, ი. ტუნაძე, მ. წულაძე, ა. მეგრელიშვილი, თ. ლომიძე, ე. ბარამიძე, ნ. მიროშნიჩენკო, ი. შავაძე, თ. მეიშვილი. მათმა გამოსვლამ



დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, ჩვენს საზოგადოებას დაანახა, თუ რაოდენ პოპულარულია რუსთაველი მსოფლიოში, აგრეთვე ის, თუ რამდენ ენაზე ჰყავს მას მკითხველი ჩვენს ქალაქში. სწორედ ეს გამოხატეს, უპირველეს ყოვლისა, გამომსვლელებმა – მწერალმა რამაზ სურმანიძემ და ინტელიგენციის წარმომადგენელმა ეთერ ტივაძემ.

ღონისძიება პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მიერ დაწვრილებით აისახა, რამაც ერთიორად გაზარდა მისი არიალი და საზოგადოება ბიბლიოთეკას დაუახლოვა.





# ცისანა ქოჩიაშვილი

ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი

## გულწრფელი აღიარება

ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ სალონს ხშირად სტუმრობს მოკრძალებული, განათლებული ქალბატონი გულნარა სტურუა. იგი საბიბლიოთეკო სფეროს გამოცდილი, ღვანლმოსილი მუშაკია: პირველად რიგითი ბიბლიოთეკარი, შემდეგ მეთოდისტი – მრჩეველი და მასწავლებელი, მოგვიანებით კი ხელმძღვანელი, უცხო ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე, დღეს ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ღვანლმოსილი თანამშრომელი; ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკარის“ სარედაქციო კოლეგიის რედაქტორ-კორდინატორია.

კიდევ უფრო საგულისხმო გახლავთ ის ფაქტი, რომ საზოგადო მოღვაწე გულნარა სტურუა ჟურნალისტი და მკვლევარი, კრიტიკოსი და პოეტიცაა.

აი, სწორედ ეს პიროვნება ეწვია იმ დღეს მთავარი ბიბლიოთეკის ხალხით სავსე დარბაზს, ეწვია საღამოს გამირის საპატიო სტუმრის როლში და ახალი წიგნი წარუდგინა საზოგადოებას. ლექსების ორი კრებულის შემდეგ, შეკრებილთა დიდ ინტერესს ინვევდა ავტორის ჟურნალისტური მოღვაწეობის ამსახველი, პრესის ფურცლებზე სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული მასალების წიგნადქვეული კრებულის გაცნობა, რომელიც სტატიების, პუბლიკაციების, პოლემიკური თუ კრიტიკული წერილების მთელ „დასტას“, მოიცავდა.

ქალბატონი გულნარა და მისი მრავალგვერდანი ნაშრომი დარბაზს წარუდგინეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ქალბატონმა მარინა თექთუმანიძემ და პოეტმა ლინა ბარათაშვილმა. მსახიობმა ჯემალ მელქაძემ და ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელმა ცისანა ქოჩიაშვილმა სტუმრებს გაახსენეს პოეტი ქალბატონის ლექსები

აკადემიკოსმა მარია ლორთქიფანიძემ და პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ მაღალი შეფასება მისცეს გ. სტურუას ჟურნალისტურ მოღვა-



წეობას.

გ. სტურუას ცხოვრებაზე, საქმიანობაზე და შემოქმედებაზე საინტერესოდ ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების გამგემ გურამ თაყნიაშვილმა, პროფესორმა მზია ტოგონიძემ, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგემ მანონ ხორავამ, ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგემ ნათია გაბრიჩიძემ, ამავე ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა თამარ მოსიაშვილმა, პოეტმა რამაზ ბერაძემ. სმენას ატკბობდა ექიმის, შესანიშნავი პოეტისა და მომ-

ღერალ-მაგალობლის ქალბატონ გიული ნარუსლიშვილის მიერ გიტარის თანხლებით შესრულებული რომანსები.

საინტერესო იყო ქალბატონ გულნარას ვაჟიშვილის – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დავით გიგინეიშვილის სამადლობელი დედისა და მოღვაწის მიმართ.

იყო ტაშიც და ცრემლებიც, იუმორიც და, რაც მთავარია, გულწრფელი აღიარება; იყო მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ქალბატონ ციალა კალმახელიძის და ლიტერატურული სალონის სამახსოვრო საჩუქრებიც; ცხადია იყო წიგნის ავტორის გულწრფელი და ემოციური სამადლობელიც.



ღირსეულთა დაფასება

მზია ტომონიძე, ზემფირა ტყაბლაძე

# ღვანულადი ბიბლიოგრაფი

ცნობილი ქართველი ბიბლიოგრაფი, მკვლევარი და პედაგოგი მზია ტყელიძე ინტელიგენციის ერთ-ერთ დიდად განათლებულ ოჯახში დაიბადა. მამა ნიკოლოზ ტყელიძე, სპეციალობით ისტორიკოსი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, განათლებისა და კულტურის სფეროში მუშაობდა. იყო ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკის (ახლანდელი ეროვნული ბიბლიოთეკა) და ყოფილ ა. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სამეცნიერო ცენტრალური ბიბლიოთეკის (ახლანდელი თბილისის მერიის მთავარი ბიბლიოთეკა) დირექტორი. დედა, მარიამ მაჩაიძე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოსოფიის კურსს კითხულობდა. იყო მსოფლიო ქალთა საერთაშორისო ყრილობის საპატიო წევრი.

მის ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები: შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიგაშვილი, დავით გამრეკელი, ელენე ახვლედიანი, ეკატერინე ბაღდაძე და აგრეთვე რუსული მწერლობისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადამწყვეტილებით (იხ. 1955–1958 წლებში აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობდა) გაგზავნილ იქნა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ბიბლიოგრაფიის განხრით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1963 წლიდან მუშაობა დაიწყო ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკატმცოდნეობის კათედრაზე ლექტორად. 1976–79 წლებში იყო ბიბლიოთეკატმცოდნეობის, ხოლო 1984–2006 წლებში საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, კითხულობდა ბიბლიოგრაფიული ციკლის ყველა სპეციალ-

ურ საგანს. მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო კურსი „პროფესიული ეტიკა და ზოგადი კულტურა“.

ქალბატონი მზია სისტემატურად მონაწილეობდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებში, აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევდა და ამზადებდა სტუდენტებს წრეებსა და კონფერენციებზე მონაწილეობისათვის, ზოგიერთი მათგანი რესპუბლიკურ კონფერენციებშიც მონაწილეობდა.



ბიბლიოთეკატმცოდნეობით ფაკულტეტს მისი დეკანობის დროს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი“.

აღსანიშნავია მისი სამეცნიერო-კვლევით მუშაობა: ქალბატონ მზიას ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრე-

ბულში დაბეჭდილი ჰქონდა რიგი სტატიებისა: „ვიქტორ ჰიუგოს დრამის თეორია“, „ბერანჟეს რევოლუციური პოეზია“, „შანდორფ პეტეფის ლირიკა“, „მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი განმანათლებლები“. ამ უკანასკნელმა უმაღლესი შეფასება მიიღო და ქალბატონი მზია გაგზავნილ იქნა მოსკოვში, სადაც მან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება, რისთვისაც საპატიო სიგელი და ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ გამოცემა მიიღო.

მისი სამეცნიერო პროდუქციას ძირითადად წარმოადგენილია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომებში სტატიებისა და თეზისების სახით: „ძველი ქართული ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა“, „ქართული ბიბლიოგრაფიის სათავეებთან“, „ეფრემ მცირე, როგორც ბიბლიოგრაფ-კომენტატორი“, „ხელოვნების ბიბლიოგრაფია და პიროვნების

მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდა,; „სამამულო ომის ქართული წიგნის ისტორიისათვის,„ და სხვ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში მუშაობის პერიოდში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ ბიულეტენში დაიბეჭდა მისი სტატია „საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში„. მ. ჭელიძე დიდ ხანს მუშაობდა სადისერტაციო თემაზე: „ეფრომ მცირე და ძველი ქართული ბიბლიოგრაფია„.

თავდაპირველად მისი სადისერტაციო თემის ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავდა ძველი ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიის X-XIX საუკუნეებს, მას მოუხდა მთელი ამ პერიოდის სასულიერო და საერო ლიტერატურის შესწავლა ბიბლიოგრაფიული ღირებულების თვალსაზრისით, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ კვლევა-ძიება უაღრესად ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან ხელთ ჰქონდა, დღემდე სრულიად უცნობი, დაუმუშავებელი მასალა, წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ყველა სახით, რომელიც სრულიად ახლებურ ჭრილში ამუქებდა ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიის, თეორიისა და მეთოდის საკითხებს. აქ ის შეეხო ისეთ ცენტრალურ საკითხს, როგორცაა ბიბლიოგრაფიის გენეზისის პრობლემა, რამდენადაც იგი ეხებოდა ისტორიის უძველეს ხანას – IV-V საუკუნეებს და არა მე-10 საუკუნეს, როგორც ეს დღესაა მიღებული (ნიკო მარის მიერ სინას მთაზე მოგზაურობის დროს აღმოჩენილი მე-10 საუკუნის ქართული სამონასტრო კატალოგი, ფრაგმენტის სახით).

ქალბატონი მზია ჭელიძე სავსებით სამართლიანად, სიამაყით იგონებს საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე მუშაობას. აღნიშნულ ფაკულტეტს იგი 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ფაკულტეტი მეორად პროფესიას აძლევდა ინსტიტუტის სტუდენტებს. 2 წლიანი სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ. მსმენელები დებულობდნენ დამთავრების დიპლომს და შესაბამის პროფესიას.

ფაკულტეტი ძალიან პოპულარული იყო ინსტიტუტში. თითქმის ყოველი მეორე სტუდენტი სწავლობდა და ეუფლებოდა მეორად პროფესიას და ეს შემთხვევითი არ იყო, რასაც განაპირობებდა ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალი დონე, ხარისხი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე დონის შესაბამისი ელექტრო-ტექნოლოგიით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები.

ფაკულტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის

ვიზიტს. თითქოს ნანახით აღფრთოვანებულმა ფაკულტეტს ბიბლია და წმინდა გიორგის ხატი აჩუქა. სხვებთან ერთად სურათიც გადაიღო, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში„.

1987 წელს მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე მ. ჭელიძემ წაიკითხა მოხსენება ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ფაკულტეტის მისაბაძი და სამაგალითო საქმიანობა – მისი სისტემატური, მრავალსახოვანი ქველმოქმედება წყნეთის უბატრონო ბავშვთა სახლისადმი. სწორედ ამ სახლიდან ქალბატონმა მზიამ იშვილა 4 წლის გოგონა – ნატაშა, რომელიც ამჟამად 29 წლისაა, არის მრავალშვილიანი დედა, ჰყავს 6 მცირეწლოვანი ბავშვი, არის ჭეშმარიტი ქრისტიანი, განათლებული და მხატვრობის საოცარი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. ამასთან დაკავშირებით ქალბატონი მზიასათვის წარუხოცელია ჩვენი პატრიარქის – ილია მეორის სიტყვები: „მზია, ის რაც თქვენ გააკეთეთ, უფლის უდიდესი მადლია და ეს თქვენ მთელი ცხოვრების გზაზე გააყვებათ„.

ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1985 წლის 18 მაისს სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სსრ უმაღლესი პრეზიდიუმის ბრძანებით „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის,„ საპატიო ნოდება მიენიჭა. მიღებული აქვს საქართველოს და საკავშირო კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელები, მედლები, ჯილდოები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა მზიამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის და განათლების საქმეს მოახმარა და ყოველივე ამას აკეთებდა უმაღლესი პროფესიონალიზმითა და ღირსებით. მისი ლექციები გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით, ორატორული ხელოვნებით, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა სტუდენტებზე.

მიმდინარე წლის ნოემბერში ქალბატონ მზია ჭელიძის საიუბილეო თარიღი აღინიშნა. აღსანიშნავია, რომ იგი დღესაც ისეთივე აქტიური პიროვნებაა, როგორც მრავალი წლის წინ. დღესაც მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და თავის კვალს ტოვებს ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში.

ჩვენ, მისი კოლეგები, ყურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის,„ რედაქცია ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას მის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებთან ერთად.

ინგა ფილაური

## დარბის გამორჩეული პროფესიონალი

ლალი ყავლაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც კოლეგებს, ისე ბიბლიოთეკის მკითხველთა შორის, განსაკუთრებით იმ პირთათვის არის ის მახლობელი ადამიანი, რომელ-



თაც არაერთხელ ჰქონიათ მასთან საქმიანი ურთიერთობა, არიან ეს ყოფილი თუ ახლანდელი სტუდენტები.

როგორ შეიძლება დაახასიათო ის? – საქმიანი, მუდამ მოუსვენარი, მუდამ ახლის ძიებაში, მაძიებელი, ენერგიული, პროფესიონალი, საქმეში გამოცდილი, კოლეგიალური და კომუნიკაბელური. მუდამ მზადაა დაეხმაროს მკითხველს, ხელი გაუმართოს და დააკვალიანოს. გამოირჩევა პირდაპირობით, უტყუარი ალლოთი და ირგვლივ მყოფთა მიმართ კეთილგანწყობით.

ერთი შეხედვით პირქუშად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში გულმართალი და გულღიაა, ყველაფერს სიმართლის თვალთა წონის და სიმრუდეს ვერ ითმენს.

ამ საიუბილეო დღეებამდე მოსულმა საკმაოდ გრძელი და მძიმე გზა განვლო. სახელი და ავტორიტეტი თავდადებული შრომით მოუპოვებია. სადაც უმუშავია, ყველგან დაატყო საქმეს თავისი ხელი. თავისით გაიკაფა გზა ცხოვრებაში.

სკოლა 1967 წელს დაამთავრა მშობლიურ მოხისში. მერე იყო უმაღლესი სასწავლებელი. 1971–1975 წლებში სწავლობდა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ

ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე, 1975 წელს მუშაობას იწყებს თბილისის სერგო ზაქარიადის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სახელმწიფო სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგედ. ფაქტობრივად, მან აქ თავიდან ჩამოაყალიბა ბიბლიოთეკა და იგი პროფესიულ დონემდე აიყვანა. 1983–1993 წლებში შეთავსებით ამავე სასწავლებლის პედაგოგადაც მოღვაწეობდა.

1993 წელს სასწავლებლის რეორგანიზაციის დროს სათავეში უდგება თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე, ამ უნივერსიტეტის გაუქმებამდე, შეთავსებით არის აქ არსებული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ნიგმცოდნეობის, აგრეთვე ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ინფორმაციის მენეჯერის სპეციალობაზე პედაგოგი. ამავე დროს გამუდმებით მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 1987–1995 წლებში სწავლობს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ასპირანტურაში ნიგმცოდნეობის სპეციალობაზე. წარმატებით ასრულებს რა ასპირანტურას, მოკლე დროში კიდევ წარადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს, მაგრამ დაცვის სისტემის შეცვლამ და შესაბამისი საბჭოს გაუქმებამ ხელი შეუშალა დაეცვა ხარისხი, თუმც მისი ნაშრომის დიდი ნაწილი, ისე როგორც მრავალი პუბლიცისტური სტატია, ყურნალ «საქართველოს ბიბლიოთეკაში» დაიბეჭდა. სხვათაშორის, ლ. ყავლაშვილი დღემდე წარმოადგენს ამ ყურნალის ერთ-ერთ აქტიურ ავტორს.

უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციის დროს – 2007–2008 წლებში ლ. ყავლაშვილი უკვე არის თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. ამ პერიოდში აქ იყო გადმოტანილი ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ნიგმცოდნეობის სპეციალობა. ამ სპეციალობის დახურვის შემდეგ ლ. ყავლაშვილი მუშაობს თბილისის ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო



უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მთავარ სპეციალისტად, შემდეგ ის მოღვაწეობს ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროს სპეციალისტად, ხოლო 2009 წლიდან უკავია გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობა.



მედალი. იგი კვლავ ენერგიულად და დიდი სიყვარულით განაგრძობს თავის პროფესიულ საქმიანობას. კვლავ გამოირჩევა თავისებური ენერგიით, კვლავ ცდილობს აღზარდოს და გამოაწრთოს საბიბლიოთეკო დარგის ახალგაზრდა სპეციალისტები.

სადაც კი მუშაობდა, ლ. ყავლაშვილმა ყველგან გამოავლინა თავისი პროფესიონალიზმი და პიროვნული ღირსებები. მას მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი, სახელმწიფო ჯილდო – ღირსების

მის კოლეგებს იმედი გვაქვს, რომ ის კიდევ დიდხანს და ასეთივე წარმატებით იმუშავეს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო და წიგნმცოდნეობით დარგში. სწორედ ამას ვუსურვებთ მას ამ საიუბილეო დღეებში, ჯანმრთელობა და ხნიერი სიცოცხლე!

**ბიბლიოთეკის იუბილე**

**ლია გოდელაშვილი**

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანების გან-ბის გამგე

**გურჯაანელთა სულიერი საბანკური-ბიბლიოთეკა 80 წლისაა**

გურჯაანი, როგორც რაიონი და მისი ბიბლიოთეკა თანატოლები არიან, მათ დაარსების 80 წელი უსრულდებათ, ფაქტი, რომ რაიონთან ერთად დაარსდა ბიბლიოთეკა, მიგვითითებს ბიბლიოთეკის არსებობის აუცილებლობასა და უნიკალურობაზე.

1930 წელს სარაიონო ბიბლიოთეკამ ბინა ორ პატარა ოთახში დაიდო, რომლის საშტატო ერთეული მხოლოდ სამი ადამიანით განისაზღვრებოდა. 1970-იან წლებში ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა, სადაც მკითხველთა მომსახურებისათვის სასურველი პირობები შეიქმნა.

მკითხველთა ინტერესების



შესწავლა, მათი ჩაბმა სისტემატურ კითხვაში, აი, ამოცანა, რომელიც ბიბლიოთეკართა სამოქმედო კრედიტ იქცა ახალ, გაფართოებულ შენობაში. ამჟამად ბიბლიოთეკა განლაგებულია სამ სართულზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 640 კვ.მ-ს.

რაიონული ბიბლიოთეკა თავისი სტატისტიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლებით რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოველთვის, რისთვისაც მას საჩვენებელი ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა. გამოცდილების გაზიარების მიზნით გურჯაანის ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ასევე ყოფილი

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. გურჯაანის ბიბლიოთეკის მუშაობა განზოგადებული არის მრავალჯერ მეთოდურ ლიტერატურაში. ამავე დროს გამოცემულია გუია ბერულავას მონოგრაფია: „გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკა„ (1958).

ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩეოდა იდეურად და მხატვრულად მაღალ დონეზე ჩატარებული ღონისძიებებით, სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთა დიფერენცირებული მომსახურების კულტურით, ესთეტიურად და შინაარსობრივად კარგად ორგანიზებული თემატური გამოფენებით. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ბიბლიოთეკა რაიონის მოსახლეობისათვის იყო და არის განათლების, კულტურის და შინაარსიანი დასვენების საუკეთესო კერა. მკითხველმა იცის, რომ ბიბლიოთეკაში მათ დახვდებათ ბიბლიოთეკართა გულთბილი და მომღიმარე სახეები. ბიბლიოთეკართა გულისხმიერება კი მკითხველისათვის ისევეა საჭირო, როგორც კარგად, გემოვნებით, ინდივიდის ინტერესებისათვის შესაფერისი ლიტერატურის შერჩევა.

როდესაც ბიბლიოთეკის ისტორიას გადავხედავთ, არ შეიძლება მოკრძალებით და დიდი მოწინებით არ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს გურჯაანის ბიბლიოთეკის ისტორია, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით წიგნის ამ მშვენიერი ტაძრის განათლების მნიშვნელოვან კერად ჩამოყალიბების საქმეში. ლეგენდარული დირექტორი – ან გარდაცვლილი ქალბატონი გენო ჯორჯაძე ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას. მის გვერდზე აღიზარდა ბიბლიოთეკართა მრავალი თაობა, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. ქალბატონები: ეკატერინე შიუკაშვილი და ელენე გიგაური. მათ მკითხველებმა ცოცხალი ენციკლოპედია შეარქვეს. სრულიად ახალგაზრდები გამოაკლდნენ ბიბლიოთეკის კოლექტივის მერი მღებრიშვილი და იზა მელიქიძე. ამ ადამიანებმა წინა თაობის მკითხველის წიგნიერების საქმეში მნიშვნელოვანი წილი შეიტანეს.

შემდგომ პერიოდში ქვეყანაში შექმნილმა სოციალ-ეკონომიურმა მდგომარეობამ, ისევე როგორც მთელ ცხოვრებაზე, საბიბლიოთეკო დარგზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა. რაიონში ყველა სასოფლო და სა-

ბავშვო ბიბლიოთეკა დაიხურა და მხოლოდ რაიონის ცენტრში ახლანდელი იუბილარი შემორჩა. ეს იყო დარგის დაღმავლობის პერიოდი, თუმცა გვირაბში სინათლის გამოწვევას ჰგავს. ის სასიამოვნო ფაქტი, რომ რაიონში შვიდი ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია განხორციელდა. მათ დაუბრუნდათ თავიანთი წიგნადი ფონდი, და რა თქმა უნდა, კმაყოფილი მკითხველი.

მნიშვნელოვანია, რომ კულტურის სამინისტრომ ორ ბიბლიოთეკას ახალ წიგნებთან ერთად აჩუქა კომპიუტერი, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს დადებითი ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.


2007 წელს ბიბლიოთეკა დამოუკიდებელი იურიდიული პირი გახდა და საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელწოდებით ფუნქციონირებს.

ბოლო ათწლეულის ხალხთა შორის მეგობრობის საუკეთესო ნიმუშია გურჯაანის და საფრანგეთის, ბურგუნდიის მხარის მეგობრობა, რის პირმშოც არის იონის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ საბიბლიოთეკო გაერთიანებაში არსებული ფრანგული ენის პროპაგანდის და საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მათვე აღჭურვეს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ინვენტარით და ლიტერატურით.

ბიბლიოთეკაში არსებული ბოლო სიახლეა მისი ინტერნეტში ჩართვა, რამაც მკითხველის საინფორმაციო მომსახურება უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. შექმნილია ბიბლიოთეკის ვებ. საიტი, რითაც შესაძლებლობა გაჩნდა ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მუშაობა განაახლა ლიტერატურულმა სალონმა, რასაც პოეზიის მოყვარულები კმაყოფილებით შეხვდნენ. სალონის მუშაობას ხელმძღვანელობს პოეტი ქალბატონი ეთერ მაისურაძე.

ბიბლიოთეკის კოლექტივი (დირექტორი მზია გლუჯიძე) კვლავაც ჩვეული ენერგიით, სიახლეების ძიების სურვილით, მუშაობაში ყველა საბიბლიოთეკო ფორმის და მეთოდის გამოყენებით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის ეს ღირსეული, მნიშვნელოვანი კერა წარმატებებით შეხვდეს ბიბლიოთეკის და რაიონის დაარსების 80 წლისთავის იუბილეს.



ნაირა ალხაზიშვილი

ბორჯომის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი

# 100 წლის იუბილარი ბიბლიოთეკა



1910 წელს, ბორჯომში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ საზოგადოების თავმჯდომარის ვლადიმერ სიმონის ძე ყიფიანის ინიციატივით დაარსდა ბიბლიოთეკა, 1910 წლის 19 სექტემბერს ვლადიმერ ყიფიანი პეტერბურგში ატყობინებს დიდ მთავარს ნიკოლოზ რომანოვს, რომ ამ დღეებში ბორჯომში გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო უფასო და იმედს გამოთქვამს, რომ ნ. რომანოვი დაეთანხმება ამას. ბიბლიოთეკა მცირე წიგნადი ფონდით (1500 წიგნი) მოთავსებულ იქნა პარკის მარჯვენა მხარეს (ამჟამად ეს შენობა აღარ არის), მოგვიანებით ბიბლიოთეკა პოლიკლინიკის შენობაში გადაიტანიათ. 1933 წლიდან განთავსდა ქალაქის კლუბში (დღევანდელი კულტურისა და ხელოვნების ცენტრი) და მიენიჭა სარაიონო ბიბლიოთეკის სტატუსი. 1969-2002 წლებში ბიბლიოთეკა სანატორიუმ ფირუზას გვერდით, კურორტის ბალანსზე მყოფ შენობაში გადაიტანეს, სადაც ურთულეს პირობებში, ნესტსა და სივიწროვეში უხდებოდა, მაგრამ ამ



სიძნელეების მიუხედავად, 1983 წელს ბორჯომის სარაიონო ცენტრალური ბიბლიოთეკა, ახალი კლასიფიკაციის დანერგვასთან დაკავშირებით, როგორც ექსპერიმენტში გამარჯვებული, რესპუბლიკაში სკოლა-ბიბლიოთეკად გამოცხადდა, მას უდიდესი როლი მიუძღვის ბორჯომში, როგორც კულტურის, ისე განათლების განვითარების საქმეში.

2002 წელს ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ გრიგალაშვილის და ბორჯომის ყოფილი გამგებლის ემზარ ასპანიძის ძალისხმევით ბიბლიოთეკა ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე იქნა გადატანილი შესანიშნავ პირობებსა და სათანადო ფართში. ბიბლიოთეკის არაჩვეულებრივი ფონდი საუკეთესო წიგნთსაცავში განთავსდა.



1976 წელს ბორჯომის სარაიონო ბიბლიოთეკა გადაკეთდა ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკად და მასთან გაერთიანდა 47 ბიბლიოთეკა-ფილიალი. ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემას ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ქ-ნი ელენორა ჩაჩუა. იგი ჯერ სარაიონო-საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე იყო, 1980 წლიდან 2008 წლამდე კი ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორია. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა პირობებმა თავისი დალი ბიბლიოთეკებსაც დაამჩნია - იხურებოდა ბიბლიოთეკები, ხდებოდა შტატების შემცირება, ვერ ვიძენდით ახალ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, იკლო მკითხველმა, მაგრამ ჩვენი ბიბლიოთეკარები



ჩვეული სიყვარულით ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს.

2008 წელს შეიქმნა ა(ა)იპ «ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება», სადაც 23 ბიბლიოთეკა გაერთიანდა 40 თანამშრომლით; საბიბლიოთეკო გაერთიანებას ხელმძღვანელობს ქ-ნი ნ. ალხაზიშვილი, რომელიც ამ ბიბლიოთეკაში 1975 წლიდან მუშაობს, ჯერ ბიბლიოთეკარად, განყოფილების გამგედ და შემდეგ დირექტორად ამ პოსტზე ის დაასახელა ყოფილმა დირექტორმა ქ-ნმა ე. ჩაჩუამ და კოლექტივმა აირჩია.

ბიბლიოთეკა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მუშაობს. მისი წარმატება არის დამოკიდებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებლის ბ-ნ ვახტანგ მაისურაძეზე, რომელიც თავის დროს გვერდში დაუდგა ბიბლიოთეკას, მისი უშუალო დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგის წინსვლისათვის რაიონში.

გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის მუშაობის პირობები, გამოგვეყო თანხები წიგნების შესაძენად, რაიონის ყველა ბიბლიოთეკისათვის გამოვიწერეთ ჟურნალ-გაზეთები, ვიძინებთ და ვაკომპლექტებთ ბიბლიოთეკებს ახალი წიგნებით. ცენტრალური ბიბლიოთეკა ჩაება ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში, შევიძინეთ საბიბლიოთეკო პროგრამა და იქმნება ელექტრონული კატალოგი, ნაწილობრივ შეეცვალეთ ინვენტარი. სარაიონო-საბავშვო ბიბლიოთეკაში გავაკეთეთ არაჩვეულებრივი გამოფენები, რადგან ბავშვი ადრეული ასაკიდან უნდა მივაჩვიოთ წიგნის კითხვას და შევაცვაროთ წიგნი, გადავწყვიტეთ სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდანაც მოვიწვიოთ ბავშვები საბავშვო ბიბლიოთეკაში. ვესაუბროთ ახალ საბავშვო წიგნებზე.

ბიბლიოთეკაში ჩამოვაცალიბეთ ინტელექტუალური კლუბი «რა? სად? როდის?», რომელშიც რაიონის ყველა საჯარო სკოლიდან და ბუბლობენ მოსწავლეები მონაწილეობას. მისი შედეგია, რომ რაიონის ყველა ბიბლიოთეკაში გააქტიურდა მკითხველი, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაგვარჩია წიგნის ფართო არჩევანი, უნიკალური წიგნებიდან მოყოლებული – ახალი შესანიშნავი გამოცემების ჩათვლით.

ბიბლიოთეკაში შექმნილია ბორჯომელ შე-

მოქმედთა კლუბი, რომელსაც ახალგაზრდა ბორჯომელი მწერალი ხათუნა ურჩაძე ხელმძღვანელობს. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბევრი ადამიანი გაერთიანდა მასში, მათ მიეცათ საშუალება წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და გააცნონ საზოგადოებას.

ბიბლიოთეკას დახმარებას უწევს ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოება, რომელსაც ქ-ნი იზოლდა კურტანიძე ხელმძღვანელობს. მის შემადგენლობაში არიან: სტეფანე გაბრიელიძე, რომელმაც უზომოდ დიდი დახმარება გაუწია ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ იმ გაჭირვების დროს, როდესაც ბიბლიოთეკას ერთი თეთრიც არ გააჩნდა თანხები, რომ ქალაქი და კა-

ლამი შეეძინა, ასევე გვეხმარებოდნენ: ჯემალ მაჩაიძე, დავით გელაშვილი, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ მათ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამი განყოფილებაა: 1. მომსახურების, 2. მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული, 3. დაკომპლექტება-დამუშავების. მას 12 მაღალკვალიფიცი-

ური თანამშრომელი ემსახურება. მკითხველთა მოზიდვისათვის აქტიურად შრომობენ: ცენტრალური სარაიონო-საბავშვო, ნაღვერის, ანდუზიტის, რველის, ახალდაბის, ტაძრისის, ჭობისხევის, ჩითახევის კორტანეთის და სხვა სასოფლო ბიბლიოთეკები.


მართალია, წელს ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის საიუბილეო წელია – იგი საუკუნის წინ დაარსდა, მაგრამ რიგრიგობით მას შემოემატა სხვა ბიბლიოთეკები და ისინი ყველა ერთად გაერთიანებული არიან ერთ საბიბლიოთეკო სისტემაში. ცენტრალური ბიბლიოთეკა მათი მეთოდური ცენტრია. ერთად შრომობენ, ერთ საქმეს ემსახურებიან, საქმეს რასაც წიგნის სიყვარული ჰქვია.

ყველა ბიბლიოთეკას ვულოცავთ ამ ღირშესანიშნავ – თარიღს საუკუნოვან იუბილეს. ვულოცავთ ქ-ნ ელენორა ჩაჩუას, რომელმაც 62 წელი იმუშავა ბორჯომის საბიბლიოთეკო სისტემაში და მთელი ცხოვრება ამ დარგის აღმშენებლობისათვის იღწვოდა, ვულოცავთ იმ ღვანლმოსილ მუშაკებს, რომლებიც დღეს პენსიაზე არიან, დიდი ხნის განმავლობაში კი საბიბლიოთეკო საქმეს ემსახურებოდნენ, ესენი





არიან ანდეზიტის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარი თამარ გელაშვილი, რველის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარი ჟუჟუნა დალაქიშვილი, ვარდგინეთის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარი ნათელა გელაშვილი, ზანავის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარი ციალა ბერაძე, ქობისხევის ბიბლიოთეკის ყოფილი



ბიბლიოთეკარი ლილი ლომსაძე, ტაძრისის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარი ლოლა გოგოლაძე, აგრეთვე ცენტრალური ბიბლიოთეკის ყოფილ თანამშრომლებს: დარეჯან კაპანაძეს, ლარისა წეველიძეს! დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას ვუსურვებთ მათ!

100 წლის წინ დაარსებულმა ბიბლიოთეკამ უდიდესი როლი შეასრულა ბორჯომის კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში. იმედია ისევ ისეთი შემართებით იმუშავებს ბიბლიოთეკა, რათა წიგნიერი თაობა აღზარდოს, წიგნიერი თაობის გარეშე სახელმწიფო წინსვლა წარმოუდგენელია. იმედი გვაქვს ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების, რათა იღვანოს და ბევრი სასიკეთო საქმე აკეთოს ბიბლიოთეკამ.

### შრთიერთობა იუბილარ ბიბლიოთეკასთან

მრავალი სტუმარი ესტუმრა ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ამ ზაფხულს. მათ შორის მინდა რამდენიმე გამოვყო, რომლებიც აღტაცებულები დარჩნენ, რომ ბიბლიოთეკა ინარჩუნებს ტრადიციულ, ღირსეულ სახეს, ისინი მოხიბლულები დარჩნენ ბიბლიოთეკარების გულისხმიერებით.

«დარწმუნებული ვარ, ბორჯომის ბიბლიოთეკა, ბორჯომელთა «სულიერების ერთგვარი ტაძარია», ვუსურვებ მას წიგნებით კვლავ და კვლავ გამდიდრებას და წინსვლას, ამ უნიკალური კუთხის მცხოვრებთა და სტუმართა საკეთილდღეოდ».

**წერს ნიკოლოზ კენჭოშვილი**

აკადემიკოსი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (ინდოლოგი)

დიდი მადლობა იუბილარ ბიბლიოთეკას ზაფხულის გალამაზებისათვის!

დიდი ხნის დავინწყებული მეგონა ის სიტობო, რასაც ადრე ბიბლიოთეკებიდან ვიღებდი,

თითქოს ბავშვობა-სტუდენტობის ასაკში დამაბრუნეს ბორჯომის ბიბლიოთეკის გულისხმიერმა თანამშრომლებმა.

გამაკვირვა წიგნების ფართო არჩევანმა, როგორც ძველმა გამოცემებმა, ასევე თანამედროვე მწერლების სიმრავლემ. ბიბლიოთეკის თანამშრომლების დახმარებით შევძელი გავცნობოდი ახ-

ალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებას და მათზე ჩემი სრულყოფილი წარმოდგენა შემეძენა, ზოგ მწერალზე პოზიტიური აზრი შემეძენა.

დიდი მადლობა

ახალი შეხვედრის მოლოდინში,

პატივისცემით და სიყვარულით თქვენი  
**მანია ნიკოლაიშვილი**

ღილით ადრე ბიბლიოთეკის კარი შემოაღო ახოვანმა მამაკაცმა და მოიკითხა ნუგზარ წერეთლის წიგნები თუ გაქვთო, ერთი დასახელების წიგნი აღმოგვანდა ბიბლიოთეკაში, მან საჩუქრად კი 4 დასახელების 8 ცალი საუკეთესო წიგნი გადმოგვცა თან სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ. იგი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამეცნიერო-კულტურულ ჟურნალ «სიტყვის» რედაქტორი, საქართველოს გ. რჩეულიშვილის საზოგადოების პრეზიდენტი ნუგზარ წერეთელი იყო...

1907 წლის 30 აგვისტოს, წინამურში, კანის ნაშიერნი დაუხვდნენ ილია ჭავჭავაძეს, მკვლევები დაქირავებულები იყვნენ, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის დადგენილი მკვლელის ვინაობა, ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ილიას მკვლელობა განზრახული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, რადგან ილია გმობდა მათ პოლიტიკურ გზას და ხალხში უსაზღვროდ პოპულარული იყო...

2010 წლის 27 აგვისტოს თემაზე ვინ მოკლა ილია? ბორჯომის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ლექცია ჩაატარა ისტ. მეც. დოქტორმა პროფესორმა ვახტანგ გურულმა. დარბაზი სავსე იყო მსმენელებით, მსმენელები დიდი ინტერესით უსმენდნენ მას და მადლობა გადაუხადეს ასეთი კარგი ლექციისათვის.

დიდი მადლობა ბ-ნ ბაკურ გელაშვილს, რადგან მისი ინიციატივით იქნა მოწვეული ბ-ნი ვახტანგი.

## წიგნები და ავტორები

### ლაშრა ასლამაზიშვილი

# იაკობ გობეჯაშვილის „ბუნების კარის“ პირველი გამოცემა

იაკობ გობეჯაშვილი - 170

დიდ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის იაკობ გობეჯაშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია, მისი მოღვაწეობა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველაფერი ქართული იდეებზე იყო. სკოლებში ქართული ენის სწავლებაც კი აკრძალული იყო, ყოველივე ეს ძლიერ თრგუნავდა იაკობის ამაყ ბუნებას.

იაკობი მოწოდებით პედაგოგი იყო. იგი დაუღალავად იბრძოდა და იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით, მან პირველად წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანმიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება აღიარა. მისი პედაგოგიური მოძღვრება ქართული კულტურის წიაღში საზღვარგარეთისა და რუსული პროგრესული პედაგოგიკის მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითად გადამუშავების შედეგად აღმოცენდა. მისთვის, როგორც კონსტანტინე უშინსკისთვის რუსეთში, პედაგოგიკის მთავარი პრინციპი იყო ხალხურობა, რომელიც ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებასა და მშობლიურ ენაზე სწავლებას გულისხმობდა. იგი სწავლების ქვაკუთხედად მშობლიურ ენას მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ სკოლებში პირდაპირ რუსულ ენაზე სწავლება, როდესაც ბავშვმა კარგად და საფუძვლიანად არ იცის მშობლიური ენა, დიდი შეცდომა იყო: "ბავშვის გონება ნორჩია და სუსტია; მას შეუძლია აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა, როცა ამგვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემადგრდება, მაშინ მძიმე შრომის ატანასაც შეძლებს. ეს არის ბუნების კანონი და დაუსჯელად არ დარჩება ის, ვინც ამას ეწინააღმდეგება. თავისი ენა ყმაწვილთათვის ადვილად სასწავლებელია, ამით უნდა ისაზრდოვოს და გაიხსნას გონება. შემდეგ უცხო ენას ადვილად მიხვდება და შეისწავლის. თუ

ყმაწვილს გონება თავის ენაზე გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება, დროს ბევრს დაკარგავს და გვარიანად ვერ შეისწავლის".

იაკობს ძალიან იზიდავდა სოფლის ბუნება. იგი საათობით აკვირდებოდა სხვადასხვა ყვავილებს, ცხოველებს, ანკარა მდინარეში მოფართხალე თევზებს. როგორც ბუნების მესაიდუმლემ, კარგად იცოდა, რომ "ბუნება და ადამიანი ერთმანეთზე განუწყვეტლივ მოქმედებენ. ადამიანს ბევრგვარი ცვლილება შეაქვს ბუნებაში, ვიდრე არ დაამყარებს შესაძლო ჰარმონიას მისსა და თავის მოთხოვნებს შორის" (ი. გობეჯაშვილი, თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 308).

იგი თვლიდა, რომ პატარამ გარემოს შეცნობით უნდა დაიწყოს სწავლა, რადგან მისი ყოველი "კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებს... რით საზრდოობენ გარეუღნი პირუტყვნი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ, საიდგან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი და ელვა, - აი, რა კითხვები ებადება ყველაზე ხშირად ყმაწვილს გონებაში". ამიტომაც მან გადამწყვიტა შეექმნა ისეთი წიგნი, რომელიც საინტერესო იქნებოდა ბავშვებისათვის და რომელშიც მათთვის გასაგები ენით იქნებოდა აღწერილი ეს მშვენიერი სამყარო. წიგნს უწოდა "ბუნების კარი" და წარუმიძღვარა პატარა ლექსი:

"ვინც რომ სამშობლოს ენას  
 ივიწყებს და არ ეძებს,  
 ძრიელ კარგიც რომ იყოს,  
 ნაყოფს ვერ გამოიღებს".

მისი აზრით, ეს წიგნი ბავშვებს სასარგებლო ცოდნას მისცემდა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ: "ნამდვილი საინტერესო წიგნი ჩვენი ყმაწვილებისათვის უნდა იყოს ისა, რომელიც შესდგება ბუნებისა და იმის საგნების აღწერათაგან, რომელიც მდაბიურად ხსნის ბუნების მოვლენებსა. ეს ჰაზრი გვქონდა ჩვენ სახეში, როცა შევუდექით ამ



ნიგნის შედგენას. უმთავრესი მიზანი ამ ნიგნისა არის – გაუხსნას ყმანვილს თანაგრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა... ყმანვილი მიხვდება, რომ ბუნება მრავალგვარი იცოცხლებს და დღეს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა. თუ ამ ნიგნის სტატიები ყმანვილებს ზედმინვენით მაინც აგრძნობინებენ, რომ ბუნების გამოძიება არის წყარო ერთის მხრივ ჭეშმარიტი სარგებლობისა და, მეორე მხრივ ღრმა სიამოვნებისა, მაშინ ჩვენ შრომას ამათ აღარ ჩავაგდებათ".

"ბუნების კარის" პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1868 წელს. ეს პირველი საკლასო საკითხავი ნიგნი ქართულ ენაზე შედგენილია კ. უშინსკის "ბავშვთა სამყაროსა" და ი.ა. კომენსკის "რჩეული პედაგოგიური თხზულების" ანალოგიით და იმავე პრინციპების საფუძველზე. იაკობ გოგებაშვილის "ბუნების კარი" ელემენტარულ-ენციკლოპედიური ხასიათის საკითხავი ნიგნია, მასალა პედაგოგიურ-მეთოდური თანმიმდევრობითაა დალაგებული და დაწერილია გასაგები ენით. ეს ნიგნი შედგება რამდენიმე თავისაგან: "წინა სტატიები", "მცენარეები", "ფრინველები", "ოთხფეხნი", "ადამიანზედ", "წელიწადის დრონი", "ბუნების მოვლენანი", "გეოგრაფიული სტატიები", "საქართველოს მოკლე ბიოგრაფია", "კერძობითი განხილვა", "ლექსები" დართული აქვს ასევე ამიერკავკასიის რუკა რომელიც შეადგინა ვახტანგ თულაშვილმა.

მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილი უკმაყოფილო იყო, რადგან თვლიდა, რომ ნიგნი სრულყოფილი არ იყო: "ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ნიგნი თავის დანიშნულებას ყოველის მხრივ ვერ აასრულებს, ამიტომ რომ ნაკლოვანება ბლომად აქვს... ჩვენს ნიგნში ყმანვილი ვერა ნახავს იმ ცხოველების სურათებს, რომელზედაც ლაპარაკია. და თუ ესენი არ უნახავს, იმათ სახეს გონებაში ვერ წარმოიდგენს. ეს დიდი ნაკლოვანებაა!"

"ბუნების კარის" თითოეულ ახალ გამოცემაში ცვლილებები შეჰქონდათ. უპირველეს პედაგოგს გამახვილებული ჰქონდა ყურადღება, ცდილობდა თითოეულ პატარას მორგებოდა მისი ნიგნი, ხალხური ლექსიც კი გადააკეთა, რადგან იქ სახარება იყო ნახსენები და მოერიდა მაჰმადიანი ქართველი არ დამფრთხალიყო, ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნილი მოთხრობები: "ქურდი და მამალი", "მერცხალი და მეცხვარე", "ცხვარი და მარტი", მოთხრობები: "დევნილი მეგობარი", "ბელურა", "ლომი", "მერცხალი" და სხვა.

მესამე გამოცემაში (1876) პირველი განყოფილების სტატიები გადაკეთდა და შეივსო ახალი მასალითა და სურათებით. მიუხედავად ამისა, იგი წუხდა, რომ ისტორიული განყოფილების შეტანა ვერ შეძლეს მასალის უქონლობის გამო, თუმცა კმაყოფილი იყო, რომ გეოგრაფიული განყოფილება სრულყოფილი იყო, "ისტორიული განყოფილების ნაკლებლება საგრძნობლად დააკოჭლებდა ამ ნიგნს, რომ გეოგრაფიული განყოფილება არ ყოფილიყო ვრცელი და განვითარებული. საქართველოს

წარსულის მაგივრად ნიგნი დაწვრილებით უხატავს ყმანვილს ჩვენი ქვეყნის აწმდგომ ყოფა-ცხოვრებას"...

გოგებაშვილის სურვილი იმდენად დიდი იყო, ქართველ ბავშვებს სცოდნოდათ თავიანთი სამშობლოს ისტორია, რომ დაიწყო წერა ისტორიული მოთხრობებისა, მან "ქართლის ცხოვრების საგმირო ეპიზოდები მოსწავლეთათვის მისაწვდომად გადაამუშავა და ჩვენი ბავშვების სულიერ ცხოვრების ნაწილად აქცია: ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, იოანე ზედგენიძისა და სამასი თავდადებული არაგველის გმირობა, რომლებშიც საინტერესოდ იყო აღწერილი ჩვენი წარსულის მნიშვნელოვანი ამბები.

მეხუთე გამოცემაში იქნა შესაძლებელი ნიგნი შეესებოდა ახალი ისტორიული განყოფილებით, რომელშიც მოყვანილია საქართველოს ისტორიული პიროვნებები: "პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი", "ანდრია მოციქულის ქადაგებანი", "თამარ მეფე", "დავით აღმაშენებელი" და ა.შ. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიული მონოგრაფიები დაწერილა "მოსწავლეთა გონებისა და გულისთვის. ბევრით უკეთესია – იცოდნენ რაოდენსამე წარჩინებულს ისტორიულს პირზედ ბევრი-რამ, იმის გამო, რომ ქართულ ენაზედ სრულად არ არსებობენ საყმანვილო ისტორიული მოთხრობანი. ჩვენ გვაქვს ან მეცნიერული გამოკვლევანი, რომელნიც თავისი დაწვრილებითი ამბებით მოსწავლეებს დააფრთხობენ, ან მოკლე, მშრალი სახელმძღვანელო, რომელნიც, თუმცა საზოგადოდ სასარგებლონი არიან, ყმანვილის გონებასა და გულს მაგდენს ვერაფერს მიაძლევენ".

შემდგომ ეს განყოფილება შეივსო მოთხრობებით: "ასპინძის ომი", "იოანე ზედგენიძე", "ერეკლე მეფე და ინგილო ქალი", "თავდადებული მღვდელი თევდორე", "ცოტნე დადიანი", "სხივი წარსულისა", "სამასი თავდადებული გლეხი" და ა.შ.

იაკობ გოგებაშვილი "ბუნების კარს" ფართო ამოცანებს უსახავდა; "ჩვენ მოწოდებული ვიყავით მოგვეცა ჩვენი სკოლისა და ოჯახისთვის იმისთანა სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება ერთსა და იმავე დროს გონების განვითარებასაც, გულის გაკეთილშობილებასაც, ნებისა და მისწრაფების განმტკიცებასაც, ერთი სიტყვით, ხელს შეუწყობს სულის ჰარმონიულად განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისა და რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველივე ერის წარმატება, ბედნიერება" ("ბუნების კარის" მე-10 გამოც. წინასიტყვაობიდან), და მართლაც, "ბუნების კარი" გამოცემისთანავე სამაგიდო ნიგნად იქცა თითოეული ქართველისათვის.

იაკობ გოგებაშვილმა მთელი სიცოცხლე ქართულ საქმეს შესწირა, მისი ნიგნები ათი ათასობით ვრცელდებოდა ყოველწლიურად. 20–25 ათასი "დედა ენა" და 5–6 ათასი "ბუნების კარი" იყიდებოდა. ამ ნიგნებმა დაუდო საფუძველი განათლების ფართო გავრცელებას საქართველოში.

თეა იოსავა

# შემოქმედის უკვდავება

"ჩეხოვი – ეს არის პუშკინი პროზაში"

ა.პ. ჩეხოვი – 150

ლევ ტოლსტოი

დიდი რუსი მწერალი ანტონ პავლეს–ძე ჩეხოვი დაიბადა 1860 წელს. წარმოშობით იგი მდაბიოთა წრეს ეკუთვნოდა.

მამამ ჩაუნერგა პატარა ჩეხოვს შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, სწავლის სიყვარული და სხვა. მან თავისი შვილები გიმნაზიაში მიაბარა, დაუქირავა მუსიკის მასწავლებელი, შეასწავლა უცხო ენა.

სიცოცხლეში, შიმშილმა და აუტანელმა მძიმე შრომამ ახალგაზრდა ჩეხოვი ვერ გატეხა. მკაცრმა ცხოვრებამ მას ურყევი ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე გამოუმუშავა. ტაგანროგის გიმნაზიაში ჩეხოვმა 11 წელი დაჰყო 1868–1870) მიუხედავად იმისა, რომ იგი გულმოდგინედ მეცადინეობდა, სწავლაში დიდი წარმატებისათვის თითქმის არასოდეს მიუღწევია.

ტაგანროგის გიმნაზიაში გატარებული წლებიდან ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ის სამი წელი იყო, როცა ჩეხოვი თავის ქალაქში დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა. 1876–1879) მომავალი მწერლის ზნეობრივი და შემოქმედებითი ფორმირების პროცესი ყველაზე უფრო ინტენსიურად სწორედ მაშინ წარიმართა, მაშინ იგრძნო მან ძლიერი სიყვარული მხატვრული ლიტერატურისა და თეატრისადმი, მაშინ დაიწყო აგრეთვე მომნიშვნელობისა ძლიერმა ნიჭმა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ დღეს სხვის ოჯახებში სიარულსა და კერძო გაკვეთილებს უნდებოდა, ჩეხოვი მაინც ახერხებდა თავის თავზე მუშაობას ამხანაგების მიმართ უალრესად გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა, მთელ გიმნაზიაში გამოირჩეოდა სამართლიანობით, არაფერი არ სძულდა ისე, როგორც სიცრუე.

ახალგაზრდა ჩეხოვმა დამოუკიდებელ მხატვრულ შემოქმედებასაც მოჰკიდა ხელი, 1877 წელს გიმნაზიაში ჟურნალი "დოსუგუმი" (მოცალეობა), ჩეხოვმა მოათავსა ნარკვევები "სემინარიის ცხოვრებიდან" და "სცენა", 1877–1878 წლებში დრამაშიც სცადა კალამი. მან დაწერა ორი დრამა "უმამობა" და "ქათამი ტყუილუბრალოდ არ მღეროდა". მან თავისი ნაწერები მოსკოვში ძმას გაუგზავნა, ახალგაზრდა ანტონის ნაწერებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, მათში გამომჟღავნებული იყო დახვეწილი ენა, ცოცხალი, ლაკონური სიუჟეტი, მხიარული კილო, იუმორი. უფროსი ძმა ანტონს ატყობინებდა მის დიდ წარმატებას მოსკოველ მკითხველებში.




ხელოვნების მეორე სფერო, რომელმაც მხატვრულ ლიტერატურაზე არანაკლებ დააინტერესა ახალგაზრდა გიმნაზიელი ჩეხოვი, იყო თეატრი. 1870 წელს ჩეხოვმა დაამთავრა გიმნაზია. 1879–1884 წწ. მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. მართალია საექიმო საქმიანობა ხელს უშლიდა ჩეხოვის ლიტერატურულ შემოქმედებაში, ლღობდა, მაგრამ ამასთანავე დადებით გავლენას ახდენდა მასზე. მწერალმა პატარა მოთხრობებში წარმოსახვის ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, როგორც მხოლოდ ეპიკური ჟანრის დიდ ნაწარმოებებშია შესაძლებელი. ოთხ–ხუთგვერდიან ნოველებში ჩეხოვი არაჩვეულებრივი ოსტატობით აქსოვდა დიდ შინაარსს, გვაძლევდა ისეთ იდეურ სიღრმეს, რომელსაც სქელტანიანი რომანები ან პოემები თუ მოგვცემდა.

"უნტერ პრიშიბეევი" მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით მონუმენტური მოთხრობაა. აქ თვითმპყრობელური რუსეთის მკვეთრი სურათი მინიატურულ ჩარჩოშია მოქცეული.

ჩეხოვის შემოქმედებითი მეთოდი თავიდანვე კრიტიკულ–რეალისტური იყო. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პუშკინის, გოგოლის, სალტიკოვ–შჩედრინის მოწაფე, მაგრამ არა როგორც უბრალო მოწაფე, არამედ როგორც მათი ტრადიციების საუკეთესო განმგრძობი ნოვატორი, როგორც უალრესად ორიგინალური სტილის მწერალი.

ახალგაზრდა ჩეხოვი დასცინოდა თავის თანამედროვე წეს–წყობილებას, სადაც ერთი ადამიანი ნახევრად მონურ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული მეორეს მიმართ, სადაც ადამიანები დაყოფილნი იყვნენ ერთიმეორისაგან მკვეთრად გათიშულ სოციალურ ფენებად. ეს თემა – ადამიანი და ჩინი" ბევრ მის მოთხრობაში ჟღერს, მწერალი ხედავს, რომ ყველგან ჩინი იმარჯვებს ადამიანზე, რომ ყველგან იგი უფრო მნიშვნელოვანია. მწერალს არ სურს შეურიგდეს ამგვარ მდგომარეობას. იგი დასცინის ძლიერთა ამა ქვეყნისათა, იმ პირობებს, სადაც ეს არარაობანი შეიძლება ამოტივტივდნენ ცხოვრების ზედაპირზე.

მისი პირველი ვრცელი მოთხრობა "ველი" დაიწერა 1888 წელს. ეს ნაწარმოები წარმოადგენს სრულიად ახალ მოვლენას ჩეხოვის შემოქმედებაში. 1889 წელს დაიბეჭდა ჩეხოვის ვრცელი მოთხრობა "მოსაწყენი ისტორია", რომელიც იდეურად "ძია ვანიას" ენათ-



ესავება. ყველგან ჩეხოვი დიდი ინტერესით აკვირდებოდა უბრალო რუსი ადამიანების ცხოვრებას. სახალისზე მოგზაურობისას მწერალს ადამიანის დამცირების, მისი უფლების გათელვისა და აუტანელი ტანჯვის შემზარავი სურათი გადაეშალა თვალწინ. 1891 წელს იბეჭდებოდა ნარკვევი "კუნძული სახალისი", მწერალმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა რუსულ თვითმპყრობელობას. მალე ევროპის მრავალ ენაზე გადაითარგმნა და ყველგან დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამ წიგნს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა მდგომარეობის შესასწავლად კუნძულ სახალისზე საგანგებო კომისია გაეგზავნა.

ჩეხოვმა 1892 წელს მელიხოვოში პატარა მამული შეიძინა და დასახლდა, სოფელში იგი უკეთ გაეცნო რუსი გლეხის ყოფაცხოვრებას. ჩეხოვის თაოსნობით მელიხოვოში გაყვანილ იქნა გზები, გაიხსნა სკოლა, საავადმყოფო, იმ პერიოდში (1892–1898 წწ) დაიწერა "პალატა № 6", "სიტყვიერების მასწავლებელი", "სახელი მეზონინით", "გლეხები", პიესები "თოლია" და "ძია ვანია". ამ მოთხრობაში "სოფლის ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად მწერალმა უფრო გვიან შექმნა შენაღობიანი მოთხრობა "ხრამში".

მელიხოვის პერიოდში ჩეხოვის შემოქმედება აღწევს განვითარების უმაღლეს დონეს. რუსეთის სინამდვილე მწერლის მხატვრულ ნაწარმოებში უფრო ფართოდ და უფრო მეტი სიღრმის ისახება. "მოთხრობაში "ჩემი ცხოვრება" ჩეხოვი განაგრძობს რუსი ობიექტის მემზანური ყოფა-ცხოვრების სასტიკ მხილებას. "მთელ ქალაქში, მექრთამეობა, ნამგლეჯაობა, ბატონობა თვითმპყრობელური სახელმწიფოს ყოველ დანესებულებაში. უნუგემო სურათი იყო ადამიანების კერძო ოჯახურ ცხოვრებაშიც.

მოთხრობაში "კინკრიჟკა" სასტიკად არიან გაკიცხულნი ნაროდნიკები, მწერალმა თავისი შემადრწუნებელი მხატვრული სურათებით გააცამტვერა ნაროდნიკი მწერლები, რომლებიც რუსეთის პატრიარქალურ სოფელს აიდიანებდნენ და გლეხის სულიერ ცხოვრებას ნათელი ფერებით ხატავდნენ. მწერალს უნდოდა სოფლის ასეთი გულშემზარავი სურათების გამომზეურებით ბრალი დაედო იმათთვის, რომლებმაც სოფელი ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს, ვინც გლეხობა გაანადგურა, აანოკა, ბუნებით უადრესად კეთილშობილი ადამიანები ზნეობრივად დააქვეითა და დაასახინრა.

"კაცი ფუტლიარში" დაიბეჭდა ჟურნალ "რუსკაია მისლის" 1898 წელს მოთხრობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის პრესაში. ეს მოთხრობა წარმოადგენს ჩეხოვის სოციალური სატირის განვითარების მწვერვალს, როგორც თავისი ფორმით, ისე იდეური შინაარსით.

"თოლიაში" ჩეხოვმა მიზნად დაისახა, დაებრუნებინა თეატრისათვის ნამდვილი ცხოვრება, სიმართლე. "სცენაზე ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ეს ცხოვრებაშია". ეს დებულება მთლიანად იქნა განხორციელებული პიესაში. 1901 წელს მოსკოვის სამხატვრო სცენაზე დაიდგა ჩეხოვის

პიესა "სამი და". პიესაში ჩაქსოვილია მაღალი ჰუმანური აზრი ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. გორკი ჩეხოვის შესახებ წერდა: "როცა ჩეხოვი მოკვდება რუსთის ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი, რუსეთიც შეძრწუნდება მწუხარებისაგან.

ჩეხოვი საქართველოს ესტუმრა ორჯერ – 1888 და 1900 წლებში. ჩეხოვს საქართველოზე გარკვეული წარმოდგენა შექმნებოდა, უპირველეს ყოვლისა, პუშკინის იმ ნაწარმოებთა მიხედვით, რომლებშიც უდიდესი რუსი პოეტი ღრმა გრძნობითა და შეუდარებელი მხატვრული ძალით ასახავდა ჩვენს ქვეყანას. ჩეხოვი აღტაცებულია ჩვენი მრავალსახოვანი ბუნებით...

ოთხმოცდაათიანი წლების დამლევს ქართულად უკვე თარგმნილი იყო რუსული ლიტერატურის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებები, რომელთა შორის აღსანიშნავია ჩეხოვის თხზულებათა თარგმნაც (90-იან წლებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მოთხრობების თარგმანები 1896 წელს "ჩხუბი კვერცხისათვის", 1899 წელს "ეძინება", 1900 წელს – "მარცხი", ხოლო 1901 წელს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ჩეხოვის 15 მოთხრობა, 1902 წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და მან 20-ს მიაღწია.

ამის შემდეგ კი ჩეხოვის ნაწარმოებთა ქართულად პუბლიკაცია თანდათან კლებულობს. 1903 წელს იბეჭდება 14 მოთხრობა, 1904 წელს 11, 1905 წელს 2, 1906 წელს და 1907 წლებში არცერთი. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩეხოვისადმი ინტერესი არასოდეს შენელებულა, ჩეხოვის ნაწარმოებებს რევოლუციამდე ბეჭდავენ ჟურნალები "კვალი", "მოამბე", "ნისადური", გაზეთები "ივერია", "ცნობის ფურცელი". ჟურნალმა მოამბემ, რომელიც რეალისტური მიმართულებისა იყო, დაბეჭდა "შიში" და მოთხრობები.

მოთხრობები "უნტერ-ოფიცერი პრიშიბევი", "ბოროტმოქმედი", "კაცი კოლფოში", "შუბი ტომარაში არ დიძალება" და მრავალი სხვა გამოქვეყნდა გაზეთ "ცნობის ფურცელში ჩეხოვის პიესები "თოლია", "ძია ვანია", "სამი და", "ალუბლის ბაღი", რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო რუსული კლასიკური რეალისტური თეატრის განვითარებაში, არამედ ქართული თეატრების რეპერტუარშიც. მისი ნაწარმოებები ძალზე დიდი ინტენსიურობით იბეჭდებოდა საქართველოში, გამოიცემოდა სხვადასხვა პერიოდში, მაგ.

ჩეხოვი ა. მოთხრობების კრებული (თარგმნ. ს. ა. ბარნოვი – თბ., 1927, – 34 გვ.

ჩეხოვი ა. პიესები. მთარგმნ. ქელივიძე მ. – თბ., 1990.

ჩეხოვი ა. მოთხრობების კრებული – მთარგმნ. რ. კიკნაძე. – თბ., 1992.

ჩეხოვი ა. დრამა ნადირობისას / მთარგმნ. ა. მეგრელიძევილი, – თბ., 1994.

ჩეხოვი ა. მოთხრობების კრებული. / მთარგმნ. ლ. მჭედლიძევილი. – თბ., 2007.

## მეთოდური სამსახური

## გურამ თაყნიაშვილი

## ბიბლიოთეკის დახურვასაც სოდნა უნდა

უკანასკნელი 15–20 წლის განმავლობაში საქართველოში 3000–მდე ბიბლიოთეკა დაიხურა, მათგან ყველაზე მეტად დაზარალდა საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოთეკების ქსელი. 4200–იდან დღეისათვის, არაზუსტი მონაცემებით, ფუნქციონირებს 800–მდე ბიბლიოთეკამ. ეს ბიბლიოთეკები ახორციელებენ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას სოფლად და ქალაქებში; გარდა აღნიშნული ბიბლიოთეკებისა, დაიხურა პროფკავშირული, ტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო პროფილის სპეციალური ბიბლიოთეკები, ზოგი მათგანი შეუერთდა სამეცნიერო ან საჯარო ბიბლიოთეკას, უმეტესობამ კი, საერთოდ, შეწყვიტა ფუნქციონირება.

საბიბლიოთეკო ქსელის შემცირებას, ბიბლიოთეკების დახურვას გააჩნდა ობიექტური მიზეზები; მათგან, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ ბიბლიოთეკების დიდი რაოდენობა: საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის საქართველოში ითვლებოდა 8000–ზე მეტი ბიბლიოთეკა, სხვადასხვა

ტიპისა და სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებულნი. ცხადია ამდენი ბიბლიოთეკა არ იყო საჭირო და ჩვენი ხელისუფლება ვერც შეინახავდა ასეთი რაოდენობის ბიბლიოთეკებს, საბჭოთა კავშირის პირობებში საბიბლიოთეკო ქსელი განფენილი იყო თითქმის ყველა დასახლებულ ადგილას, თითოეულ წარმოება-დანესებულებაში. ერთ სოფელში შევხვდებოდით 2–3 ბიბლიოთეკას – უბან-უბან მოქმედს; ბევრ შემთხვევაში ერთ შე-

ნობაში ორი ბიბლიოთეკა იყო განთავსებული მსგავსი ფონდებით, მაგრამ სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებულნი. ბიბლიოთეკების მუშაობა წინასწარ იგეგმებოდა; გეგმაში წინასწარ იყო განერილი, თუ რამდენი წიგნი უნდა გაცემულიყო წლის განმავლობაში, ერთ მკითხველს რამდენი წიგნი უნდა წაეკითხა, რამდენჯერ უნდა დაბრუნებულიყო ერთი წიგნი წლის განმავ-

ლობაში და ა.შ. გეგმა უნდა შესრულებულიყო, ბიბლიოთეკას თავის მუშაობაში უნდა გაეცარებინა ერთპარტიული იდეოლოგიის პრინციპი. ასეთ პირობებში, როდესაც ბიბლიოთეკები იმართებოდა ვერტიკალური წესით, ზემოდან წამოსული ყოველგვარი მითითება, რეკომენდაცია, დებულება ექვემდებარებოდა უთუო შესრულებას.

ქვეყნის მასშტაბით ბიბლიოთეკების დახურვა დაიწყო 1995–97 წლებიდან. ქსელის შეკვეცა მიმდინარეობდა სტიქიურად, უმეტეს რაიონებში იგნორირებული იყო მოსახლეობის კონსტიტუციური უფლება, მათი საკითხავი ინტერესი. ზოგიერთ რეგიონში იმთავიდანვე შეინარჩუნეს ბიბლიოთეკებს მინიმალური რაოდენობა; ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნიგნოდ არ დატოვა სოფელი, დასახლებული პუნქტი. ასეთ ვითარებაში არ იყო მხედველობაში მიღებული მოსახლეობის რაოდენობა, საქართველო მთიანი ქვეყანაა და ჩვენ ვერ დავიცავთ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს,

რომლის მიხედვით სტაციონალური ბიბლიოთეკა უნდა ფუნქციონირებდეს ისეთ დასახლებულ ადგილებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 300–500 მცხოვრებს; ბიბლიოთეკებს შორის მანძილი განსაზღვრულია 3–5 კმ რადიუსით. ცხადია, ასეთი პარამეტრებით მიდგომა უმართებულოდ შეკვეცავდა საბიბლიოთეკო ქსელს. ერთი ობიექტური მიზეზი ბიბლიოთეკების დახურვისა არის მათი დიდი რაოდენობა, მაგრამ მათი დახურვა, შეერთება,

გამსვლილება წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მოსალოდნელ შედეგებს: – რამდენი დასახლებული პუნქტი რჩება მომსახურების გარეშე, რამდენია იქ კითხვისუნარის მქონე მოქალაქე, რამდენია ბავშვი, როგორია მანძილი უახლოეს ბიბლიოთეკამდე. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გამგეობებმა ბიბლიოთეკები დახურეს ცალმხრივი მიდგომით – ბიბლიოთეკას არა აქ-



ეს შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნიგნები ზიანდება, ბიბლიოთეკა არ თბება, ბიბლიოთეკარი დაბალი კვალიფიკაციისა და ა.შ. ეს ყველაფერი ობიექტური მიზეზებია, მაგრამ თუ ასეთი ბიბლიოთეკა ემსახურება მჭიდროდ დასახლებულ სოფელს, დაბას, მაშინ საჭიროა მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების გატარება და არა დახურვა. ზოგი რაიონის ხელმძღვანელობა არ ზრუნავს ფონდების განახლებაზე, ბიბლიოთეკა არ ღებულობს პერიოდულ გამოცემებს, ბიბლიოთეკაში წყალი ჩამოდის, შენობა არ თბება, და ეს ყველაფერი საფუძველია ბიბლიოთეკის დახურვისა. ზოგიერთი გამგებელი აცხადებს – რა დროს ნიგნია, კომპიუტერი შემოდის, ვინღა შემოდის ბიბლიოთეკაში, ვის სჭირდება ნიგნი და ა.შ. ასეთი არაჯანსაღი და სუბიექტური მიზეზებით დაიხურა ბევრი საჯარო ბიბლიოთეკა რაიონებში. მიუხედავად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, საბიბლიოთეკო ქსელი შეინარჩუნეს და ბოლო წლებში აღადგინეს ბიბლიოთეკები დუშეთის, თიანეთის, კასპის, მცხეთის, ონის, წალენჯიხის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, გორის და სხვ. რეგიონებში, სადაც ბიბლიოთეკებისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი ნიგნისადმი, კითხვისადმი და ა.შ.

ბიბლიოთეკებს არ უნდა შევხედოთ როგორც ეკონომიკური შედეგის მომტან დაწესებულებას. ბიბლიოთეკებს სახელმწიფო ინახავს. მათი მუშაობა არ განიზომება ეკონომიკური მაჩვენებლებით, ბიბლიოთეკები, როგორც ერის ინტელექტუალური, სულიერი სიმდიდრის ბატონ-პატრონები, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ მოსახლეობის აღზრდას, განათლებას, ინფორმირებულ მოქალაქის ჩამოყალიბებას, ამიტომ მათი დახურვა მოსახლეობაში იწვევს დიდ სულიერ დანაკლისს; დღემდე შემორჩენილი ბიბლიოთეკების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია ბიბლიოთეკარების ერთუზიანობისა და პატრიოტიზმის წყალობით. ბევრმა ბიბლიოთეკარმა სახლში გადაიტანა ნიგნობრივი ფონდი, რათა გადაერჩინა იგი, მოსახლეობას ემსახურებოდა ხელფასის გარეშე.

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო უნდა დაიხუროს ესა თუ ის ბიბლიოთეკა? ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა შესწავლილი იქნეს ბიბლიოთეკის სამოქმედო მიკრორაიონი, არის თუ არა იქ საჯარო სკოლა. როგორია მოსახლეობის შემადგენლობა, მათი განწყობა. ზოგიერთ რაიონში სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდები შეიტანეს საჯარო სკოლებში და შეუერთეს საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას; ასეთ შემთხვევაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს საჯარო სკოლის პირობები: აქვს თუ არა შესაბამისი ბაზა, სად განთავსდეს საბიბლიოთეკო ფონდები, მოემსახურება თუ არა ეს ბიბლიოთეკა მოსახლეობის ყველა ფენას; შესძლებს თუ არა საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი შეასრულოს ასეთი მოცულობის სამუშაო. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სკოლაში გადასატანი ფონდების შემონახვა, ზედმეტი ეგზემპლარების ჩამოწერა. მარტო საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი ვერ შეასრულებს ასეთ რთულ ამოცანას. სკოლაში შეტანილი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები საჭიროა განლაგდეს ცალკე, პირველ სართულზე, რათა დღის საათებში ხელი არ შეეშალოს სკოლაში სასწავლო პროცესს. მოსახლეობა ამის შესახებ დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული. ასევე აუცილებელია შეიცვალოს ბიბლიოთეკის დებულება და შინაგანანესი. თუ გადაწყდა საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ფონდისა და სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდების შეერთება, შერწყმა, აუცილებელია ჩატარდეს ორივე ფონდის შემონახვა, რეალურად არსებული ფონდების აღრიცხვა და სათანადო აქტის შედგენა თუ გადაწყდა, რომ მოსახლეობას მოემსახურება მხოლოდ ერთი, საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი, მაშინ მან უნდა ჩააბაროს სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდი. ჩამოწეროს მოძველებული გამოცემები და განახორციელოს სოფლის მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. დახურული ბიბლიოთეკები არ უნდა დაგტოვოთ უპატრონოდ, ასეთ შემთხვევაში ნადგურდება სახელმწიფო ქონება, იღუპება წლების განმავლობაში გადარჩენილი ერის ინტელექტუალური სიმდიდრე. ბიბლიოთეკის დახურვამდე უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ადგილობრივ



დოკუმენტების ფონდები საჭიროა განლაგდეს ცალკე, პირველ სართულზე, რათა დღის საათებში ხელი არ შეეშალოს სკოლაში სასწავლო პროცესს. მოსახლეობა ამის შესახებ დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული. ასევე აუცილებელია შეიცვალოს ბიბლიოთეკის დებულება და შინაგანანესი. თუ გადაწყდა საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ფონდისა და სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდების შეერთება, შერწყმა, აუცილებელია ჩატარდეს ორივე ფონდის შემონახვა, რეალურად არსებული ფონდების აღრიცხვა და სათანადო აქტის შედგენა თუ გადაწყდა, რომ მოსახლეობას მოემსახურება მხოლოდ ერთი, საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი, მაშინ მან უნდა ჩააბაროს სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდი. ჩამოწეროს მოძველებული გამოცემები და განახორციელოს სოფლის მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. დახურული ბიბლიოთეკები არ უნდა დაგტოვოთ უპატრონოდ, ასეთ შემთხვევაში ნადგურდება სახელმწიფო ქონება, იღუპება წლების განმავლობაში გადარჩენილი ერის ინტელექტუალური სიმდიდრე. ბიბლიოთეკის დახურვამდე უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ადგილობრივ

ხელსიუფლებას წარუდგენს დასკვნას ბიბლიოთეკის დახურვის შესახებ, გადანყვეტილების მიღებამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი, ფონდს ამონუმებს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოქმედი კომისია ბიბლიოთეკების დასწრებით. შემოწმება წარმოებს თითოეული საბიბლიოთეკო დოკუმენტის შედარებით საინვენტარო ჩანაწერებთან. შემოწმების დამთავრების შემდეგ იწერება შემაჯამებელი აქტი, სადაც მითითებულია, თუ რამდენი ეგზ. ირიცხებოდა შემოწმების პერიოდისთვის ბიბლიოთეკაში, რამდენია დანაკლისი, რა ღირებულების, რა სახის წიგნები არ იყო ადგილზე და ა.შ. დანაკლის მასალებზე პასუხს აგებს მოქმედი ბიბლიოთეკარი, იგი არ უნდა გათავისუფლდეს სამსახურიდან, ვიდრე არ დაიფარება დანაკლისი. ამის შემდეგ ლიკვიდირებული ბიბლიოთეკის ფონდი გადაეცემა ქსელის მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკას. აქ დამუშავება-დაკომპლექტების სპეციალისტები, მთავარი ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი შესაძლებლობის პირობებში, მუშაობენ ამ ფონდებთან, ზოგი საბიბლიოთეკო დოკუმენტი ჩამოინერება სხვადასხვა საფუძვლებით, აქტიური ფონდი დაბინავდე-

ბა გაცვლით და სარეზერვო ფონდებში, აქ ეს ფონდი განლაგდება თაროებზე სისტემატური წესით, შედგება მარტივი აღწერილობის ბარათები, ქსელის ჯამობრივი აღრიცხვის მეორე ნაწილში აღინიშნება გარიცხული, ჩამონერილი ფონდების რაოდენობა, სარეზერვო ფონდში არსებული გამოცემები ირიცხება ბიბლიოთეკის ბალანსზე ბიბლიოთეკას უფლება აქვს ზედმეტ და არაპროფილური გამოცემები გადასცეს სხვა დანესებულებას უსასყიდლოდ, ან გაუცვალოს მისთვის საჭირო გამოცემებში. გაუქმებული ბიბლიოთეკის ფონდის აქტიური, ქსელისათვის საჭირო გამოცემები გადანაწილდება ბიბლიოთეკებზე, ქართული გამოცემების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა შენარჩუნებული უნდა იქნეს მაქსიმალური რაოდენობით.

ბიბლიოთეკას უფლება აქვს გაყიდოს ჩამონერილი საბიბლიოთეკო დოკუმენტები ადგილობრივი ხელისუფლების გადანყვეტილებით:

ბიბლიოთეკების დახურვა, ლიკვიდაცია ადვილია, როგორც ვხედავთ, ამ პროცესსაც გონივრული მიდგომა ესაჭიროება, რაც უფრო მეტ ბიბლიოთეკას დავხურავთ, მით უფრო ღრმა ქრილობას მივაყენებთ ერის სულიერ სხეულს.

## გენადი მახარაძე

# სასარგებლო შეხვედრა



მიმდინარე წლის 19 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა კონფერენცია თემაზე "საბიბლიოთეკო საქმის მეთოდოლოგიური განვითარების უზრუნველყოფა". მონაწილეობისათვის მონვეული იყვნენ: ქობულეთის, ხელვა-

ჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონების, ქ. ბათუმის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, საჯარო სკოლების, არქივისა და მუზეუმების ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, აგრეთვე ყურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" მთავარი რედაქტორი, ბიბლიოთეკათმცოდნე ალექსანდრე ლორია.

როგორც კონფერენციის თემის დასახელებიდან ჩანს, ძირითადი საკითხები მეთოდოლოგიურ პრობლემებს უნდა შეეხებოდა და ეს ასეც მოხდა, თუმცა გამომსვლელები არაერთ მტკივნეულ საკითხსაც შეეხენ. მთავარი მაინც ის იყო, რომ გაშუქებულიყო რეგიონში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა და განსაზღვრულიყო პერსპექტივები, შემუშავებულიყო რეკომენდაციები, მომხდარიყო გამოცდილებისა და აზრთა გაზიარება. ცხადია, ესოდენ დიდი პროგრამის განხორციელება ერთი დღის ფარგლებში შეუძლებელია ამომწურავად მოხდეს, მაგრამ დასახულმა მიზანმა გაამართლა, თუმ-





ცა ბევრი რამ უფრო მეტ სიღრმესა და მიზანდასახულებას მოითხოვდა; მიუხედავად ამისა, დამსწრე სზოგადოებამ ერთხმად გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. კმაყოფილება გამოითქვა, რომ მათ ბევრი რამ გაიგეს, მიიღეს ინფორმაცია თანამედროვე საბიბლიოთეკო საკითხებთან დაკავშირებით, გაარკვიეს მათთვის საინტერესო საკითხები, ერთმანეთს გააცნეს თავიანთი მუშაობის შედეგები და დაუფარავად გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.

კონფერენცია მიჰყავდა აკაკი წერეთლის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ გენო მახარაძეს. შესავალი სიტყვაც მან წარმოთქვა და განსაზღვრა კონფერენციის მიმართულება. მოკლედ ილაპარაკა იმ შედეგებზე, რასაც მიაღწია მისდამი რწმუნებულმა ბიბლიოთეკამ. აღნიშნა ის, რომ ეს ბიბლიოთეკა მუდმივად მზად არის მეთოდოლოგიური დახმარება აღმოუჩინოს ყველა ბიბლიოთეკას და მათთან ინტეგრირებულად იმუშაოს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და მოუწოდა ყველა მსურველს, ისარგებლოს საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ტექნიკურ პროცესთა სწავლებით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა რაიონის, ქალაქის საჯარო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებების ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ქობულეთის რაიონული ბიბლიოთეკიდან – ციალა ჯინჭარაძე; ხელვაჩაურიდან – ნაზი ცეცხლაძე; ქედიდან – ციალა ასამბაძე; შუახევიდან – მერი თურმანიძე; ხულოდან – ლია ბოლქვაძე; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტიდან – ეთერ გობრონიძე; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტიდან

– მზია ჯიბუტი და მერი ლომინაძე; საზღვაო სასწავლებლებიდან – გოჩა ჩინჩალაძე; ხელოვნებისა და კულტურის კოლეჯიდან – ამ კოლეჯის ყოფილი თანამშრომელი, ღვანლმოსილი სპეციალისტი ლამარა ჯორბენაძე; საარქივო სამმართველოდან – გუგული პატარიძე; არქეოლოგიის მუზეუმიდან – დოდო ჯაყელი; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლიდან – ეთერ ბერაძე, №1 საჯარო სკოლიდან – ნონა მსხალაძე.

დაისვა მრავალი შეკითხვა, რაზედაც პასუხს იძლეოდნენ როგორც გამომსვლელები, ისე კონფერენციის თავმჯდომარე გენო მახარაძე და კონფერენციაზე მონვეული ალექსანდრე ლორია. ამ უკანასკნელმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა არსებული ვითარებაზე, ილაპარაკა მოსალოდნელი პერსპექტივების შესახებ და მისცა სპეციალისტებს რამდენიმე რეკომენდაცია, ალ. ლორია, როგორც ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" მთავარი რედაქტორი, შეეხო ამ ჟურნალის ორგანიზაციულ საკითხებს, აღნიშნა მისი წარმატებები არსებობის 10 წლის მანძილზე და მოუწოდა დამსწრეებს, მეტი აქტივობა გამოიჩინონ ამ ჟურნალთან დამოკიდებულებაში.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა და გამოირკვა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მაგალითად, როგორც გაირკვა, ქობულეთის რაიონის მთავარი ბიბლიოთეკა თითქმის სავსებით ვერ ღებულობს ახალ ლიტერატურას. ბიბლიოთეკას 2007 წლიდან არც ერთი წიგნი არ შეუძენია. სამწუხაროდ, კულტურის სამინისტროს ვაუჩერი აჭარის არც ერთ ბიბლიოთეკას ორი წელია, რაც არ მიუღია. მძიმე მდგომარეობაა ხულოს სარაიონო ბიბლიოთეკაში. შენობაში შეასახლეს სხვა დაწესებულებები და ისეთი სივინროვეა შექმნილი, მკითხველებს



დასხდომის საშუალებაც კი არა აქვთ. კომპიუტერი ბიბლიოთეკას არც კი გააჩნია. მუშაობაში ხელს უშლის მკითხველებს ისიც, რომ როცა რეპეტიციები მიმდინარეობს, აუნერელი ხმაურია. სხვათა შორის, ხულოში 2 სკოლაა (გიმნაზიის ჩათვლით) და მოსწავლეები საკმაოდ არიან, რომლებიც ბიბლიოთეკით სარგებლობენ.

სხვაგან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად ხიჭურში (შუახვეის რაიონი) უნივერსიტეტი გაიხსნა და ერთბაშად გაიზარდა ბიბლიოთეკაზე მოთხოვნა. სარაიონო ბიბლიოთეკის პრობლემად ითვლება ის, რომ უამრავი წიგნია ისეთი, რომელზეც აქ მოთხოვნილება არ არის, მაგრამ მათი ჩამონერა დაუშვებელია.

ამიტომაც ცდილობენ გაცვლითი ფონდის წესით იქნებ მოცილონ თავიდან ამგვარი ფონდი. ასეთი გასაჭირი თითქმის ყველა ბიბლიოთეკას აქვს, მათ შორის, სკოლის ბიბლიოთეკებსაც; რაც შეეხება კომპიუტერს, იმის დანერგვა გარდა საქალაქო (ბათუმის) ბიბლიოთეკისა, არსად არ არის დანერგილი.

საუკეთესო პირობებია შექმნილი საზღვაო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, გადიქცეს კარგ ბაზად კომპიუტერული პრაქტიკისთვის, თუ მოხერხდება მოგვარდეს კოორდინირების საქმე.

დასასრულს კონფერენციის შედეგები და წინადადებები შეაჯამა კონფერენციის თავმჯდომარემ გენადი მახარაძემ.


### ინფორმაციაში

## ციცო ზინჯისაძე

ბიბლიოთეკის მენეჯერი

# პირველი სამეცნიერო კრებული

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ წელს გამოსცა ჟურნალ „წელიწადულის“, პირველი ნომერი. კრებულში სრულად შევიდა ყველა ის მოხსენება და გამოკვლევა, რომლებიც ერთი წლის წინ ბიბლიოთეკებში გამართულ პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა წარმოადგინეს. კონფერენცია არ შემოფარგულულა მხოლოდ საბიბლიოთეკო თემით. ბიბლიოთეკათმცოდნეობას ერთი სექცია დაეთმო, მეორე სექცია – ლიტერატურათმცოდნეობას, ენათმეცნიერებას, კულტუროლოგიას და სხვა დარგებს.



ტუსის შეცვლის გამოძახილი იყო კონფერენციის გამართვაც და ჟურნალის გამოცემა. ბიბლიოთეკამ უკვე საკუთარი პროდუქტი შექმნა და ის ჟურნალის პრეზენტაციის დღეს, 28 სექტემბერს, მოვლენად შეფასდა ბიბლიოთეკის ცხოვრებაში. „წელიწადულის“ პრეზენტაციას ბიბლიოთეკარების, ჟურნალისტების, მეცნიერებისა და ქუთაისელ მსმენელთა გარდა, თბილისელი ბიბლიოთეკარებიც სტუმრობდნენ. საპატიო სტუმართა შორის იყო რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მწერალი რეზო ჭეიშვილი. მათ გამოცემა სერიოზულ ნაშრომად შეაფ-

ასეს და ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას ეს ფაქტი ახალი ეტაპის დაწყებად ჩაუთვალეს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეკაპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა დამსწრეთ პირველი სამეცნიერო

კრებული

კრებულის გამოცემა მიულოცა და ბიბლიოთეკისათვის, ისევე როგორც მთელი მხარისათვის მსგავსი კრებულის გამოცემის მნიშვნელობაზეც ილაპარაკა:

„ეროვნულ ბიბლიოთეკას არაერთი კრებული გამოუცია 30-იანი წლებიდან მოყოლებული და ახლაც გამოსცემს თავის შრომებს. კარგია, რომ ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკამაც ამ ტრადიციას დაუდო საფუძველი. ეს ყურნალი დიდი მოვლენაა. მე მგონია ამ დღეს რომ მოვესწარით კირილე ლორთქიფანიძე და მისი მეგობრები ხარობენ ზეციურ საქართველოში. მოგეხსენებათ, ძველად იმერეთის გუბერნიაში ასეთი რამის გაკეთება მეფის რუსეთის დროს შეუძლებელი იყო, საბჭოთა პერიოდშიც. მაშინ სხვა დრო იყო. ახლა საქართველო თავისუფალია. ჩვენ უკვე დავძლიეთ ის ტკივილები და

სიძნელები, რომლებიც 90-იან წლებში გვეკონდა. მე მჯერა, რომ ქუთაისმა დაიბრუნა ის ძალა, რომ გამოსცეს არამარტო ყურნალი, არამედ იყოს სამეცნიერო კერა.“


ყურნალი 350 გვერდს ითვლის. მასში 40-ზე მეტი ნაშრომია შესული. „ნელინდეული“, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ყოველწლიური გამოცემა იქნება. იგი ყოველწლიურად ბიბლიოთეკაში გამართული კონფერენციების მასალებს გამოაქვეყნებს. ყურნალის მთავარი რედაქტორი სამეცნიერო საბჭოს წევრი ტარიელ ფუტყარაძეა, ხოლო რედაქტორი – ბიბლიოთეკის დირექტორი მერაბ გვაზავა.

„ნელინდეული“, ჯერჯერობით, 150-იანი ტირაჟით გამოიცა. თუმცა, სამომავლო გეგმაში ტირაჟის გაზრდა და მისი უფრო მრავალრიცხოვანი საზოგადოებისათვის მიწოდება გათვალისწინებული.

## სასკოლო ბიბლიოთეკის დასახმარებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილებამ უდავოდ დიდი საქმე გააკეთა სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკთა დასახმარებლად. მიმდინარე წელს გამოსცა მეთოდური სახელმძღვანელო – ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია საჯარო სკოლებში: პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2010.

ნაშრომის შემდგენლები არიან გურამ თაყნიაშვილი და თეა იოსავა, სამეცნიერო რედაქტორი – ალექსანდრე ლორია. შეიცავს 56 გვერდს, დართული აქვს ტიპიური ფორმები დოკუმენტების სანარმოებლად და გამოყენებული ლიტერატურა. წიგნი შედგება შესავლისა და პარაგრაფებისაგან. დაყოფილია შემდეგ ძირითად ნაწილებად: 1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონ-




დების ორგანიზაცია საჯარო სკოლაში; 2. საძიებო სისტემის ორგანიზაცია საჯარო სკოლის ბიბლიოთეკებში; 3. მოსწავლეთა და პედაგოგთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება; 4. თანამედროვე სასკოლო ბიბლიოთეკა, როგორც მედიათეკა.

თითოეული პარაგრაფი თავისი მხრივ შეიცავს შესაბამის ნაწილებს, რაც აადვილებს მასალის კონკრეტიზაციას და მის გაცნობას, აღნიშნული ნაშრომი მოიცავს უძირითადესი საკითხების მოკლე განხილვას და მეთოდური მითითებების დამუშავებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი იმდენად, რამდენადაც ჩვენი თანამედროვე

სკოლების ბიბლიოთეკები მოკლებულნი არიან კვალიფიციურ კადრებს და განსაკუთრებით ყურადღებას საჭიროებენ სპეციალიზაციის დონის ამაღლების თვალსაზრისით.

# შეგონახული ფიქრები

ორი წელი გასრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ცნობილი ქართველ ისტორიკოსი მოღვაწე – მეცნიერი, მკვლევარი, შემოქმედი, ნიჭიერებით აღსავსე პიროვნება გიორგი სიხარულიძე. ის საკმაოდ ახლობელ პიროვნებას წარმოადგენდა საბიბლიოთეკო საზოგადოებისათვის, რადგანადკ კარგა ხანს მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ყოველთვის მის მუდმივ მკითხველს წარმოადგენდა, მის შესახებ ჩვენს ჟურნალში ვრცელი სტატიაც იყო გამოქვეყნებული (2008, №3).



მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, გიორგი სიხარულიძის სამეცნიერო, პუბლიცისტური და შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმაოდ ვრცელი და შთამბეჭდავია. ამან განაპირობა ის, რომ მისი ნაწერების ტომეულებად გამოცემა გახდა შესაძლებელი. მიმდინარე წელს გამოქვეყნდა მისი ნაწერების მეორე ტომი (გიორგი სიხარულიძე, ტომი 2: პროზა; ესე. – თბ.: „პედასი“, 2010. – 495 გვ. ილუსტრაციებით).

ნიგნში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი რომანს „მეშვიდე მთვარე“, რომლითაც იწყება მეორე ტომი. როგორც სქოლიოშია მითითებული, „რომანი ქართული მწერლობაში იშვიათი ჟანრის – ალევორიული გროტესკის ნიმუშია, რომელიც ავტორს კინორომა-

ნად ჰქონდა განსაზღვრული. მისი დასრულება, სამწუხაროდ, ვერ მოასწროს“.

ვინ იცის რა ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს, როგორ წარმართავდა და დააბოლოებდა მას, ბოლოს და ბოლოს, რა გვექნებოდა ხელთ? მით უფრო დასანანია ეს, რომ არსებული ლიტერატურული მასალა საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული და დიდ ინტერესს იწვევს.


რომანს მოყვება მოთხრობები: „მეკარე“, „ქალაქელები“, „ერთი დღის ქრონიკა“, „ასოთამწყობის შეცდომა“, შემდეგ კი ესეები: „ნიკო ლორთქიფანიძე“, „მჭერმეტყველი“, (ედღენება გრიგოლ რობაქიძეს), „აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა“, და „კრიტიკოსის თვალსაზრისი“, ეს

უკანასკნელი ეძღვნება აკაკი ბაქრაძის კრიტიკულ მემკვიდრეობას მისი ნიგნის „სულის ზრდის“ გამოცემასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ გ. სიხარულიძის ნაშრომები გასული საუკუნის 80-იან წლებშია შექმნილი და ზედმიწევნით ასახავს იმდროინდელ განწყობილებას, მისი მოტივები, იდეოლოგია, დებულებები და შეხედულებები სავსებით ეხმიანება თანამედროვეობას, რითაც ეს ნიგნის საკმაოდ აქტუალური სულისკვეთებით სუნთქავს, ამდენად, იგი უდავოდ დიდ ინტერესს მოიწვევს ჩვენს მკითხველებში.

## ქართული არქეოლოგიის მიღწევების შესახებ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიურმა ცენტრმა 2009 წელს გამოაქვეყნა გელა გამყრელიძის ნარკვევი „ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ“. ნაშრომი განმაზოგადებელი ხასიათისაა; ძირითადი ტექსტი ერთ განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ავტორი იძლევა რა ქართული არქეოლოგიის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, აანალიზებს არქეოლოგთა მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალისა და იმ წარმატებებისა, რაც ქართულმა არქეოლოგიურმა სკოლამ მიაღწია. მნიშვნელოვანია ნიგნში ჩართული „ბიბლიოგრაფია“, რომელიც 26 დასახელებისგან შედგება როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.



ნიგნს დართული აქვს ტაბულები, რომლებიც წარმოადგენს ფერად ფოტოებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი საგნებისა და იმ ტერიტორიებისა, სადაც მოპოვებულ იქნა ეს ნივთები. ყველა მათგანს მიწერილი აქვს

მოკლე განმარტებანი.

პოლიგრაფიული თვალსაზრისით ნიგნი ორიგინალურადაა გამოცემული – იგი, ფაქტობრივად ორენოვანია, მაგრამ ტექსტები დაბეჭდილია არა „პარალელური“ სისტემით, არამედ „შებრუნებულად“ – ერთ მხარეს მოცემულია ქართული ტექსტი, ხოლო მეორე მხარეს – უცხო ტექსტია ამგვარად, ნიგნის ორივე ნაწილი დამოუკიდებელ საწყისად შეიძლება იქნეს მიჩნეული. შუაში ჩართულია ხსენებული ტაბულები.

ნიგნი თავისი მოცულობით, ენით, ორიგინალურობით სავსებით მისაწ-

ვდომია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. დასანანია, რომ არ ახლავს საჭირო საძიებლები, წინასიტყვაობა, შესავალი, რაც უფრო მნიშვნელოვანს გახდიდა ნიგნს მრავალრიცხოვანი მკითხველისა და ბიბლიოგრაფებისათვის. ასევე ნიგნს არა აქვს ანოტაცია, რაც მნიშვნელოვანი დეტალია მისი მკითხველური დანიშნულების გასაცნობად.

# მინიატურული მოზაიკა

ვინც ჩვენს ჟურნალს თვალყურს ადევნებს, უეჭვლად შენიშნავდა, რომ ცნობილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნე და ბიბლიოგრაფი, გამოცდილი პედაგოგი და მკვლევარი, მეთოდისტი და პრაქტიკული მოღვაწე ოთარ ოსაძე რაოდენ მრავალმხრივი პიროვნებაა. მისმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ, რომ მას პოეზიის მიმართაც ჰქონდა გატაცება, იცოდა მეგობრებში ყოფნის დროს კალამბერების გამოთქმა, მაგრამ თუ პოეზიაშიც სერიოზულად მოღვაწეობდა, ახლა გახდა ცნობილი, როცა 2009 წელს მისი ლექსების პატარა კრებული გამოქვეყნდა (ოთარ ოსაძე. მინიატურული მოზაიკა. – თბ., 2009. – 80 გვ.).

ყურადსაღებია ის გარემოება, თუ როგორ „იმართლებს თავს“, ბატონი ოთარი, ლექსებს რომ შეეჭიდა. თავის წინასიტყვაობაში ის წერს: „ინგლისელი მოაზროვნე ტორო წერდა: „ჭეშმარიტი ლექსი ის არის, რაც პოეტს თვითონ გადახდენიაო... გულწრფელად ვაღიარებ, რომ ჩემი მინიატურების უმრავლესობა სწორედ ასე შეიქმნაო...“

მართლაც, თუ დაკვირვებით გაეცნობით ამ პატარა წიგნს, სწორედ თვალში გეცემათ, რამდენად პირადული ცხოვრების ანარეკლია ის. იმდენად სურს ო. ოსაძეს, როგორც ავტორს, დაგვარწმუნოს თავის მოკრძალებაში, არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედთა სიტყვები მიჰყავს იმის დასტურად, რომ პოეზიას მადლცხებული ყველა ადამიანი პოეტობაზე კი არ დებს თავს, არამედ ისინი ლექსებს ეჭიდებიან მათი სულიერი მოთხოვნილებების შედეგად, რადგანაც მათ ეს სიხარულსა და ბედნიერებას მატებს. ამ თვალსაზრისით, ხსენებულ კრებულის ავტორს იმდენად განსაკუთრებულად გამოურჩევია ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის მიშელ მონტენის სიტყვები, რომ ეპიგრაფადაც კი წაუმიძღვარებია თავისი წიგნისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებს თითქოს თვით ო. ოსაძე გვეუბნება:

„ეს წიგნი, პირველ ყოვლისა, გულწრფელი წიგნია, მკითხველო. იგი სულ თავიდანვე მიგახვედრებთ, რომ სხვა მიზანი, გარდა პირადულისა და ოჯახურის, მე არა მქონია. ერთი წამითაც არ გამივლია გუნებაში – ან შენთვის რაიმე სარგებლის მოტანა, არც ჩემთვის – დიდებისა და პატივის მოპოვება. ასეთი განზრახვის ასრულებისათვის ძალაც არ მეყოფოდა, ამ წიგნის დანიშნულება ისაა – თავისებური სიამოვნება მიანიჭოს ჩემს ნათესავებს და ახლობლებს მაშინ, როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები (ეს ალბათ მალე მოხდება). ჩემი ხასიათის, ჩემი აზრების ნაკვალევს მოიძიებენ ამ ფურცლებზე და გაიცოცხლებენ იმ წარმოდგენას, რაც სიცოცხლეში შეიძინეს ჩემს შესახებ... შინაარსი ჩემი წიგნისა, – მე თვით ვარ...“

ამ რწმენის გასამყარებლად ოთარ ოსაძე იშველებს გერმანელ მოაზროვნესა და მგოსანს გოეთეს, ჰაინეს, შოტლანდიელ ჯონსტონს, ირანელთა პოეზიის სიამაყესა და მსოფლიო პოეზიის ვარსკვლავს ჯამის, კორეელ პოეტს დუ-ფუსს, უკრაინელთა კლასიკოს ტ. შევჩენკოს, რუსული მწერლობის გენიოსს ესენინს და სხვებს, ასევე ქართველ პოეტებს: ი. გრიშაშვილს (რომლის ლექსს „ანოტაციის მაგივრად“, უწოდა) ტ. ტაბიძეს, მეცნიერსა და მწერალს გიორგი შატბერაშვილს...

რაც შეეხება ოთარ ოსაძის პოეტურ ქმნილებებს, ისინი გამოირჩევიან თემატიკისა და ჟანრის მრავალფეროვნებით. აქ ვხვდებით ლექსებს სამშობლოზე, პატრიოტულ განცდებზე, გამოჩენილ ქართველ მწერლებზე, პოეტიკის საკითხებზე, მეგობრებზე, ცხოვრებაზე, სიცოცხლის მშვენიერებაზე, სიყვარულზე, სილამაზეზე; განსაკუთრებით მრავლად გვხვდება სტრიქონები ზნეობასა და მორალთან დაკავშირებით. გულწრფელი სტრიქონები ეძღვნება გარდაცვლილთა ხსოვნას – მშობლებს, მეგობრებს, კოლეგებს, ძვირფასად მოსაგონარ ადამიანებს; ყველასაგან გამოირჩეულად ჟღერს სტრიქონები თავისი ოჯახის წევრებზე – მიუღლებზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, გვხვდება მძიმე სევდით მოზურვილი ლექსები და ხალისიანი, ალტაცებით აღვსილი სტროფები.

ლექსების უმრავლესობა მოკლე და სხარტი ფორმითაა დაწერილი, ბევრი მათგანი სიმღერასავით დატირთულია, მრავალი სააზროვნო ხასიათისაა და სიბრძნის გამოხატვისათვის არის მომართული. ვხვდებით შეგონებებს, ანდაზებს, დარიგებებს...

ყურადსაღებია ერთი მომენტი: წიგნს ბოლოში დართული აქვს ლექსი – „ბატონ ოთარ ოსაძის მინიატურების რეცენზიის ნაცვლად“, რომელიც ამოღებულია ელისო კველიშვილის წიგნიდან „დედამინაზე შემთხვევით მოველ“, რომელიც 2002 წელს დაისტამბა. ლექსი ეკუთვნის ამ წიგნის ავტორს – ელისო კველიშვილს და დაწერილია 1999 წელს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ოთარ ოსაძეს თავისი „მინიატურები“, საკმაოდ დიდხანს უბით უჭარებია, ვიდრე მას გამოაქვეყნებდა. ეს მის მოკრძალებასა და თავდაბლობაზე მეტყველებს, აგრეთვე იმ პასუხისმგებლობაზე, რომლითაც ის ლექსების გამოცემის საქმეს უდგებოდა და რაც მას, საერთოდ, ახასიათებს.

თავის „რეცენზიაში“, ერთგან ელისო კველიშვილი წერს:

„გიხდებათ არაკი, უხდებით ჭაღარას.

სიბერე? – შორსაა ოთარ!...“

ჩვენც ასე მიგვაჩნია, რის საფუძველსაც გვაძლევს ოთარ ოსაძის წიგნი „მინიატურული მოზაიკა...“

# ქრისტეს თვალბის სავლიანი უამოხედვა

კარგა ხნის წინათ უდროოდ წასული ბეთქილ შამფრიანი – თვითონ პოეტი, პოეტური ოჯახის შვილი – ქართული სიტყვის ქომაგთა და მშვენიერ შემოქმედთა პირმოთა. ის მკვიდრად ჩადგა ქართველ პოეტთა შორის როგორც ადრე წასული ერთ-ერთი მოაზროვნე, ფიქრიანი, სიტყვამადლიანი, ნიჭიერი შემოქმედი. ვინ იცის, ბედი როგორ წარმართავდა მის შემოქმედებით გზას, რომ განგებას არ მოეკვეთა იგი ცხოვრებისაგან.

ჩვენმა მკითხველმა კარგა ხანია მიიღეს მშვენიერი წიგნი: ბეთქილ შამფრიანი და მიყურებენ ქრისტეს თვალბი. – თბ., 2007. – 144 გვ. კრებულმა მაშინვე მიიპყრო პოეზიის მოყვარულთა ყურადღება. მკითხველმა დაინახა, თუ რა ნიჭისა და შესაძლებლობის ერთი პოეტთაგანი დაგვეკარგა.

ბ. შამფრიანი თავიდანვე იპყრობდა თანამოკალმეთა ყურადღებას. არა ერთ ცნობილ პიროვნებას გამოეთქვამს აზრი მისი პოეზიის შესახებ, მაგრამ მას არა მარტო პოეტური, პროზაული მემკვიდრეობაც დარჩა, ხსენებული კრებული კარგ წარმოდგენას გვაძლევს ბ. შამფრიანის შემოქმედებით ნიჭისა და უნარზე, მის მრავალფეროვნებაზე.

წიგნს წინ უძღვის ზურაბ თორიას მოკლე შესავალი გამორჩეული ლექსების მოხმობითა და დამონშებით, ხოლო თვით პოეტური ნაწი-

ლი იწყება პოეტის მეტად დამაფიქრებელი მონარტივით მკითხველისადმი: „თქვენ, ვინც ამ რვეულს აიღებთ ხელში, გთხოვთ, რომ იყოთ ამ ლექსების კითხვისას გულისყურიანი. ყველა ადამიანს სიმარტოვე ანუხებს და მე ამ რვეულით შევეცდები ცოტა ხნით ვიყო თქვენს გვერდით და მოგაშოროთ სიმარტოვეს„.

ლექსების ერთი ნაწილი ავტორს ციკლებად აქვს დაყოფილი: „დალი“, „მომავლის ხილვა“, „დასრულდა სიმღერა“, „გამორჩენილი ლექსები“. ლექსებს მოსდევს ჩანახატები და მოთხრობები. ნიშანდობლივია ბეთქილის ერთი ლექსი, რომელიც ფაქსიმილეს ფორმითაა დაბეჭდილი გარეკანის ბოლო გვერზე, რომელშიც ის წერს: „ჩემი ლექსები ღირიკას ერთვის... და მიყურებენ ქრისტეს თვალბი... ამგვარად აღიქვამდა ის თავის პოეტურ სამყაროს, რაშიც მან გული და სული ჩააქსოვა.

ხსენებულ კრებულს ბოლოში ერთვის მიძღვნები ავტორის მიმართ, მოსაზრებები მისი პოეზიის შესახებ. ამ პოეზიის შესაფასებლად დიდი ქართველი მწერლის მუხრან მაჭავარიანის გამოხმაურება შეიძლება მოვიშველიოთ, რომლის ბოლოშიც ის გულისტკივილით მიმართავს ან გარდაცვლილ პოეტს: „რა დროს შენი სიკდვილი იყო, ბიჭო!„

მართლაც – და!

## ბეთქილ შამფრიანი

### ...და მიყურებენ ქრისტეს თვალბი



## გვინაშობება მკითხველი

### გურამ გუკია

## წერილი რედაქციას

ოცდამეერთე საუკუნეს „ინფორმაციის ერას“, უწოდებენ, ხოლო ბიბლიოთეკა ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების უპირველესი წყაროა. ეს ჭეშმარიტება აუცილებელია ყველა განათლებული ადამიანისათვის. ასე ვიცხოვრე მე პირადად ჩემი ცხოვრების მანძილზე.

რამდენიმე თვის წინ გიორგი ლეონიძის სახელობის 31-ე ბიბლიოთეკაში დავესწარი ღონისძიებას, სადაც ბატონები ალექსანდრე ლორია

და გურამ თაყნიაშვილი გავიცანი და გავიგე, რომ ისინი ყურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“, მესვეურნიმ ყოფილან. ამ ღონისძიებამ გადამაწყვეტინა წერილის დაწერა.

კითხვა ძალიან მიყვარს – სულ ერთია მხატვრული ლიტერატურა იქნება, ყურნალ-გაზეთი თუ სხვა სახის ლიტერატურა. ისიც ყოფილა, რომ ქუჩაში დაგდებული წიგნის ფურცელი ამიღია და გულისყურით წამიკითხავს (სხვათა შო-

რის, ბევრი საინტერესოც აღმომიჩენია). ვყოფილვარ თბილისის სხვადასხვა ბიბლიოთეკის მკითხველი, მათ შორის – მირზა გელოვანის სახელობის, ეგნატე ნინოშვილის სახ. ბიბლიოთეკებისა, ხოლო დღეისათვის ვარ გ. ლეონიძის სახ. ბიბლიოთეკის მკითხველი. ამ უკანასკნელში თითქმის 45 წელია დავდივარ (მას შემდეგ, რაც ამ უბანში გადმოვედი საცხოვრებლად), ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ ჩემი შვილებიც სტუდენტობისას. გადაუჭარბებლად შემეძლია ვთქვა, რომ ამ ბიბლიოთეკაში განსაკუთრებულად თბილი და ძალიან შინაურული ატმოსფეროა. ერთმანეთს ახლობლებლივით ვხვდებით. როცა საშუალება მეძლევა, ღონისძიებებსაც სიამოვნებით ვესწრები. მოხარული ვიქნები, თუ ბიბლიოთეკაში მოსული ადამიანები მხოლოდ ცოდნას კი არ მიიღებენ, არამედ ადამიანური ურთიერთობითაც ისიამოვნებენ. 31-ე ბიბლიოთეკაში ყველაფერია ამისათვის, თანამშრომელთა პროფესიონალიზმიც, სითბო და გულისხმიერება მკითხველისადმი და თავისი პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული.

მე, როგორც ბიბლიოთეკის მოყვარული, ვუსურვებ მათ ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას თავიანთ რთულ და სასარგებლო საქმიანობაში, მაღლობას მოვახსენებ გულისხმიერებისათვის და სიკეთეს ვუსურვებ მათ!

ბიბლიოთეკის გამგე – მანანა საგანელიძე,  
თანამშრომლები: ნუნუ ჭყელიძე,  
მზია ტოგანიძე ლამარა ქსოვრელი,  
ნუნუ კვიციანიძე, ირმა ქაჩიაშვილი.

ბიბლიოთეკა ეს არის სიჩუმის, სიწყნარის, ფიქრის, სხვადასხვა ავტორებთან დალოგის სამყარო, სავანე; აქ ხდება ადამიანის გონების გადაადგილება სამყაროში, სივრცეში, ეს არის ცოდნისა და ჭეშმარიტებასთან მიახლოების სამყარო

კარგი წიგნი აიძულავს მკითხველს იფიქროს

### პირველი პროფესიული

## გურამ თაყნიაშვილი

# ათი წლის გადასახედიდან: ჟურნალი და მისი მკითხველები

ათი წელი გასრულდა პირველი ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ჟურნალის დაარსებიდან. ეს არც თუ ისე მოკლე პერიოდია საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრებაში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სწორედ ბოლო ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელში. 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ინერგება ტექნოლოგიური სიახლენი, საბიბლიოთეკო ფონდები ივსება არატრადიციული ინფორმაციის მატარებლებით, ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემა

პირველი ნომერი ქუთაისში



ცვლილებები განიცადა რაოდენობრივი თვალსაზრისით; განხორციელდა ბიბლიოთეკების შეერთება, გამსხვილება, დახურვა. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების თვალსაზრისით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად დაზარალდა მკითხველის ინტერესი, მისი უფლებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ ძირითადად შეინარჩუნა საბიბლიოთეკო ქსელი, მიმდინარეობს ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკების ტექნიკური აღჭურვა; დიდ ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში შეუდგნენ ელექტრონული კატალოგების შედგენას.

ამ პროცესებს ფეხდაფეხ მისდევს და შეძლებს ბისდაგვარად ასახავს ჟურნალი, აქვეყნებს ბიბლიოთეკართა მოსაზრებებს, მიდგომებს; ჟურნალის რედაქციასა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით ბევრი სიახლე დაინერგა მკითხველთან მუშაობაში; მათი მომსახურება გახდა ოპერატიული, მიზანმიმართული. ჟურნალი პერიოდულად აანალიზებს ბიბლიოთეკებში მიმდინარე პროცესებს.

ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემიდან ბიბლიოთეკარები, სპეციალისტები, ბიბლიოთეკების თანამდგომნი, წიგნის კულტურით დაინტერესებული მკითხველები აქტიურად ადევნებენ თვალს ჟურნალის თითოეულ ნომერს. ჟურნალის გამოსვლას ელოდებიან თბილისის, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის, რუსთავის, მცხეთის, დუშეთის, კასპის, გორის, ასპინძის, ახალქალაქის, დმანისის, ბორჯომის, ქუთაისის, ჭიათურის, წყალტუბოს, სენაკის, ზუგდიდის, ნალენჯიხის, ლანჩხუთის, ონის, ბათუმის მთავარი



ახალციხეში

ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკარები. აქ დასახელებული რეგიონები ჟურნალით სარგებლობენ მისი დაარსებიდან დღემდე. თავის დროზე აფორმებენ ხელშეკრულებებს, ჟურნალის მასალებს განიხილავენ სემინარებზე. პროფესიული ჟურნალი ერთად ერთი ორგანოა საქართველოში, რომელიც სათანადოდ აშუქებს ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრებას, გამოავლენს სიახლეებს, ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას. ჟურნალი ყოველთვის დროულად ეხმაურება საერთაშორისო საბიბლიოთეკო პრაქტიკის სიახლეებს, აქვეყნებს მათ შემოკლებული სახით, ითვალისწინებს რა ქვეყნის საბიბლიოთეკო პრაქტიკის სპეციფიკასა და თავისებურებებს. საქართველოს საბიბლიოთეკო გაერთიანებებს ერთი ნაწილი ვერ ახერხებს ჟურნალის შექმნას, ნაკლებად აინტერესებთ ის სიახლენი, რაც დანერგილია საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ისეთი რაიონები, როგორებიცაა ლაგოდეხი, სიღნაღი, ახმეტა, თეთრი წყარო, ბოლნისი, ქარელი, ნინოწმინდა, ახალციხე, თერჯოლა, ტყიბული, ვანი, ბაღდათი, ხონი, ჩხოროწყუ, ჩოხატაური, ოზურგეთი, ლენტეხი, ცაგერი და აჭარის მთიანი რეგიონის ბიბლიოთე-

კეები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ჟურნალის მიმართ.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი საბიბლიოთეკო გაერთიანების მენეჯერები, დირექტორები ნაკლებად ზრუნავენ ბიბლიოთეკათა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სიახლეთა დანერგვაზე. ეს იმ დროს, როდესაც ცნობილი ფაქტია, რომ ბიბლიოთეკაში ნაკლებად შედის ახალადგამოცემული წიგნები, ზოგიერთი რაიონის მთავარი ბიბლიოთეკა არ იძენს გაზეთს, ჟურნალს და ა. შ. ის, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი ჟურნალის შინაარსს, დაგვეთანხმება, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების დიდი უმრავლესობის ავტორები სწორედ ბიბლიოთეკარებია, ჟურნალი აქვეყნებს ბიბლიოთეკართა წერილებს, პროფესიულ სტატიებს, მკითხველებთან მუშაობის ამსახველ მასალებს, ბიბლიოთეკართა შემოქმედების ნიმუშებს და სხვა. ჟურნალი ბიბლიოთეკებისაა, მათი ყოფისა და ცხოვრების ამსახველი ორგანოა და ამდენად იგი ერთგვარი სარკეა თანამედროვე საბიბ-

ლიოთეკო ცხოვრებისა. ჟურნალი გარკვეულ ადგილს უთმობს რიგით მკითხველებს, მოსწავლეებს, პედაგოგებს. გავლილი ათი წლის მანძილზე ჟურნალის რედაქციამ დაიმეგობრა ბევრი საინტერესო მკვლევარი – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი. მათგან შეიძლება დავასახელოთ: გიორგი სარაჯიშვილი, ბადრი ცხადაძე, იური სიხარულიძე, იური მგალობლიშვილი, მიხეილ რეხვიაშვილი ან გარდაცვლილი ფრიდონ სიხარულიძე, ჟურნალში საინტერესო წერილები გამოქვეყნდება პროფ. რამაზ მეფარიშვილმა, შოთა მალაზონიამ, რევაზ ლომინაძემ და სხვებმა. ჟურნალთან სისტემატურად თანამშრომლობენ ბიბლიოთეკათმცოდნეები: გ. კიპაროიძე, ო. ოსაძე, მ. ტოგონიძე, დ. კოტეტიშვილი, გ. სტურუა და სხვები. არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ რედაქციის სახლით თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ციალა კალმახელიძის მიმართ; იგი ჟურნალის პირველი ნომრიდან დღემდე გვერდში უდგას რედაქციას, ეცნობა მასალებს და სისტემატურად ზრუნავს სპეციალისტთა ავტორობით წარმოდგენილი



მასალების გამოქვეყნებისათვის. ჟურნალში სათანადო ადგილი უკავია მოსწავლეთა კითხვის ანალიზის საკითხებს, მათ პოეტურ შემოქმედებას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა პირველი რეცენზიები და გამოსმაურებები ბიბლიოთეკართა ავტორობით გამოქვეყნებულ პოეტურ კრებულებზე, მათგან შეიძლება




ებს მკითხველთა ინტერესებს. ათი წლის გადასახედიდან არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისადმი (პრეზიდენტი ი. ლარიბაშვილი) და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციისადმი (გენერალური დირექტორი ბ. გაგუა), რომელთა ძალისხმევით ჟურნალს გააჩნია სამუშაო პირობები და ბაზა,

დავასახელოთ ისეთი პოეტები როგორებიცაა გ. სტურუა, ა. ერისთავი, ლ. ბეჟანიშვილი და სხვა. სწორედ ჟურნალ «საქართველოს ბიბლიოთეკის» ფურცელზე იხილა მზის სინათლე პოეტი ბიბლიოთეკარების ლექსებმა: მათგან შეიძლება დავასახელოთ: ცირა ბულაშვილი, ირმა მეშველიანი, ლია კობალაძე, ქეთევან ნიკურაძე და სხვები. ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს რეცენზიებსა და ანოტაციებს ახალდგამოცემულ წიგნებზე, რომლებიც თავიანთი პროფილით პასუხობენ საჯარო ბიბლიოთეკ-

კომპიუტერული ტექნიკა, რაიონების ბიბლიოთეკებიდან მიმონერისა და ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება.

ჟურნალი მყარ ნიადაგზე დგას. იგი ჩვეული რეჟიმითა და პერიოდულობით აგრძელებს გამოსვლას. მას ელოდებიან, კითხულობენ, მსჯელობენ, მისი დამფუძნებლები და სარედაქციო კოლეგია ეცდება კიდევ უფრო გაზრდოს ჟურნალის ბეჭდვის ხარისხი აამაღლოს მისი შინაარსი, ჟურნალმა უნდა შეაღწიოს თითოეულ ბიბლიოთეკამდე.

## მილოცვა ჟურნალს



საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, კულტურულსაგანმანათლებლო სფეროს მოჭირნახულეს, ნიგნისა და ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის მედგარ მებრძოლს – ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“, შემოქმედებით ჯგუფს და მის ღვანლმოსილ ხელმძღვანელს – ბატონ ალექსანდრე ლორიას.

ბატონო ალექო, დღეგრძელობა, სიხარული და ახალი წარმატებები დაგბედებოდეთ თქვენი მოღვაწეობის რთულსა და საპატიო ასპარეზზე.

მიიღეთ ჩვენი დიდი პატივისცემა, სიყვარული და სრული მზადყოფნა ამ საპატიო მისიაში თქვენთან ერთად დგომისა და ნაოყოფიერი შრომის საქმეში.

პატივისცემით,  
თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის  
გენერალური დირექტორი  
ც. კალმახელიძე

# საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი 2011

## იანვარი

- 7 – შობა მაცხოვრისა იესო ქრისტესი (ძვ. სტ. 25 დეკ.).
- 12 – 135 წლის წინათ (1876) დაიბადა ჯეკ ლონდონი – ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1916 წ.
- 14 – ქართული თეატრის დღე.
- 27 – ნინოობა.
- 28 – 230 წლის წინათ (1821) დაიბადა თეოდორე დოსტოევსკი – რუსი მწერალი, გარდაიცვ. 1881 წ.

## თებერვალი


- 8 – დავითობა. ხსენება წმიდა დავით მეფე აღმაშენებლისა.
- 10–70 წლის წინათ (1941) დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
- 11–75 წლის წინათ (1936) დაიბადა ბაჩანა ბრეგვაძე – ქართველი მწერალი ფილოსოფოსი, მთარგმნელი.
- 12 – 145 წლის წინათ (1866) დაიბადა შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) – ქართველი მწერალი, საყმანვილო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვ. 1933 წ.
- 13 – 240 წლის წინათ (1871) დაიბადა ლესია უკრაინკა (ნამდვილი სახელი და გვარი ლარისა კოსაჩი) – უკრაინელი მწერალი. გარდაიცვ. 1913 წ. სურამში.
- 24 – 165 წლის წინათ (1846) დაარსდა "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა – ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ევრონული ბიბლიოთეკა.

## მარტი

- 3 – დედის დღე.
- 5 – 80 წლის წინათ (1931) დაიბადა თამაზ ჭილაძე – ქართველი მწერალი. რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი.
- 8 – ქალთა საერთაშორისო დღე
- 13 – 265 წლის წინათ (1746) დაიბადა დიმიტრი ბაგრატიონი – ქართველი პოეტი, ანდაზების შემკრები. გარდაიცვ. 1826 წ.
- ✓ 14 – 70 წლის წინათ (1941) დაარსდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ამჟამად საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა).
- 19 – 80 წლის წინათ (1931) დაიბადა ნოდარ ტაბიძე – ქართველი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბიბლიოფილი.
- 21 – ქართული ჟურნალისტიკის დღე
- 90 წლის წინათ (1921) დაიბადა ივანე თარბა – აფხაზი მწერალი, გარდაიცვ. 1992 წ.
- 27 – თეატრის საერთაშორისო დღე
- 28 – 225 წლის წინათ (1786) დაიბადა ალექსანდრე ჭავჭავაძე – ქართველი პოეტი, რომანტიკოსი, გარდაიცვ. 1846 წ.

## აპრილი

- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე
- 6 – 165 წლის წინათ (1846) დაიბადა გიორგი შარვაშიძე – აფხაზი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაზე. გარდაიცვ. 1918 წ.
- 7 – ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა.
- 9 – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე (1989 წლიდან).
- 14 – ქართული ენის დღე.
- 18 – ძეგლთა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.



- 20 – 135 წლის წინათ (1876) დაიბადა იოსებ იმედაშვილი – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადოებრივი მოღვაწე. გარდაიცვ. 1952 წ.
- 22 – დედამიწის მსოფლიო დღე.
- 23 – წიგნის საერთაშორისო დღე. საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის საწყისი.  
– 135 წლის წინათ (1876) დაიბადა ივანე ჯავახიშვილი – ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელი. გარდაიცვ. 1940.
- 24 – ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.
- ✓30 – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე.

## მაისი

- 9 – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე  
– 115 წლის წინათ (1896) დაიბადა დემნა შენგელაია – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1980 წ.
- 14 – თამარობა. ხსენება წმიდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფის თამარისა.
- 22 – 155 წლის წინათ (1856) დაიბადა ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) – ქართველი მწერალი და პედაგოგი. გარდაიცვ. 1934.
- 26 – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

## ივნისი

- 1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე  
– ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.
- 5 – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 13 – 200 წლის წინათ (1811) დაიბადა ჰარიეტ ბიჩერ სტოუ – ამერიკელი მწერალი ქალი. გარდაიცვ. 1896 წ.
- 18 – 125 წლის წინათ (1886) დაიბადა სამსონ ჭანბა – აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1937 წ.
- ✓21 – 90 წლის წინათ (1921) დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ბიბლიოთეკა
- 24 – 75 წლის წინათ (1936) დაიბადა რევაზ ამაშუკელი – ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე
- 28 – 160 წლის წინათ (1851) დაიბადა ეკატერინე გაბაშვილი – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1938 წ.

## ივლისი

- 14 – 150 წლის წინათ (1861) დაიბადა ვაჟა-ფშაველა – ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვ. 1915 წ.
- 18 – 200 წლის წინათ (1811) დაიბადა უილიამ თეკერეი – ინგლისელი მწერალი, გარდაიცვ. 1863 წ.
- 20 – 160 წლის წინათ (1851) დაიბადა სოფრომ მგალობლიშვილი – ქართველი მწერალი, ხალხოსანი, გარდაიცვ. 1925 წ.
- 30 – 115 წლის წინათ (1896) დაიბადა პარმენ ლორია – ქართველი მწერალი, გარდაიცვ. 1978 წ.

## აგვისტო

- 2 – ილიაობა
- 12 – 135 წლის წინათ (1876) გამოიცა იაკობ გოგებაშვილის "დედა ენა" – ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო.
- 15 – 240 წლის წინათ (1771) დაიბადა ვალტერ სკოტი – ინგლისელი მწერალი, გარდაიცვ. 1832 წ.
- 27 – 140 წლის წინათ (1871) დაიბადა თეოდორ დრაიზერი – ამერიკელი მწერალი, გარდაიცვალა 1930 წ.
- 29 – 315 წლის წინათ (1696) დაიბადა ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – მეცნიერი, გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. გარდაიცვ. 1757 წ.
- 30 – 1600 წლის წინათ (411) დაიბადა პეტრე იბერი – ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, მწიგნობარი, გარდაიცვ. 491 წ.

## სექციები

- ✓ 1 – ცოდნის დღე  
– მშვიდობის მსოფლიო დღე  
95 წლის წინათ (1916) დაიბადა ალექსანდრე საჯაია – ქართველი პოეტი.  
დაიღუპა 1944 წ.  
7 – 95 წლის წინათ (1916) დაიბადა სერგი წულაძე – ქართველი მწერალი და მეცნიერი, "ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად მთარგმნელი, გარდაიცვ. 1996 წ.  
– 165 წლის წინათ (1846) დაიბადა ექვთიმე ხელაძე – მესტამბე, შემდგენელ-გამომცემელი, წიგნის გამავრცელებელი, გარდაიცვ. 1905 წ.  
21 – შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა.  
30 – 80 წლის წინათ (1931) დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანი – ქართველი პოეტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატო მოქალაქე.

## ოქტომბერი

- 1 – მუსიკის საერთაშორისო დღე  
7 – 125 წლის წინათ (1886) დაიბადა გიორგი ქუჩიშვილი – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1947 წ.  
8 – 265 წლის წინათ (1746 წ) დაიბადა გაიოზ რექტორი – ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, ლიტერატორი, მთარგმნელი, დიპლომატი. გარდაიცვ. 1821 წ.  
12 – 195 წლის წინათ (1816) დაიბადა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი. ქართველი რომანტიკოსი პოეტების მუზა. გარდაიცვლ. 1882 წ.  
14 – მცხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.  
✓ 120 წლის წინათ (1882) დაიბადა გრიგოლ რობაქიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1962 წ.  
20 – 905 წლის წინათ (1106) გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსდა გელათის აკადემია.  
22 – 85 წლის წინათ (1921) დაიბადა ნანა კანდელაკი – ქართველი მწერალი, გარდაიცვ. 2008 წ.  
24 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

## ნოემბერი

- 1 – 80 წლის წინათ (1931) გამოვიდა "სალიტერატურო გაზეთის" პირველი ნომერი.  
✓ 9 – 140 წლის წინათ (1871) დაიბადა ელისაბედ ორბელიანი – ქართველი პოეტი, "ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე მთარგმნელი. გარდაიცვ. 1942 წ.  
10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.  
18 – 90 წლის წინათ (1921) დაიბადა ჭაბუა ამირეჯიბი – ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატო მოქალაქე.  
✓ 21 – 110 წლის წინათ (1901) დაიბადა ილია აბულაძე – მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი.  
23 – გიორგობა. ხსენება წმიდა დიდმოწამისა გიორგისა  
24 – 95 წლის წინათ (1916) დაიბადა რევაზ მარგვიანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1984 წ.  
28 – 130 წლის წინათ (1881) დაიბადა შტეფან ცვაიგი – ავსტრიელი მწერალი, გარდაიცვ. 1942 წ.

## დეკემბერი

- 1 – 70 წლის წინათ (1941) დაიბადა თამაზ წივწივაძე – კრიტიკოსი, ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს.  
3 – 115 წლის წინათ (1896) დაიბადა ნიკოლოზ ტიხონოვი – რუსი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.  
11 – 80 წლის წინათ (1931) დაიბადა ანზორ სალუქვაძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1891 წ.  
20 – 85 წლის წინათ (1926) დაიბადა რევაზ ინანიშვილი – ქართველი მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვ. 1991 წ.  
– 125 წლის წინათ (1886) დაიბადა დიმიტრი უზნაძე – ქართველი მეცნიერი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. გარდაიცვ. 1950 წ.

ბილიცავთ დამდებ ახალ წელს!

## ქრონიკა

## საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების

## ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 15-16 ოქტომბერს ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემატიკისა და შინაარსის 30-ზე მეტი მოხსენება. კონფერენციის მასალები ორ სექციად იყო წარმოდგენილი – ქართველოლოგიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ინფორმაციები: ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული პირველწყაროების შესახებ (ე. ჭანტურიძე), საეკლესიო რეორგანიზაციის საკითხი იმერეთში 1923-1925 წ. წ. (გ. თევდორაძე), ნ. დუმბაძის რომანის „მე ვხედავ მზეს,“ თურქული თარგმანის ანალიზი (მ. ჯიაზი), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ. საიტი, როგორც სამეცნიერო კომუნიკაციის საშუალება (ი. ღარიბაშვილი), სიკეთისა და ბოროტების არსი „დათა თუთაშხიას,“ მიხედვით (მ. გვაზავა) და სხვ. მოხსენებების ტექსტი გამოიცემა წიგნის სახით.

■ 20 სექტემბერს თბილისში, გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა ერთდღიანი სემინარი თემაზე: „მომავლის ბიბლიოთეკა, საბიბლიოთეკო საქმის ინოვაციური კონცეფციები“. მოხსენება ბიბერახის (გერმანია) საქალაქო ბიბლიოთეკის შესახებ წარმოადგინა ფრანკ რაუგელმა სემინარს უძღვებოდა ბარბარა ვატენდორფი (გოეთეს ინსტიტუტი), ტექსტს თარგმნიდა ეკა წერეთელი. სემინარს ესწრებოდა საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკის დირექტორატები, სამეცნიერო და უნივერსალური ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი სპეციალიტები. სემინარზე თვალსაჩინოდ იქნა ნაჩვენები ქ. ბიბერახის საქალაქო ბიბლიოთეკის, როგორც მედია და საინფორმაციო ცენტრის მუშაობა, მისი ადგილი და როლი განათლების სისტემაში.

■ 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მხატვარ ნანა ბაღდავაძის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილი ტილო, რომელიც ბიბლიოთეკას გადასცა საჩუქრად. ნანა ბაღდავაძე აშშ-ი ცხოვრობს, მისი ნამუშევრები დღეისათვის ინახება არაერთ საგანმანათლებლო, კვლევით, სამედიცინო და სამთავრობო ორგანიზაციასა და კერძო კოლექციებში.

■ 23 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ქაშვეთის ტაძრის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტაძრის სასულიერო პირთა და წინამძღვართა ფოტოები, ქაშვეთში დაცული ხატები, სინმინდეთა ფოტოები, უნიკალური წიგნები. დამთვალიერებლები გაეცნენ ტაძრის აღდგენის პროექტს (ავტორი ლეოპოლდ ბილფელდი) და ქვისმთლელების, ძმების აგლაძეების ფოტოებს. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალებს საფუძველზე შესაძლებელია შედგეს სამეცნიერო-პოპულარული კრებული ქაშვეთის ტაძრის შესახებ.

■ 10 ნოემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა მუხრანის (თბილისი) ხიდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორია თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის ხიდების ამსახველი 30-მდე საარქივო და თანამედროვე ფოტომასალა.

■ 30 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა განახლებული სამხატვრო-სალიტერატურო ყურნალ „ცისკრის“ წარდგენა. ცისკრელების სახელით მკითხველებს მიმართა ყურნალის რედაქტორმა ზაურ კალანდიაძემ.



## ნეკროლოგი

## საუბი გაფრენილი სული

სახელი – ლია  
გვარი – გურეშიძე

სამუშაო ადგილი და თანამდებობა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონსულტანტი

ეს – ძალიან მოკლედ და ძალიან ძუნნად. უფრო ვრცლად ქვემოთ შევეცდებით გაგაცნოთ; თუმცა, დარწმუნებული ვართ, მის მრავალმხრივ განათლებასა და ნიჭს რამდენიმე ფურცელი არ ეყოფა. არადა, ძალიან გვიჭირს მასზე წარსულ დროში საუბარიც და წერაც. თან გვიჭირს და თან გვსიამოვნებს, რაკი კიდევ ერთხელ გვიჩინდება მის ნათელ ხსოვნასთან შეხების საშუალება.

ის ბევრისაგან გამორჩეული ქალბატონი გახლდათ; განათლებული, მეტად თავისუფალი და თამამი აზროვნებასა და მოქმედებაში. მასზე ვერ იტყოდით, რომ დროს ჩამორჩა, მუდამ საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა.

ქალბატონმა ლია გურეშიძემ მეტად მდიდარი და ნაყოფიერი შრომითი ბიოგრაფია შექმნა. ბავშვობიდან წიგნის კითხვის დიდი სიყვარული გამოჰყვა, რამაც შემდეგში მისი პროფესიული არჩევანი განსაზღვრა. ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლისა და პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქალაქის სხვადასხვა ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათეული წელი ერთგულად ემსახურა მკითხველს. პარალელურად მისდევდა მეცნიერულ საქმიანობას – აქვეყნებდა რეცენზიებს ქართული მწერლობის ნაწარმოებებზე, წერდა კრიტიკულ ესეებს, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა უმაღლეს სასწავლებელში. იყო მწიგნობართა ასოციაციის ქუთაისის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „ბალისკიდის“ რედაქტორი. მისი ავტორობით უამრავი შესანიშნავი შემოქმედებითი საღამო, წიგნის პრეზენტაცია თუ საჯარო ლექცია მომზადდა. ლიტერატურისადმი დიდმა სიყვარულმა ბევრ თანამედროვე ქართველ შემოქმედთან დაამეგობრა, იქიდან შემორჩენილი უამრავი ლამაზი მოგონება, ფართო მკითხველის შემოქმედებითი ნიუანსები წლების განმავლობაში მის ლექციებს განუმეორებელს ხდიდა აუდიტორიისათვის.

გამორჩეულად უყვარდა პოეზია, თითქმის ზეპირად იცოდა არამარტო გამოჩენილი პოეტების

ლექსები, არამედ სრულიად უცნობი ავტორების სტრიქონებიც, თუ ვინმე ახალს, ნიჭიერს აღმოაჩინდა, პატარა ბავშვივით უხაროდა და მაქსიმალურად ეხმარებოდა სიტყვის გარანდვაში. საოცრად რომანტიული პი-



როვნება გახლდათ, თითქოს მინაზე არც ცხოვრობდა. სულ ახლის ძიებაში იყო. მისი მშვენიერი სტრიქონები ისეთ განწყობას უქმნიდა მკითხველს, მასთან ერთად გაფრენის სურვილს ცხადლივ აგრძნობინებდა ხოლმე:


„გაფრენილა სული ცაში,  
რა ცოდვას ვინც ძირს რჩება,  
რატომ მინდა მეც არ ვიცი,  
ახალ ქვეყნის აღმოჩენა..“

ხასიათის იშვიათი თვისება ჰქონდა – ყველგან და ყველგან დადებითს ეძებდა. ადამიანებში სიყვარულს აღვივებდა, სიცოცხლის ხალისს მატებდა. მისი ენერჯია და შეუპოვრობა გაოცებას იწვევდა. უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა, დღე არ გავიდოდა, მათ არ შეხმიანებოდა ან ისინი არ წვეოდნენ. მათთან ყოფნა ბედნიერებად მიაჩნდა.

დიდი სიხარულით ელოდნენ მის გამოჩენას სამსახურში პატარა მეგობრები, თანამშრომელთა შვილები. მათთვის ყოველთვის პოულობდა დროს და ხშირად ანებივრებდა საჩუქრებით. მძიმე ავადმყოფი უფრო მეტის გაკეთებას ცდილობდა, უნდოდა გასაკეთებელი არაფერი დარჩენოდა, სითბო და ყურადღება არავისთვის მოეკლო, იმ მძიმე დღეებში ყველას შეუპოვრობის დიდი მაგალითი გვიჩვენა.

ახლა ყველას გვაკლია და გვენატრება, ძალიან გვენატრება, ძალიან გვენატრება. მისი ამქვეყნიური ყოფნა მაგალითია იმისა, რომ, მიუხედავად უამრავი ცხოვრებისეული წინააღმდეგობისა, შეიძლება გახდეს წარმატებული, იპოვოს ბედნიერება, დატკბეს სიცოცხლით და მისი თანაზიარი გახადო გარემემყოფნი.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები



ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII სს.

ორბეულიანთა საგვარეულოს საკუთრება,  
სადაც თავის დროზე მდიდარი ბიზნოთი იყო

0. 59/2

